

# ლიტერატურული გაზეთი

№17(153) 18 სექტემბერი - 1 ოქტომბერი 2015

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 80 თეთრი

ტარიელ ჭანტურია

ლეილა ბეროშვილი

!

მე რომ ვფიქრობდი — დადგა ჩემი დროც...  
 მე რომ მეგონა — ჩემი ჯერია,  
 გადავირიე, ლამის გავვიყუდე —  
 თურმე სიკვდილი არ მიწერია!  
 მოკვდა რუსთველი!  
 მოკვდა აკაკი!  
 წარმოიდგინეთ, მოკვდა ბერია!  
 მე კი — ერთადერთს — რატომ, არ ვიცი —  
 თურმე სიკვდილი არ მიწერია!  
 ისმის ქვითინი, ოხვრა-გოდება! —  
 გასვენებების მიდის სერია!  
 აქეთ — მთანმინდა! იქეთ — დიდუბე!  
 მე კი სიკვდილი არ მიწერია!  
 რაც ღიმილი და შეძახილია,  
 რაც შემართული ქვეყნად ცერია,  
 გაკვირვებული მილოცავს, მიმზერს! —  
 უკვირთ — სიკვდილი არ მიწერია...  
 ...  
 ...თურმე არც დედის, თურმე არც მამის... —  
 არავის ნახვა არ მიწერია...

## გამოზამთრება

\*\*\*

გავუფრთხილდეთ უნდა სიყვარულის შავ ყუთს,  
 მაგრამ ყუთში ხელი მაინც უნდა ჩავყოთ —  
 რომ გავიგოთ — როგორ, რატომ, რისთვის, როდის...  
 სიყვარული — მიდის... სიყვარული მოდის...  
 აყოლილი მოდას — არ თაკილობს ლალატს...  
 ზოგჯერ ისე — ვნებით... უფრო ხშირად — ძალად...  
 სიყვარულის ყუთი — შავი. დახუფული.  
 შეყვარებულები — ყველა დალუპული...  
 ტყუილები. შხამი. სიძულვილი. ფული...  
 სიყვარულის ყუთი — შავი. დახუფული.  
 არაფერი არ თქვა! არც მე ვიტყვი რამეს...  
 აღერსი და ცრემლი...  
 ბოლოს მაინც ლამე...  
 ...საფლავს ვინ ვის სად ან რა მიზეზით უთხრის —  
 ჩვენ გვიმალავს! კარგი! — უფალს მაინც უთხრას!  
 რა ფასი აქვს ახლა ბრილიანტის ბეჭდებს! —  
 ეძებს ქმარი ცოლის თითის ანაბეჭდებს...  
 მოვერიდოთ უნდა... გავუფრთხილდეთ შავ ყუთს...  
 მაგრამ ყუთში ხელი მაინც უნდა ჩავყოთ...

\*\*\*

ფილმი „სიყვარული ყველას უნდა“ ახალი გამოსული იყო, გამომცემლობა „ნაკადულში“ რომ დავინყე მუშაობა.  
 შევნიშნე, ერთ-ერთი თანამშრომელი ქალი გვერდიდან არ მცილდება.  
 მოგვიანებით გავიგე, თურმე ფიქრობდა, რასაც ვიტყოდი, აუცილებლად სასაცილო იქნებოდა.  
 ვის არ გასცრუებია იმედი — ხელში შერჩა მეტისმეტად მოსაწყენი ადამიანი...

\*\*\*

საშა მახარაძის კაბინეტში რეზო ინანიშვილი აღელვებული ყვება, წონაში გამუდმებით როგორ ატყუებს ერთი და იგივე გამყიდველი.  
 ქალაქში ჩაფლულმა ბატონმა საშამ ახედა და ჰკითხა:  
 — რეზო, შენ მგელი ხარ თუ ცხვარი?  
 ბატონი რეზო დაბნეული უყურებს.  
 — თუ ცხვარი ხარ, როცა გკრეჭენ, ფეხები არ უნდა იქნის — უარესია!  
 ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ იცინოდა ბატონი რეზო. მერე როგორ უხდებოდა სიცილი.

\*\*\*

ბაადურ ბალარჯიშვილის ნახატების კოლექციაში ინახება ავთო ვარაზის კუთხემოხეული ნახატი.  
 — არ მაძლევდა, — იცინის თავისი განუმეორებელი სიცილით ბაადურა, — წართმევის დროს გამეხა...

\*\*\*

ეზოდან გამოვედი და ზვიდან მომავალი სამი ქალი დავინახე.  
 ერთმანეთს მივესალმეთ.  
 ერთ-ერთმა მკითხა:  
 — მანანა მასწავლებელი როგორ ბრძანდება?  
 — მანანა მასწავლებელი აღარ არის, — ვუპასუხე გაბზარული ხმით და განზე გავიხედე — ცრემლი დავმალე.  
 — რა ტკბილი ადამიანი იყო, რა კარგი ხასიათი ჰქონდა! თქვენც კარგი ხასიათი გაქვთ? — ისევ ის ერთ-ერთი მეკითხება.  
 — არა, მე ცუდი ხასიათი მაქვს, — ისევ განზე გავიხედე და ახლა სიცილი დავმალე.

IV-V

VIII-IX

**XIX საუკუნის ამერიკულ და ევროპულ ლიტერატურაში დაიწყო ის პროცესები, რომელთა შედეგად საუკუნეების მანძილზე ქრისტიანულ თეოლოგიაში დემონებზე მიჩნეული არსებები სიკეთისთვის მებრძოლ გმირებად იქცნენ. ეს პროცესები გარკვეულწილად წაახალისა ერთმა ლექსმა — „წმინდა ნიკოლოზის სტუმრობა“ — რომელშიც ავტორმა წმინდა ნიკოლოზი მოხუც ელფს შეადარა. მოგვიანებით, კეთილი ელფის სახე მტკიცედ დამკვიდრდა საბავშვო ლიტერატურაში — მეტიც, ზოგიერთი მწერლის, მაგალითად, ტოლკინის შემოქმედებით გატაცებულ პატარა მკითხველს, ალბათ, ვერც კი წარმოუდგენია, თუკი საერთოდ შესაძლებელია, ელფების დაუხმარებლად ვინმემ ბოროტება დაამარცხო.**

**და მაინც, რა მოხდა XIX საუკუნის დასაწყისში? ერთმა პატარა პოეტურმა ქმნილებამ როგორ შეუცვალა ცნობიერება საზოგადოებას? ნუთუ საუკუნეების მანძილზე სასულიერო პირთა, მწერალთა და მოაზროვნეთა მთელი თაობები ცდებოდნენ, როდესაც ელფებს დემონურ არსებებად მიიჩნევდნენ?**

**I ბეოვულფის ურჩხულები**

სიტყვა ელფს (ინგლისურენოვან სამყაროში) პირველად ვხვდებით უცნობი ავტორის მიერ შექმნილ ანგლო-საქსური ეპიკური პოეზიის შედევრ „ბეოვულფში“, რომელსაც ლიტერატორები VIII საუკუნის ძველად მიიჩნევენ, პოემაში ელფები იმ ამაზრზენ დემონურ არსებებთან ერთად არიან მოხსენიებული, კაენის მიერ აბელის მოკვლის შემდეგ რომ გაჩენილან ქვეყნიერებაზე. ძველ ინგლისურ ტექსტში კაენის თესლით შობილი ბინძური მოდგმა ასეთი თანამიმდევრობითაა ჩამოთვლილი:

*eotenas ond ylfe ond orcnas,  
swylce gigantas, ba with God wunnon.*

აი, როგორ უღერს ეს ეპიზოდი ახალ ინგლისურად ფრენსის ბარტონ გუმერეს თარგმანში:

*of Cain awoke all that woful breed,  
Etins and elves and evil-spirits,  
as well as the giants that warred with God  
weary while: but their wage was paid them!*

კაენის თესლმა შვა  
ეს მთელი ბინძური მოდგმა:  
მკვდრის მჭამელების,  
ელფების და ბოროტ სულების,  
ისევე როგორც — ბუმბერაზთა,  
ღმერთს რომ ებრძოდნენ...  
თუმცა ამოად,  
საზღაური მიიღეს თვისი.


როგორც ვხედავთ, მთარგმნელი ელფებს ბოროტ სულთა და ღმერთთან მებრძოლ ბუმბერაზთა გვერდით ათავსებს, ასევე მკვდრის მჭამელების. ვინ არიან ეს დემონური არსებები? უნდა აღინიშნოს, რომ „ბეოვულფში“ ამ ეპიზოდთან დაკავშირებით აზრთა გარკვეული სხვადასხვაობაა ინგლისურენოვან სამყაროში. ლესლი ჰოლი სიტყვა **eotenas**-ს ავი ზნის არსებებად თარგმნის — **ill-favoured creatures**, ფრენსის ბარტონ გუმერე კი — მკვდრის მჭამელებად — **etins**-ად (ნაწარმოებია ფუძე „ითიდან“ — ჭამა). სხვადასხვაგვარადაა აღქმული სიტყვა **orcneas**-იც. მისი ლათინური წარმოშობის ვერსიის მომხრენი აღნიშნულ სიტყვას ბოროტ სულებად თარგმნიან, ისლანდიურისა კი — ვეშაპებად. თუმცა ეს ეპიზოდი მხოლოდ ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური თვალსაზრისით როდია რთული და იდუმალებით მოცული, არამედ რელიგიურითაც. „ბეოვულფში“ საუბარია V საუკუნის დანიაზე. როგორ მოხვდნენ იქ კაენის მოდგმის დემონური არსებები, რომლებიც წარლვანამ ადგავა პირისაგან მიწისა ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე ათასწლეულის წინ? ვინ არიან ისინი? ავტორის ფანტაზიის ნაყოფნი თუ რეალურად არსებული გამორჩეული ძალის მქონე ადამიანები? საგულისხმოა, რომ სკანდინავიურ და ანგლო-საქსურ მითოლოგიურ დემონებს — მკვდრის მჭამელებს „ითინებს“ (**jötnar, eotenas**), „ქართლის ცხოვრებაშიც“ ვხვდებით. მემბატინეს გადმოცემით, წარმართობა ყველაზე მახინჯი, რადიკალური სახით აღმოსავლეთ საქართველოშიც ყოფილა გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელის სარდალ აზონის (აზოს) ჩამოსვლამდე დაახლოებით V-IV საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ექვს ენაზე საუბრობდნენ მაშინ ქართლში: ქართულად, სომხურად, ხაზარულად, ასურულად, ებრაულად და ბერძნულად. მცირე ბაბილონში, რომელიც ფარნავაზის გამეფებამდე აღმოსავლეთ საქართველოში შეიქმნა, ლეონტი მროველის გადმოცემით, თურმე სასაფლაოც კი არ არსებობდა. არც „ცოლ-ქმრობისთვის არა უწნდათ ნათესაობა; და ყოველსა სულიერსა ჭამდეს; საფლავი არა იყო, მკვდარსა შესჭამდეს“. მაგრამ, საბედნიეროდ, ჯერ აზონმა,

შემდეგ კი უკვე ფარნავაზმა, ნაწილობრივ ამ აღრეული ხალხის „მოსვრით“, ნაწილობრივ კი აკრძალვებით, ბოლო მოუღო არა მხოლოდ მრავალენიანობას (ქართველი ერისმთავრები ფარნავაზამდე თავს ვალდებულად მიიჩნევდნენ, ექვსი ენა სცოდნოდნენ), არამედ კანიბალიზმსაც. თუმცა, როგორც ჩანს, ქურუმები კერპთათვის შეწირულ ადამიანებს მაინც ჭამდნენ, ამას მოწმობს მემბატინე, „არღარა ჭამდეს კაცსა თვინიერ რომელ შესწირიან კერპსა მსხვერპლად“.

აი, რა პირუტყვებად აქცია ადამიანები წარმართობამ! ამის შესახებ მოთხრობილია ბევრ რელიგიურ, მხატვრულ და ისტორიულ თხზულებაში, მათ შორის „ქართლის ცხოვრებაშიც“, თუმცა რამდენიმე საუკუნეა, რაც გაჩნდა რალაც „პირველყოფილი და წმინდა წარმართობის“ რესტავრაციის უცნაური ტენდენცია არა მხოლოდ მწერლობასა და მხატვრობაში, არამედ თვით მუსიკაშიც კი... რა თქმა უნდა, არავის გაუუკვირდება, თუკი წარმართ ღვთაებებსა და ქალღმერთებს შიშვლად დახატავენ ან გამოაქანდაკებენ,

**თემურ გაბუნია**

**ელფების სახეცვლილება**



ასევე ჩვეულებრივ ადამიანებს, მაგრამ, როცა ბიბლიურ პატრიარქებსაც შიშვლეს გამოსახავენ, მათ, ვისაც ეს უდიდეს ცოდვად მიაჩნდათ და რის გამოც (მამის სიშიშვლის ხილვისა და დაცინვისთვის) ქამის სანაცვლოდ იმუამინდელ მსოფლიოში მორბენალი ერთადერთი ბავშვი — ქანაანიც კი დაიწყებდა, უნებლიეთ გაოცება გვიპყრობს. ასევე გვიკვირს, როცა ზოგიერთი მწერალი (მაგალითად, ჯოვანი ბოკაჩო) თავის პერსონაჟებს წარმართის ღვთაებებისადმი ლოცვებს ალაგუნებენ; ნაბოკოვი კი მთელ რომანს არასრულწლოვანი ბავშვისადმი „ტროფობას“ მიუძღვნის („ლოლიტა“), მაშინ როდესაც მის წინასახედ დემონი ლილითი გამოჰყავს... ან როდესაც ვაგნერი გარკვეულ კონცეფციასაც კი ჩამოაყალიბებს რალაც ყველგანმყოფი და უკვდავი წარმართობის შესახებ... მართლაც და რა სურთ ამ ნიჭიერ, მაგრამ თავიანთ ნიჭიერებასთან შედარებით მაინც საეჭვოდ განდიდებულ ხელოვანთა ჯგუფს? წარმართობის აღდგენა?! მაგრამ წარმართობა ხომ ღმერთთან მებრძოლთა რელიგიაა, რასაც ადასტურებს ეგვიპტის დედოფლის კლეოპატრას ძმის, ანტიქრისტეს წინასახედ მიჩნეულ აეპიფანე ანტიოქელის, ქმედებები. იმ ეპიფანესი, ვინც იერუსალიმის ტაძარში იუპიტერის ქანდაკება აღმართა და ებრაელები აიძულა, მისთვის თავყვანი ეცათ, ბოლოს კი ისე გაკადნიერდა, რომ საკუთარი თავი ღმერთადაც გამოაცხადა? ნუთუ ჩვენც წარმართ ღვთაებების თავყვანიცემისკენ გვიბიძგებენ? იმ დემონები-

სა, ზოგიერთი მწერალი სახეს რომ უცვლის, რათა სიკეთის განსახიერებად წარმოჩინდნენ?

**II**

**მეტამორფოზები**

ერთი ირლანდიური თქმულების მიხედვით ქამს კიდობანში ფარულად ქვა ჩაუდევს, რომელზეც ამოჩანსილი ყოფილა წარლვანად მჩხიბავთა და გრძნეულთა შელოცვები. მათ წარმომთქმელს თურმე ადამიანთა ცხოველებად და ურჩხულებად გადაქცევა შექმლო კოლხი კირკესავით. ალბათ, ამ ლეგენდის გავლენას განიცდიდა „ბეოვულფის“ უცნობი ავტორიც. სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას წარლვანად ქვეყნის მოდგმის გოლიათთა და ურჩხულთა V საუკუნის დანიაში „გაცოცხლება“? ან იქნებ ეს უცნაურობა უბრალოდ მწერლის წარმოსახვას უნდა მივანეროთ, რომელიც „ძველისა და ახლის ჭვრეტისას გაღვივდა, შემდეგ კი უკვე ძველი და ახალი ბიბლიური ამბების ერთმანეთთან შეხებით ცეცხლის ალივით ავიზიგზდა?“ — (ჯონ რონალდ რუელი ტოლკინი — „ურჩხულები და კრიტიკოსები“). საქმეც ისაა, რომ ქამი არა მხოლოდ დაწყვეტილობით, არამედ საქმეებითაც დაემსგავსა კაენს. მის მოდგმაში აღორძინდა ღმერთთან მებრძოლთა რელიგია — წარმართობა, იშვინენ ნებროთის მსგავსი ურჩი გოლიათებიც, რომლებიც სრულიად უსაფუძვლოდ არიან მიჩნეული ზღაპრულ არსებებად, რადგან ნებროთის ხანაში, როცა სამყარო არც თუ ისე მრავალრიცხოვანი იყო და ირგვლივ გარეული მხეცები დაძრწოდნენ, ფიზიკურ ძალას განსაკუთრებული მნიშ-



ვნელობა ენიჭებოდა. იმ ეპოქაში გოლიათური აღნაგობის ერთ ადამიანს არათუ სოფლებისა და დასახლებების, არამედ მთელი სამეფოს დამორჩილება, დაცვა ან პირიქით, დაბრუნაც კი შეეძლო. იმ ჯადოსნური ქვით, რომელიც ძველი ირლანდიური თქმულების მიხედვით ქამმა კიდობანში დამალა, როგორც ჩანს, არა მხოლოდ წარლვანადელი ბუმბერაზები და მკვდრის მჭამელი „ითინები“ — ელფებიც აღორძინდნენ. ვინ იყვნენ ისინი? დემონური არსებების მნიშვნელობითაა ნახშიარი სიტყვა ელფი IX საუკუნის ძველ ინგლისურ სამეფო ლოცვანში. მოგვიანებით, XIV საუკუნეში, ცნობილი პოეტი ჯეფრი ჩოსერი თავის ნაწარმოებში **Wife of Bath's Tale** ელფებს ინკუბუსთან აიგივებს. ნეტარი ავგუსტინეს მტკიცებით, უბრალო ხალხი სილვანებსა და ფავნებსაც ინკუბუსად მოიხსენიებდა. ინკუბუსი მიიჩნეოდა მამრობითი სქესის დემონად, რომელიც ძილში ეცხადებოდა ქალს და აცთუნებდა. ქალი-დემონები საკაბუსის სახელით იყვნენ ცნობილი. წარმართების სჯეროდათ, რომ ამ დემონებს ბავშვის ჩასახვაც კი შეეძლოთ. ამგვარი გზით იყო ჩასახული ჯადოქარი მერლინი მეფე არტურთან დაკავშირებულ ლეგენდაში. სიტყვა ინკუბუსი, რომელიც ლათინური **incubo**-დან წარმოდგება, ზემოდასწრულად ნიშნავს. ეს სიტყვა ნეტარი ავგუსტინეს თხზულებაში — „უფლის ქალაქშიც“ — გვხვდება. იმ ეპოქაში იმდენი ადამიანი იტანჯებოდა ძილში დაცემით, რომ ნეტარმა ავგუსტინემ საჭიროდ მიიჩნია, ორიოდე სიტყვა ეთქვა ამ საკითხთან დაკავშირე-

ბით. თავისი თხზულების XV წიგნის XXIII თავში ნეტარი მამა ადამიანთა მაცთუნებელ მითიურ არსებებს ჰაერის სულებს უწოდებს: „ხალხში გავრცელებულია ხმები და ბევრიც ამტკიცებს, რომ თავად გამოცადეს ან სმენიათ მათ შესახებ, რომელთაც ეს განიცადეს, და მათ სიმართლემი ეჭვი არც უნდა შეგვეპაროს, რომ სილვანები და ფავნულები, რომელთაც უბრალო ხალხი ინკუბუსებს უწოდებს, ხშირად ევლინებოდნენ ავხორცებს და ცდილობდნენ მათთან კავშირში შესვლას ან შედიოდნენ კიდეც; ძალიან ბევრი, მათ შორის ისეთებიც, რომელთა ნათქვამში ეჭვიც კი არ შეიძლება, შეგვეპაროს, ასევე ამტკიცებენ, თითქოს ზოგიერთი დემონი, რომელთაც გალები დუზიებს უწოდებენ, მიდრეკილნი არიან ამ სიბინძურისკენ და ხშირად ეძლევიან მას.“

ნეტარ ავგუსტინეს არ ჰქონდა არავითარი მიზეზი, დაეჭვებულიყო ინკუბუსებთან კავშირში მყოფთა ნათქვამში, თუმცა საკუთარ თავს მაინც არ აძლევდა უფლებას, რაიმე გადაწყვეტილად ეთქვა ამ საკითხთან დაკავშირებით. „მე ვერ გავებდავ, რაიმე დასკვნა გავაკეთო იმის შესახებ, შეუძლია თუ არა რომელიმე სულს, რომელსაც აქვს ჰაერის სტიქიის სხეული... ქალთან თანაყოფა“, წერს ის თავის ცნობილ თხზულებაში „უფლის ქალაქი“. საგულისხმოა, რომ ის საკითხი, რომელზეც ნეტარი ავგუსტინე მსჯელობს, უხსოვარი დროიდან იყო მწერლებისა და ფილოსოფოსების განსჯის საგანი. **ჰაერის სულები** პირველად ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2400 წლით დათარიღებულ „შუმერ მეფეთა ნუსხაში“ გვხვდებიან. მამაკაცი დემონი ლილუდ მოიხსენიება, ქალი-დემონი კი ლილითად. ეს არსებები ვითომდაც ეროტიკულ სიზმრებში ეცხადებოდნენ ადამიანებს, რათა ეცთუნებინათ. ზოგიერთი უძველესი შუმერული თქმულების მიხედვით გილგამეშის შესახებ სწორედ დემონი ლილუა ამ ლეგენდარული მბრძანებლის მამა. უხორცო არსების ძედ მოიხსენიება „ქართლის ცხოვრებაში“ თემურ ლენგი, რომლის დედაც ამტკიცებდა, „ჩემ თანა მამაკაცი არა ყოფილა და არცა მივდგომილვარ ხორციელთა კაცთაგან“-ო. თავდაპირველად ფეხმძიმე ქალს არავინ დაუჯერა, მეტიც, მისი სიკვდილით დასჯაც კი უნდოდათ, მაგრამ თემურ ლენგის მომავალმა დედამ დაიჩემა, ჩემი თუ არ გჯერათ, მსტორეები მომიჩინეთ, რათა საკუთარი თვალთ იხილოთ, ღამე ვინ მსტუმრობსო. და, აი, დადარაჯებულმა მცველებმა მალე იხილეს ცეცხლოვანი არსება, რომელიც ქალის საძინებელში შედიოდა და თქვეს, ეს საქმე ჭეშმარიტი ყოფილაო.

ადამიანის მაცთუნებელი ჰაერის სტიქიის სულები — ქაჯები, ჭინკები, ალები... — სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ლექსიკონშიც გვხვდება: **„ჰაერის-მცუელი**, ესენი არიან ეშმაკნი. ოდეს გარდმოითხივნეს, უბოროტესნი ჯოჯოხეთად შთახდენ და უდარესნი ჰაერთა შინა დაშთენ, რომელნი მუნცა იტანჯებიან. მათგან არს საოცრებათა ჩვენება და ფუტება, ღამე კაცთა მრავალსახედ ჩვენება...“ ალბათ, სწორედ ამ ლექსიკონის გავლენით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ „ბეოვულფის“ მთარგმნელებმა ჰაატა და როსტომ ჩხეიძეებმა სიტყვა ელფი ჭინკად ანუ ბოროტ სულად გადმოაქართულეს;

*„მრავალნიარ ცოდვად გადიქცნენ —  
ზოგი სულებად, სატანებად,  
გოლიათებად,  
გველშაპებად, ზოგიც ჭინკებად...“*

დაიხ, ელფი და ჭინკა, ფაქტობრივად, სინონიმებადაც კი შეიძლება, მივიჩნიოთ, ასევე დიდი სხვაობა არცაა ქაჯებს, ალებს, ელფებსა და ინკუბუსებს შორის. ისინი ჰაერის სულთა კატეგორიას განეკუთვნებიან. მათი უმთავრესი თვისება ადამიანთა ძილში ცთუნებაა. სიტყვა **„ჰაერის მცველი“** მართლმადიდებლურ ლოცვანშიც გვხვდება დემონური არსების მნიშვნელობით. ორშაბათ დილას სათქმელ ლოცვაში ვკითხულობთ: „ისხენით სიკვდილისაგან შეძრწუნებული სული ჩემი, მიხსენით ჰაერის მცველთა ხელისაგან...“

როგორც უკვე მრავალჯერ აღვნიშნეთ, „ჰაერის სტიქიის სხეულის“ მქონე სულებად მოიხსენიებს ნეტარი ავგუსტინე **დასასრული მე-6 გვერდზე**

არა მგონია, უილიამ ფოლკნერი ვახსენოთ და ვინმეს „გვამის შემგინებელი“ წამოაგონდეს, ან კიდევ სხვა ნიმუშები მისი იოკნაპატოფას საგის ცხრამეტრომანიანი ციკლიდან, ამერიკელი მწერალიც უსათუოდ 24 რომანის შექმნას რომ ესწრაფოდა ჰომეროსის ეპოსთა თავების კვალობაზე, თითო რომანი „ილიადასა“ თუ „ოდისეას“ თითო თავის თავისებური გამოძახილი რომ უნდა ყოფილიყო ახალი დროყამის შესაფერისად.

ცხრამეტზე შეუნყებოდა ჩანაფიქრი ახალი ეპოქის ეპოსის შექმნისა, ონორე დე ბალზაკთან შემეტოქებასაც რომ მიიწოდებდა.

და თითქოს მხოლოდ რამდენიმე იყოს მათგან წარმატებული, დასავლეთშიც და ჩვენშიც ის რამდენიმე რომ აგვიჩემებია და ისე ვახსენებთ, „ხმაური და მძინვარება“ იქნება, „აბესალომ, აბესალომ!“ თუ „ავისიტოს ნათელი“, მიაშიტ ადამიანს ეგონება, ეს სამი თხზულება აშკარად სჭარბობს დანარჩენებს და მათი ნაკითხვა საკვებით კმარა ფოლკნერის მხატვრული სამყაროს შესაცნობადო.

არადა, ყურადღებას აღარ ვაქცევთ, რომ „ხმაური და მძინვარება“ ავტორს საუკეთესოდ იმიტომ მიაჩნდა და უპირველესად იმიტომ მოიხსენიებდა ხოლმე, რომ ყველაზე ძალიან მას ეწვავდებინა და რამდენჯერმე ისე მიეტოვებინა ეს სიუჟეტური ქარგა, ეგონა, სამუდამოდ ავიღე ხელი და მისკენ რაღა გამახედებსო!..

და შედარებისათვის მოიხსენიებდა დედის განცდას სწული შვილისადმი: ყველაზე მეტად ის რომ შეიძლება ჰყვარებოდა შეილებში, რაკილა ყველაზე ძალიან მას გაწვავლებინა.

ერთი წამითაც არა ვფიქრობ ამ შედეგის დამცირებას, მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ იოკნაპატოფას საგაში მხატვრულ ჩაგონებას ვერაფერს აღმოაჩენს და ყველა რომანი სრულფასოვანიცა და მთელი ციკლის განუყოფელი ნაწილიც და საბჭუნიც.

და ამიტომაც ნუ ავიჩემებთ ამ საგიდან ერთ-ორ ნიმუშს და დაე „გვამის შემგინებელიც“ ისევე მოვიხსენიოთ ხოლმე, როგორც სხვა დანარჩენები, მითუმეტეს, რომ ქართულ ენაზე ასეთი შესანიშნავი თარგმანი შემოგვემაცა ზაზა ჭილაძის წყალობით („არტანუჯი“, 2015). და ეს იმ რომანისა, რომელიც მწერალს დეტექტივად ჩაეფიქრებინა, „მხედრის გამბიტისა“ არ იყოს, თუმც ამჯერად მკვლელობის საიდუმლოს გახსნა უკან გადაიწვავდა და უმთავრესი შეიქნებოდა ის სულიერი გარდატეხა, რაც ჩიკ მელისონის არსებაში უნდა მომხდარიყო ზნეობრივი გამოცდის წარმატებით გადალახვის შემდგომ.

რაღა ზღაპრული გმირის ჩასვლა მკვდართა სამეფოში და რაღა ამ ყმაწვილის მიერ ახალდამარხული კუბოს გახსნა!..

— რამ შთაგაგონათ ეს რომანი, რაიმე იდეამ თუ ერთმა ხასიათმაო? — დაინტერესდებოდა ვილაც 1957 წლის 13 მაისს, მწერლის შეხვედრისას ვირჯინიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან, და გაირკვეოდა, რომ ფოლკნერი შთაგონებინა დეტექტიური მოთხრობების უზარმაზარ ნაკადს, იმ დროს რომ დაძრულიყო ამერიკულ სინამდვილეში, და ფოლკნერის შვილებიც, სადაც მოახელთებდნენ, ყიდულობდნენ და შინ მიაბრუნებდნენ. და საითაც გაიხედავდა, თვალში ყველგან ეს ნიგნები ეჩხიერებოდა.

და ერთხელაც წარმოიდგენდა, რომ კაცი ზის ციხეში, უნდა ჩამოახრჩონ, მას კი სურს საკუთარი თავის დეტექტივი იყოს იმ ვითარებაში, როდესაც მშველელის იმედი არა აქვს. მერე იფიქრებდა, რომ ეს კაცი ზანგი უნდა ყოფილიყო და... ასე დაიბადებოდა ხასიათი ლუციუსისა — ლუკას ბიჩემისა, და აქედან შეიქმნებოდა ეს წიგნი.

— ეს გახლდათ ამბავი კაცისა, ციხეში რომ იჯდა და დეტექტივს ვერ დაიქირავებდა, ვერ დაიქირავებდა იმ ყოჩად ბიჭებს, ვინც ქალებს ხელებს უტყაპუნებენ და კრინტს ისე არ დაძრავენ, ვისკი თუ არ გადახუხეს. მაგრამ ბიჩემი რომ მოვიფიქრე, მერე თვითონ ბიჩემმა აიღო ხელში თხრობის სადავეები და მოთხრობა ძალზე განსხვავებული გამოვიდა იმისაგან, რაც ჩაეფიქრე — დეტექტივისაგან.

მისთვის თუ მთავარი ლუკას ბიჩემი გახლდათ, მსმენელთათვის — გვეინ სტივენ-

სი, საგანგებოდ რომ დაინტერესდებოდნენ: ისეთია, როგორც „გვამის შემგინებელი“?

ფოლკნერი კი მიუგებდათ: გმირებს მე ვიგონებ, მაგრამ მერე მივდე და ვინერ, რასაც იტყვიან და მოიმოქმედებენ, არც კი ვიცი, რას იზამენო, — და კითხვას ახლა ასე შეუნაცვლებდნენ: გვეინი ამ რომანში უფრო მომნიჭებული ხომ არ არის, „ქალაქში“ უფრო ახალგაზრდად გამოიყურებაო?

სწორედ ასე იყო, რადგანაც „გვამის შემგინებელი“ „ქალაქის“ შემდგომაც დაწერილიყო და მოქმედებაც აქ უფრო გვიან ხდებოდა, ვიდრე „ქალაქში“, რომლის მოქმედების არეალიც მოიცავდა 1909-27 წლებს, „გვამის შემგინებლის“ მოქმედება კი გულისხმობდა 1935-40 წლების რამდენიმე დღეს.


— ალბათ სტივენსმა რაღაც ისწავლა „ქალაქში“ და „გვამის შემგინებელი“ თან ნაიყოლა.

შემკითხველი სტივენსის ხასიათს ჩაუკირკიტებოდა და მის ბრძოლას დე სპენთან „ქალაქში“ შეადარებდა ქვენტინ კომპსონის ბრძოლას კემბრიჯში ყოფნისას, ორივე კი დონ კიხოსის ბრძოლას წამოაგონებდა და დაინტერესდებოდა: ხომ არაა რაიმე საერთო ამ ორი კაცის ხასიათშიაო?..

— არა, ეს სევედიანი და, ამავე დროს, სასაცილო სურათიაო, — მიუგებდა ფოლკნერი, — რაინდი იცავს იმას, ვისაც დაცვა სულაც არ სურს, არა სჭირდება, მაგრამ ეს მშვენიერი თვისებაა ადამიანის ბუნებისა. ვიმედოვნებ, ეს ყოველთვის ასე იქნება. თან სასაცილოა, თან ცოტა სევე-

**როსტომ ჩხეიძე**

**სასწაული ერთი ღამისა**



**უილიამ ფოლკნერი და მისი ქართველი მეგობარი**

დიანი. სტივენსი და ქვენტინი ამით ძალიან ჰგვანან ერთმანეთსო.

გვეინია, ლუკას ბიჩემის პიროვნებასა და ხედვებს კერძო შემთხვევად კი არა, განზოგადებულად რომ აღიქვამს, ხედვებს ზანგისა, ვისაც უსამართლოდ ბრალდება თეთრკანიანის მკვლელობა და ამისათვის ლინჩის წესით დაღუპვა ემუქრება; განზოგადებულად ანუ ჩრდილოეთისა არ სამხრეთის დაპირისპირების ფონზე, და ამტიკებებს, რომ სამხრეთ ამერიკა არსებითად იცავს არა საკუთარ პოლიტიკას, არა საკუთარ შეხედულებებს ან თუნდა საკუთარი ცხოვრების წესს, არამედ უბრალოდ საკუთარ მთლიანობას, და იცავს ფედერალური მთავრობისაგან, რომელსაც ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობა შეერთებულ შტატებში ადგილის შესანარჩუნებლად სულ უფრო და უფრო მეტ პირად, ხელშეუხებელ თავისუფლებას უთმობს, და, რასაკვირველია, მომავალშიც დაიცავს.

— ჩვენს შორისაც ძალიან ცოტას ესმის, რომ მხოლოდ მთლიანობიდან თუ ამოიზრდება ხალხში თუ ხალხისთვის რაღაც ისეთი, რასაც ხანგრძლივი, გაუხუნარი ფასეულობა გააჩნია — ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება თუ ადმინისტრირებისა და პოლიტიკის ის მინიმუმი, რაც სინამდვილეში ნიშნავს კიდევ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ხოლო ყვე-

ლაზე უმთავრესი და ძვირფასი — ეროვნული ხასიათია, რომელიც კრიტიკულ წამს ყველაფერ დანარჩენს უდრის და გადასწონის კიდევ; ეს კრიტიკული წამი ჩვენთვის მაშინ დადგება, როცა მოწინააღმდეგის პირისპირწარდგებით, იმას კი არც ხალხი ჰყავს ჩვენზე ნაკლები, ჩვენზე ნაკლები არც ნედლეული მოეპოვება და — ვინ იცის — იქნებ არც ტრაბახი და ყოყლოჩინობა ეხერხებოდეს ჩვენზე უარესად.

აი, რატომ უნდა გაენიათ წინააღმდეგობა ჩრდილოეთისათვის:

— არა უბრალოდ საკუთარი თავის, ანდა თუნდაც ორივე ჩვენთაგანის გადასარჩენად, არამედ მთლიან ერად დასარჩენად, რადგან მთლიანობა იქნება სწორედ ის გარდუვანი თანამდევნი შედეგი იმისა, რასაც შევინარჩუნებთ; ეს კი იგივეა, რისთვისაც სამი თაობის წინათ ჩვენ საკუთარ ეზოებში წავაგეთ სისხლიანი ომი. სიმართლე, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება, ასეთია: ლუკასი — ესაა ადამიანი, მცხოვრები თავისუფალ ქვეყანაში და, აქედან გამომდინარე, ისიც თავისუფალი უნდა იყოს.

მაგრამ როგორ უნდა იყოს თავისუფალი, თუკი საშუალება არ გააჩნია დამტკიცოს თავისი სიმართლე, ის, რომ ვინსონ გაური მისი იარაღით არ არის მოკლული. საკანში გამოკეტის ხელი არ მიუწვდება დამარხულ ნეშტამდე და პატარა ბიჭს უნდა დაავალოს ამ ურთულესი მისიის აღსრულება — გვამის ამოთხრა და დადასტურება ლინჩისათვის განწირული ადამიანის სიმართლისა.

რატომ მაინცდამაინც პატარა ბიჭს? იმიტომ, რომ ლუკას ბიჩემი ალღოთი

არამედ ჩიკ მელისონის სულიერი ფერისცვალების პროცესი, ასეთი ფილიგრანული ხელოვნებით წარმოსახული, ისეთივე ფსიქოლოგიური ჩაღრმავებით, მკითხველი ამ პროცესის შუაგულში რომ იგრძნობს თავს და... საკუთარ არსებაზე განიცდის სულიერი გარდატეხის ამ სასწაულებრივ აქციას.

სასწაულებრივია, აბა, რა არის, როდესაც თითქოსდა ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული 16 წლის ბიჭი ერთ ღამეში კაცად უნდა ჩამოყალიბდეს.

არცთუ ურიგო კვლევაა ამ პროცესისო, — თავმოწონება არ დასჭირდებოდა ფოლკნერს, რადგანაც თვალნათლივი მიღწევის დადასტურებას ყალბი თავმდაბლობა მხოლოდ გააუფასურებდა.

ვიდრე გვეინ სტივენსი თავის სამყაროში ჩაკეტილიყო და მოყვარულ შერლოკ ჰოლმსსაც რჩებოდა „ქალაქში“, მწერლისა და მკითხველის თვალში ნაკლებ მომხიბლავად მოჩანდა, მაგრამ გამოსცილებოდა თუ არა თავის ჩაკეტილობას და რეალურ სამყაროში შეაბიჯებდა, „მხედრის გამბიტი“ იქნებოდა თუ „გვამის შემგინებელი“, აღმოაჩენდა, რომ ხალხი ენამებოდა, იტანჯებოდა და სჩადიოდა იმას, რაც არ უნდა ჩაედინა.

ამიტომაც ვერ ჩარჩებოდა შერლოკ ჰოლმსობაში და... ფოლკნერს ახარებდა მისი ეს არჩევანი: მე გვეინ სტივენსიც აღარაფერს მეკითხება და ისლა დამრჩენია მხოლოდ ჩავინერო, რასაც იტყვის და რასაც მოიმოქმედებსო.

ამიტომაც გარკვეულად ემიჯნებოდა თუნდ იმ შეპირისპირებით ანალიზს, გვეინ სტივენსი რომ გამოთქვამდა სამხრეთელებსა და ჩრდილოელებზე: ეს პერსონაჟის შეხედულებაა და არა აუცილებლად ჩემიო, — თუმც, ცხადია, შეუღამაზებლად წარმოაჩენდა რეალურ განწყობილებას, იმ ზიზღს, რაც ამ ორ მხარეს შორის არსებობდა, და მათ შორის კი ომის ექო ჯერაც ძალუმად ხმინებდა.

პერსონაჟი და ავტორი, რასაკვირველია, პირწინადად არც ამჯერად ემთხვევიან ერთმეორეს, მაგრამ გვეინ სტივენსის ამ ტირადაში უთუოდ გამოსჭვივის უილიამ ფოლკნერის შეხედულებანიც.

გვეინ სტივენსი იმითაც გამოირჩევა, რომ თვითგვემას არ ერიდება, ჩიკ მელისონს თავისი გაბედული საქცილის შემდეგ ცოტა არ იყოს მოგონილი რომ ეჩვენება ბიძის აღსარება, და, სამაგიეროდ, უფასებს მამას გულწრფელ სინანულს, რატომ დავიბადე მეტისმეტად ადრე ანდა პირიქით, მეტისმეტად გვიან, რატომ მე არა ვარ ახლა თექვსმეტი წლისა და რატომ მე არ მივაჭყენებ სიბნელეში ცხენს ბებერი, თავხედი, მარტოხელა ზანგის გადასარჩენადო.

ეგაა, ჩიკის მამას არ შეუძლია ჩანდეს ლუკას ბიჩემის პიროვნულ ღირსებას, რაც შეუმჩნეველი არ დარჩება გვეინ სტივენსს:

— ის ხომ ჯენტლმენია! — აცხადებს იგი ლუკასზე, რაოდენ გამოგონებულად უნდა იყოს ყველასათვის ზანგის შერაცხვა ჯენტლმენად, მაგრამ ჩიკ მელისონის ბიძა უსწრებს დროს თავისი მგრძობიარე ბუნების წყალობით და თამამად უსწორებს მზერას ყოველგვარ სტერეოტიპს, რათა მალევე კიდევ დაამსხვროს ანუ ეს აუცილებლობა სტერეოტიპთა მსხვრევისა საზოგადოებრივ აზრად და განწყობილებად დაამკვიდროს.

ვის-ვის და მას კი აქვს უფლება თვის-ტომეგან ამის მოთხოვნისა, რადგანაც ეს თუ ამგვარი მოსაზრებანი:

— სიბრალოე, სამართლიანობა, სინდისიერება — ეს ხომ რაღაც, ცალკეული ადამიანის ღვთაებრიობაზე დიდის რწმენაა, ესაა მისი მოდგმის ღვთაებრივობის რწმენა...

ანდა: — ჰო, არის ისეთი რამეები, რის მოთმენასაც არასოდეს უნდა დათანხმდე, რომელთა მოთმენაზეც უარი უნდა განაცხადო. უსამართლობა, დამცირება, უღირსობა, სირცხვილი. სულერთია, როგორი ახალგაზრდა ან მოხუციც უნდა იყო. არ უნდა დათანხმდე არც დიდების, არც გასამრჯელოს, არც გაზეთში საკუთარი პორტრეტისა და არც ბანკში გახსნილი ანგარიშის ფასად. უბრალოდ, თავს არ უნდა მისცე მათი მოთმენის ნება.

ნარდი

ციკლიდან: ჰომო ლუდენს

ედღენება ნიკა აგლაძესა და ლექსო დორეულს, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ მოკლული ქვების გასაცოცხლებლად

შუმერი და ივერი და აქადი და ნართი... — მათი იყო ეს თამაში — დიდებული ნარდი! რა თქმა უნდა, მაგარია ჭადრაკი და კარტი, მაგრამ მაინც სხვა რამეა უცნაური ნარდი! გააცოცხლე, თუ ბიჭი ხარ, ვთქვით, მაკედონელი! გააცოცხლე რუსთაველი, ვაჟა, პრუსტი, შელი... ვერ ვაცოცხლებთ, და ამისი გვაქვს უთქმელი დარდი! კაცს კი არა, ქვას აცოცხლებს — იცი შენ ეს — ნარდი! ან ილია, ან ედგარ პო გამაცოცხლებინა! ნეტა ეკა — დედა ჩემი — გამაცოცხლებინა! ან ტარია — ტარიელი! თინათინი! — თინა! — ჩემი საყვარელი ხალხი გამაცოცხლებინა... ხომ ცოცხლდება აგერ ქვები, წუთის წინ რომ მოკლეს! (იქნებ ამის გამო ჯობდეს სულაც გრძელ ნარდს მოკლეს)...

... ამ ცხოვრების — ამ თამაშის — ამბებს როცა ვყვები, მახსენდება ნარდის ქვები და... საფლავის ქვები...

მეტა-მორფოზა

გულდასაწყვეტია მეტად — ბოლო-ბოლო დარჩე მეტად!

პოეტი, უკლებლივ ყველა, მიმარჩნია მე ძმად, მე დად! გული მტკივა, რომელიმე როცა ბოლოს რჩება მეტად... იმ დღეს ერთი იმთავანი საათნახევარი მეთათ-ბირა სწორედ ამ თემაზე — ღირს თუ არა, დარჩე მეტად... როგორც მწამდა, ის ვუთხარი! — რა ვქნა, ვერ მივდივარ მე დათ-მობაზე, და ვურჩიე, რომ ნუ დარჩება ღატაკ მეტად... მეგობრული რჩევა იყო, თორემ იცით ალბათ — მე დად-გენილებებს არ ვიძლევი — გინდა დარჩე? — დარჩე მეტად...

ტიპი

გაიღვიძებს — ტანს იბანს! ძილისწინაც — ტანს იბანს! რა ქნას — უყვარს ქეიფი, სმა, გრიალი, ტანცი-მანცი! რა ქნას — უყვარს ტანცი-მანცი! ღვინოშიაც ტანს იბანს! კონიაკშიც ტანს იბანს! — რა ვქნათ — უყვარს ტანცი-მანცი! სახელს მაინც არ გეტყვი! გვარი? — გვარსაც არ გეტყვი! ისეც იცნობთ ყველანი ტიპს კი არა — არქეტიპს!

დიდი შავათი

— დამშვიდდით! დაწყნარდით! — ხვალღან ყველანი ამოვალთ ვალიდან! შეეშვით ნვეთებს და ვალიდოლს — დამშვიდდით, ამოხვალთ ვალიდან! მე თვითონ ვსესხულობ თამოდან, ვსესხულობ სალომე-სალიდან! ხვალღან კი არა — დღეიდან ამოვალთ, ვიცი მე, ვალიდან! მთელს ეზოს რომ ესმის მოცარტის გრიალი ამ ჩემი ხალიდან — მადლობა ჩემს ღმერთს და დიდ შავათს — უკვე ამოვედი ვალიდან!


პარლამია პოეტი

— გადაამეტოს უფალმა უფლებამოსილებას, და ამ გზით მოხდეს ბინძური სატანის მოცილება! რა მოხდა! — გადაამეტოს უფლებამოსილებას! (ნუ დაგვაბრალებთ, რომ ასე ვიფიქრეთ მოცილებებმა!)

თუ ასე, ამ გზით მივიღებთ მაგარ, სასურველ შედეგს, თქვით, რომ ამაში წილი მაქვს მეც — ვარლამია შეეთეს!

აყვანილი შვილავის ქება

ჩემი სალამი ამ ბიჭს — აყვანილს! ჩემი სალამი მის დას — აყვანილს! ჩემი მადლობა დედამამას მათსას — დალოცოს ღმერთმა მათი აყვანი!



ტარიელ ჭანტურია

ნიგნიდან: სიყვარულის შავი ყუთი

ჩემი სალამი კაცობრიობას! — ჩვენ — აყვანილებს! — დიდსა და მცირეს! ხომ ცოცხლები ვართ ყველანი დღემდე, თუმც გამუდმებით გვზოცეს და გვწირეს!

მინდა, ყველა შვილს — შეიღებს აყვანილს აყვანილებმა — ჩვენც გცეთ თაყვანი! მგონი გითხარით! არა? არ მითქვამს? — ვართ ჩვენ ყველანი აყვანილები — მამაღმერთისგან აყვანილები! სამოთხისათვის აყვანილები!

**N** თინას, თინათინს, თიკოს — დღეს — რუსს, დღეს სოვიეტიკოსს სულ რუსი იყოს უნდა? კაი ბატონო, იყოს! თუ კითხა თავის დროზე მამიკოს, ან დედიკოს, შვილი, ბოლოს და ბოლოს სად ან ვინ უნდა იყოს! იქნება ჯობდეს — ადგეს, თითები პირში იყოს — წამოარწყოს იქნებ ის თავის სოვიეტიკო! თუმცა არ იზამს თიკო, ვერც იზამს ამას თიკო — არც მამა ურჩევს ამას, არც და-ძმა, არც დედიკო! დაკარგა საქართველომ ლამაზი შვილი — თიკო! დაკარგა საქართველო ჭკვიანმა შვილმა — თიკომ!

საოჯახო თამაში

თამაშდება ჯილდო — თანაც განა ერთი — თამაშდება ორი მშვენიერი ქალი: სიხარული დედის, სიხარული მამის — სალომე და თამო! თამარი და სალი!

თავს გამოიჩინენ, რა თქმა უნდა, სწავლით. ააესებენ ოჯახს საუნჯით და დავლით! დრო მოვა და ტაშებს დაიმსახურებენ კარგი სიმღერით და პოდიუმზე გავლით!

თუ არ შეხვდა ბაბუს ლატარიით ჯილდო, ორ ლამაზ ქალს ბაბუ მოიტაცებს ძალით! — სულ შინ ეყოლება სალომე და თამო! სულ შინ ეყოლება თამუნა და სალი!

\*\*\*

...ღვთაებაზე მოფიქრალი — ახედავდა თამარი ცას, და თვალები მისი გავდა უშუმვენიერეს რინას... ..თამარი რომ ასცქეროდა — ვენაცვალე მე იმ ზეცას! თამარს გულზე რომ აყრია — შემოვევლე მე იმ მინას...

საბავშვო ლექსი, რომელიც კრეაზულში აღარ შევიტანე

ის ბავშვობა გამახსენდა: — მაგის დედა მოტაო! ზოგმა ბევრი დამიშავა, ზოგმა კიდევ — ცოტაო!

კათ მახსოვს ბავშვობიდან:

— მაგის დედა მოტაო! — დედამ რაღა დაგიშავა, ბიჭო, რეებს ბოდავო! — როგორ რა დამიშავა, მაგის დედა მოტაო! — შოკო — ყველას ბევრი და მე — ყველაზე ცოტაო! მე ყველაზე ცუდი ვარ? — მაგის დედა მოტაო! გინებაა, როგორც ჩანს, დღეს მთავარი მოდაო! — გინებაა! — კი-კი-კი! მეც დავრწმუნდი, ჰოდაო, თუკი მართლა მასეა, მათი დედა მოტაო! — ამის, იმის, იმათი — ყველას დედა მოტაო!

\*\*\*

ვალდებულია გონება, ზოგჯერ უბრძანოს გულს! — შეიყვაროს და შეიტკბოს, ვინც უსამართლოდ სძულს!

ვალდებულია გონება, გული გაყაროს უგვანს! — გადააყვაროს — თუ გულით ვინმე უღირსი უყვარს!

არ მოგეჩვენოს, გონება მეფედ მიმანდეს თითქოს! — ვალდებულია გონება, გულს ზოგჯერ რჩევაც კითხოს!

რაც შეეხება, ძვირფასო, რაც შეეხება სულს — ყველაზე მეტად მე თვითონ ამის გაგება მსურს...

გულუბრყვილო ლექსარობი

— სისხლი აწვიმს საქართველოს — მის მთებსა და მის ველებს! გულს ტკივილი მიმძიმებს და თვალს ცრემლები მისველებს! ღმერთო ჩემო! ღვთისმშობელო! მომეხმარე! მიშველე! — ამ ტანჯვიდან გასასვლელი მოკლე გზები მიჩვენე!

...თხოვნას გაჭირვებულისას დღემდე რომ ვერ ისმენენ — ზოგჯერ ღმერთიც, იქნებ ღმერთიც, ალბათ ღმერთიც ისვენებს...

გენეტური ლექსარობი

რაკი გამოყვა მამის გენები, გახდა ოსტატი დედის გინების! დედის გენები გამოყოლოდა, აგვაქოთებდა მამის გინებით! ცუდად გამოცხვა ხაბიძგინები? — აზრებს გამოთქვამს პაპის გინებით! — იცის გინება! სხვა მხრივ არაფრით გამოირჩევა დიდის გონებით! გამოირჩევა დედის გინებით! რა ქნას, ეს შერჩა მამის გენებით!

კიდევ კარგი, რომ მამამისივით არ გახდა რამეის ქურდი — განაბი! და, თუმცა არ არის ქურდი, განაბი, განაბებივით უყვარს კანაფი!

**ფორიაჰი**

ვწევარ. სამყარო მთელი აგერ, სანოლში მიწევს! გული ხან არ მაქვს, ხან მაქვს, ხან მიცემს, ხან არ მიცემს! ვარიგებ პლანეტებს და იმ პლანეტებზე — მიწებს! თანავარსკვლავედებში სულ მისვლა-მოსვლა მიწევს. თვალსაც შევავლებ, ხელსაც შავს და უშავეს სივრცეს — დედამიწელებისთვის ახალ პლანეტას ვარჩევ, უკმაყოფილო ხალხთა ვისმენ აბსურდულ სარჩელს...

...  
ვწევარ, სამყარო მთელი კვლავ ხელისგულზე მიდევს... ეს დღე მოელის ყველას, ვინც თავს ბალიშზე მიდებს... (გთხოვთ, გაუფრთხილდეთ ზღაპრებს, იმედის მომცემ მითებს...).

**ღაპრისია**

— სიბრალულით სავსეს და სინანულით შემკულს — კიდევ რას ვთხოვ, რა მიწა, რაღას ვერჩი ჩემ გულს! რა დამიტოვებია სასარგებლო ჩემთვის! — ჰოდა, რას ვთხოვ, რას ვერჩი მრავალტანჯულ ჩემ ტვინს! მაშინ ზოგჯერ რაღა მაქვს ეს სურვილი ავი — მოვკლა სწორედ ეს კაცი — საკუთარი თავი...  
...  
მერამდენედ იდება სიცოცხლესთან ზავი...  
...  
...ველარ გამირჩევია თეთრისაგან შავი...

**უბდა**

ციკლიდან: ლექსპერიმენტი

ერთს მივუმატოთ ერთი — უდრის, ცხადია, ორს!  
ცხენს მივუწვინოთ ვირი — ხანდახან უდრის ჯორს!  
შტერს მივუმატოთ შტერი — უდრის პასკვილანტ წყვილს!  
კაცს მივუმატოთ ქალი — ხანდახან უდრის შვილს!  
ქალს მივუმატოთ ქალი — უდრის ლესბოსურ წყვილს!  
ნესტო და ნესტო უდრის ერთ სურდოიან ცხვირს!  
გემს მივუმატოთ გემები — უდრის, ასე ვთქვათ, ფლოტს!  
კაცს მივუმატოთ არაყი — ხანდახან უდრის ლოთს!  
ერთს რას ვამრავლებთ ერთზე — მივიღებთ ისევე ერთს!  
მამა, ძე, სულიწმინდა — უდრის ჩვენს იმედს — ღმერთს...

კაცს მივუმატოთ დაღლა — უდრის რატომღაც ძილს...  
ძირს სიკვდილიც და ძილიც! ძირს!  
ძირს!  
ძირს!

**შენს გასაგონად, ჰატირო ეთირო...**

რატომ უყვარს ამ ქალს ქალი! — რად არ წვება კაცთან ნეტა! ...კაფებარი. კონო. ყავა. რუმბა. სამბა. კასტანეტა...  
ეს ბოზური საქციელი ლესბოსური არი ქცევა! ვერ ვიჯერებ, რომ ქვეყანა არც ამ ქცევით დაიქცევა...

**იმიერ მამაღლის — მამოზარ პოეტს**

ცრემლი ღიმილს შეუხამე — ჩაატარე შუალამე!  
აქეთ — ჩვენი სამება და იქეთ კიდევ — ჩვენი ჯამე!  
დარდი სვი და შხამი ჭამე, არ გქონია სხვა სიამე!

შე თათარო, შე ქართველო, რატომ ვერ იბაირამე!  
შენი ლექსი წავიკითხე! — ნაღდი! ნაღდი! კაი რამე!  
ჩონგური — შენ! დაირა — მე!  
თამარი — შენ!  
ნაირა — მე!

**ნარნარა ნოდარ გურაბანიძის ნიგნა**

გენიალური ტიპების ნამდვილი ზედახორაა: სესილია და ვერიკო, შავგულიძე და ხორავა... ყველა მკვდარია! და ამ დროს სუყველა არის ცოცხალი: ახმეტელი და ვასაძე! მარჯანიშვილი...  
ოცხელი...  
კარგია, ნოდარ, ამ წიგნებს შენც რომ სხვებისგან არ იწერ! მემატინავე ნამდვილო — იხარე, გურაბანიძე!

**\*\*\***

ამას რომ რამე დაემართოს — ამ დედამიწას — ჩვენ ვინ დაგვიხსნის, ვინ გვიშველის, ჩვენ ვინ დაგვიცავს...  
**„მარადიული!“** კარგით ერთი — **„მარადიული!“** — **მარადიული** ეს ერთია! — **ცა... უკვდავი ცა...**

...ბრძნული ფიქრების წრიდანაა ალბათ ეს ფიქრი — შოთას თემაა, კი ბატონო!  
ბრძენი შექსპირის...  
მაგრამ ამ ერთხელ მეპატიოს! — რა ვქნა, მეც მტკიავ...  
მეც ვწუხვარ ზოგჯერ იმ ბავშვივით...  
ზოგჯერ მეც ვტირი...  
...  
...ახედეთ ზეცას — ულამაზეს ზეცას მოწმენდილს — ახლაც შეასწოთ იქნებ თვალი ვარსკვლავს მონყვეტილს...

**გამოცდა**

*ექღვნება ყველას, ვინც გამოცდებს ან აბარებს, ან იბარებს*

დღეს დაიბადა ბიჭუნა! — არყოფნის საზღვრებს გამოსცდა და ცხოვრებაში მოვიდა, რომ ჩააბაროს გამოცდა! — სურს ნახოს შოთაც, სოკრატეც, სტალინიც, განდიც, კამოც და გაიგოს აზრი ცხოვრების — სურს ჩააბაროს გამოცდა! აპირებს, ჩაწვდეს სირთულეს, რომელსაც მე ამ სამოცდა-ათი წლის განმავლობაში ვერ ჩაეხვდი — ჩამჭრა გამოცდამ...  
ცხოვრება — ისე მწარეც და ცხოვრებაც — ასე ამოც და ზერთუელიც — უნდა გაიგო, რომ ჩააბარო გამოცდა...  
აპირებს — ბორხესს, ილიას, ვაჟას და ხუან რამონს და მათ მსგავსებს მოეთათბიროს — როგორ დაძლიოს გამოცდა!  
არ სურს, რომ მისი მზადებაც გამოდგეს უღიმღამო ცდა! — ვერ მოემზადე? ვერ ქენი? — ვერც ჩააბარებ გამოცდას...

**11 ივლისი, 2015**

მე ვარ ოთხმოცდასამის! ცოლიც — ოთხმოცდასამის! ცოლს ვუყვარვარ ძმასავით! ცოლი მიყვარს დასავით! ახლა მეც და ჩემს ცოლსაც იმედი გვაქვს დასავლის — ედემისკენ მიმავალ ღვთაებრივ გზის — დასავლის...

**\*\*\***

მას შემდეგ, რაც გულში ჩამიყენეს სტენდები — ფიქრიანო ღამევე, მეთათხედ თენდები!

რა მოვთხოვო მეტი ამ ცხოვრებას — ამ დებილს! — დიდებულო დღეო, მეთათხედ ღამდები!

რა მოვთხოვო მეტი ათას დღეს და ათას ღამეს — ჩემს ტანჯულ ფიქრს ათასს მომავალში გადასხამენ...

რატომაა ასე, ვერ გავიგე ჯერაც — სიცოცხლეზე მეტად სიკვდილის რომ მჯერა...

**\*\*\***

შემოვიტოვე უკან ოთხმოცი, რაც ხანი გადის, უფრო ვბერდები! იდიოტადაც გამომაცხადოთ — რა ვქნა, ერთ სიკვდილს ვერ დავჯერდები: ხარბი არა ვარ, მაგრამ ვერ ვიზამ და ერთ სიცოცხლეს ვერ დავჯერდები! — სიკვდილი რაა! — შორს მიმავალი კაცი უეცრად სადღაც ჩერდები...

**?**

სიყვარული ერთდროულად სიცოცხლე და სიკვდილია ლალატი და ერთგულება კატორღა და იდილია შხამია და ნექტარია ტანჯულია ნეტარია ბრმაა შორს გამხედვარია პოეტია მხატვარია ძილია და ღვიძილია ტირილია სიცილია ლამაზია მახინჯია ცოლია და საცოლუა მალაღია დაბალია ჭკვიანია დებილია ისე ისე ერთგულია ისე დაუნდობელია დასაწყისი მიწურვილი სიყვარული სიძულვილი ზოგჯერ სძულს და ზოგჯერ უყვარს ზოგჯერ ქმარი ზოგჯერ შვილი ფრთხილია და გაბედული დინჯია და ჩქარეული შინაური გარეული შხამი თაფლში გარეული მოგებული ნაგებული დანგრეული აგებული ლამაზია მახინჯია უდებია გაგებული ზოგი იტყვის მორცხვიაო ზოგის აზრით ურცხვიაო კაბაც ბევრი უკერავს და ტორტიც ბევრი უცხვიაო ადრე მკაცრი შინაბერა გაგიკვირდეს დღეს ბოზია სამშობლო ხან პარიზია ხანაც კიდევ ლესბოსია რაც ჩემს ლექსში ღიღინია ანდა ცრემლთა ღვარებია იშვიათად ვყვარებივარ მე ყოველთვის მყვარებია კამათია ცახცახია მონეტაა მინეტია ცუდად ბნედა ოხვრა კვნესა ლალატია მუნათია უსახელო ალერსია უსასრულო გინებაა ზოგჯერ ჭკუა ზოგჯერ კიდევ დაკარგული გონებაა განწირული ბევრჯერ თავი გატეხილი ხშირად ფიცი რაა მაინც არვინ იცის

რა თქმა უნდა არც მე ვიცი

**სიმღერა**

მოდი, მოდი, მოდი, მოდი მაგ მოდური ხალათით! ყველაფერი მომწონს შენი — მომწონს სულაც ლალატი! მომწონს შენი აივანი — სავსე ნივრის გალათი! ყველაფერი მიყვარს შენი — თუნდაც შენი ლალატი! შენ ხარ მუზა ჩემი ლექსის, პოემის და ბალადის! მხიბლავს შენი გაღიმება, შესავალი ლალატის! როცა თავზე ის რეგენი მოგახვიეს ძალათი — სწორი იყო მაშინდელი შენი მწარე ლალატი! ჰა შენ — გული! ჰა შენ — ლექსი და ვარდები — კალათით!

მენატრება შენნაირი უცნაური ლალატი...

დასასრული

სილვანებსა და ფანჯრებს, რომელთაც უბრალო ხალხი ინკუბებს უწოდებდა. სიტყვა ელფიც დემონური არსების მნიშვნელობით იხმარებოდა ინგლისურენოვან სამყაროში თითქმის XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე. და, აი, ეს ინკუბუსი, იგივე ელფი (ჩვენებურად ჭინკა ან სულაც ქაჯი) ერთ (ჩვენთვის უბედურ) დღეს, არც მეტი, არც ნაკლები, წმინდა ნიკოლოზის ეპითეტად იქცა. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რამ აიძულა თანამედროვე ცივილიზებული ადამიანი ეს მითური არსებები წმინდა ნიკოლოზთან დაეკავშირებინა? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა გავიხსენოთ 1823 წელს გამოქვეყნებული ანონიმი ავტორის ლექსი „წმინდა ნიკოლოზის სტუმრობა“, რომელსაც, მას შემდეგ რაც მოიწონეს, ავტორიც გამოუჩნდა — კლემენტ კლარკ მური. მკითხველმა შეიძლება, იკითხოს, რატომ ისურვა პოეტმა ინკოგნიტოდ დარჩენა? და მხოლოდ 14 წლის შემდგომ, 1837 წელს, რად განაცხადა — „წმინდა ნიკოლოზის სტუმრობა“ ჩემი დაწერილია? როგორც ჩანს, მწერალს მართლაც ჰქონდა სერიოზული მიზეზი 1823 წელს გამოქვეყნებულ ლექსზე საკუთარი გვარი არ მოეწერა. წესითა და რიგით, მას უნდა შეეძინებოდა მორწმუნე საზოგადოების რისხვის, რადგან წმინდა ნიკოლოზი, ეს უდიდესი წმინდანი, თავის ლექსში დემონურ არსებად — ელფად მოიხსენია:

*He had a board face, and a little round belly  
That shook when he laugh'd like  
a bowl full of jelly:  
He was chubby and plump,  
a right jolly old elf.  
And I laugh'd when I saw him  
in spite of myself...*

აი, რა უცნაური პორტრეტი დაგვიხატა პოეტმა. წმინდანის ხატი გარკვევით მეტყველებს, რომ წმინდა ნიკოლოზი არც მსუქანი იყო და არც ღიპიანი, ის გამუდმებით მარხულობდა, თანაც ჩვილობის ასაკიდან (ოთხშაბათ-პარასკევს დედის რძესაც კი არ იღებდა). ლექსის ლირიკული გმირი კი დაბალია, მსუქანი, პატარა მრგვალი ღიპით. თუმცა ავტორის ფანტაზია კიდევ უფრო შორს მიდის, მისი აზრით, წმინდანი თურმე ჩიბუხსაც ენეოდა, თუთუნის კვამლი კი გვირგვინივით ადგა თავზე (ამკარა პაროდია წმინდანთა შარავანდედზე).

დაიხ, როგორც ვხედავთ, კლარკ მურს მართლაც ჰქონდა მიზეზი თადარიგი დაეჭირა, ვინ იცის, ქრისტიანები აღშფოთებულიყვნენ, რადგან მის ლექსში წმინდა ნიკოლოზი გარეგნობით ელფს ჰგავდა, რაღაც ნიშნებით კი — ომის ღმერთ ოდინსაც, რომელიც სწორედ 25 დეკემბრის ღამეს ჩამოდიოდა ციდან თავისი რვაფეხებიანი ცხენით, სლიპნერთ, რათა ბავშვებისთვის საჩუქრები დაერიგებინა. ჩრდილოეთ ამერიკაში ამ თქმულებამ სახე შეიცვალა. ოდინი ბავშვებთან არა სლიპნერთ, არამედ მარხილით მიბრძანდებოდა, რომელშიც რვა ირემი იყო შეხმული. ამ-

რიგად, კლარკ მურმა წმინდა ნიკოლოზი მოხუც ელფსა და ოდინთან გააიგივა. სამწუხაროდ, მორწმუნე საზოგადოებას პროტესტი არ გამოუთქვამს, პირიქით, ლექსი მოიწონა კიდევც. მასზე დაწერა სიმღერა, შეიქმნა უამრავი საბავშვო კომიქსი, ხოლო მოგვიანებით — მიუზიკლები და მულტიფილმებიც. ხალხის მასკულტურით ზომბირებაში კი ის შედეგი გამოიღო, რომ დღეს ელფსა და ოდინს მიმსგავსებულ წმინდა ნიკოლოზს მილიონობით ბავშვი ელოდება საშობაოდ იმ იმედით, რომ დასაჩუქრდება.

აი, ასე უმტკივნეულოდ (თამამად შეიძლება ითქვას, სიმღერ-სიმღერითაც) ჩაენაცვლა ქრისტიანულ წმინდანს წარმართული ღვთაება და მითოსური დემონი. სამწუხაროდ, კლარკ მურის იდეა კეთილი ელფის შესახებ ბევრმა მწერალმა შეითვისა — მეტიც, განავითარა კიდევც. მაგალითად, ტოლკინის რომანებში: „სილ-

თემურ გაბუნია

ელფების სახეცვლილება

მარილიონი“, „ბექდების მბრძანებელი“ ელფები ადამიანების მხსნელებად და მფარველებად არიან გამოყვანილები, მაქცია ბეორი კი — ომის გმირად („ჰობიტი“), რომელთა დახმარების გარეშე თურმე სიკეთე ვერ გაიმარჯვებდა. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება წარმართული ღვთაებებისა და დემონების დადებით პერსონაჟებად გამოყვანასთან დაკავშირებით? რატომ უგულვებლყვეს რელიგიასა და ხელოვნებაში დამკვიდრებული მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად რობერტ პ. კრიდის ნარკვევის მოშველიება დაგვჭირდება, რომელშიც საუბარია იმ ტენდენციებზე, XIX საუკუნეში ევროპაში რომ მოძლიერდა. მაშინ, მკვლევრის აზრით, „ევროპის ყველა ქვეყანა ეძებდა ან ჰქმნიდა თავის სახელოვან წარმართულ წარსულს“ და „მოდაში იყო იმის მტკიცება, რომ ქრისტიანული ელემენტები „ბეოვულფში“, „ბერი იტერპოლატორის“ მიერ იყო შეტანილი.“ ამ ეპოქაში, კრიდის აზრით, ბევრს მოუწია დაებრუნებინა „კეთილშობილი, პირველყოფილი წარმართობა“, რომელიც ვითომდაც „შესუსტებული იყო ქრისტიანული „სენტიმენტით“ (რობერტ პ. კრიდი „ბეოვულფის ბოლოსიტყვაობა). და, აი, ამ ტენდენციას აყოლილ მწერალთა ნაწარმოებებში კვლავ გაცოცხლდნენ არა მხოლოდ წარმართი გმირები, არამედ ღმერთებიც და რელიგიური შეხედულებებიც. ზოგიერთმა სახელმწიფოებმა მწერალმა კი თავისი „ჯადოსნური კალმის“ შეხებით დემონები სიკეთისთვის მებრძოლ პერსონაჟებად აქცია. ამ ტენდენციას აწყვენ რეჟისორები და ანიმატორები, რომლებმაც უამრავი მხატვრული თუ ანიმაციური ფილმი გადაიღეს „კეთილ დემონებზე“.

და, აი, ტექნიკის სწრაფი განვითარების პირობებში, როცა უკვე არა მხოლოდ ნიგნებით, არამედ ვიდეო და აუდიო საშუალებებითაც ხდება ადამიანის ზომბირება, ჩვენს პატარებსა და თინეიჯერებს

(თუკი მათ მასკულტურის ზემოქმედები-გან არ დაეცვათ), ამკარად ემუქრებათ საფრთხე, გახდნენ წარმართული რელიგიის ფარული მქადაგებლების ერთგული მიმდევრები...

III

დასავლეთის თავყვანისცემა

ტოლკინის თხზულებებში ყველაფერი მნიშვნელოვანი დასავლეთში ხდება. დასავლეთშია ეგრეთ წოდებული წარმართული სამოთხე „ვალინორი“, რომელიც „კურთხეულ ავისგან დაცლილ“ კონტინენტ „ამანზე“ მდებარეობდა. იქ იდგა მანუეს (ზევის) ტახტი, ეგრეთ წოდებული ტანიქუეტილზე, ანუ ოლიმპოზე; იქვე იღვიძებენ ილუვატარის პირველშობილი ელფები, რომლებსაც მოგვიანებით ავტორი თითქმის ყველაფერს მიაწერს, რაც ადამსა და ევას და მათ შთამომავლებს თავს გადახდენია. სწორედ მათ ენიჭებათ

კურთხეულ მინაზე ცხოვრების ბედნიერება; ისინი არქმევენ სახელებს ყოველ სულიერსა და უსულოს; ქმნიან დამწერლობას; სიკვდილი პირველად ელფმა ფინუმ უნდა იგემოს და არა აბელმა; მათვე უნდა იხილონ სამოთხის ორი ხეც, რომელიც რატომღაც თურმე ქვეყნიერების დასავლეთით ვალინორში აღმოცენებულა და არა აღმოსავლეთით მდებარე სამოთხეში. აი, როგორ აღწერს ტოლკინი მათ შექმნას: ვალინორის შუაგულში ვალარებმა მრავალზარიანი ქალაქი ვალმარი ააშენეს, რომლის დასავლეთ კარიბჭის წინ იდგა მწვანე ბორცვი — ებელოჰერი (საგულისხმოა, რომ ვალინორიც დასავლეთითაა და მის შუაგულში მდებარე წარმართული ედემიც, ხოლო ის ბორცვი, რომელზეც შემდგომში ორი ბიბლიური ხე უნდა ამოიზარდოს, ვალარის დასავლეთი კარიბჭის წინაა). და, აი, იავანა (დემეტრა) ჯერ აკურთხებს ებელოჰერს, მერე კი ბორცვზე ჩამოჯდება და სიმღერით უბრძანებს მცენარეებს აღმოცენდნენ და იყვავილონ. სასწაულიც არ ახანებს, ჯერ ორი წვრილი ყლორტი ამოყოფს თავს, რომლებიც თანდათანობით იზრდებიან და მშვენივრდებიან, მერე კი ხეებად იქცევიან და ყვავილობენ კიდევ. თურმე ასე მოვლენია „ქვეყანას ვალინორის ორი ხე“, რომელთაც უკავშირდება „ადრინდელ დღეთა ყოველი მნიშვნელოვანი ამბავი“.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, რატომ ჩამოაშორა მწერალმა ადამიანები ყოველივე მნიშვნელოვანს, რად დატოვა ისინი ეგრეთ წოდებული წარმართული სამოთხის — ვალინორის გარეთ, ან რატომ საუბრობს მწერალი მრავალ გაღვიძებულზე და არა ადამსა და ევასზე? ამ კითხვებს, შესაძლოა, კითხვითვე ვუპასუხოთ: იმის გამო ხომ არა, რომ ტოლკინი არ აღიარებს ბიბლიური სამოთხის არსებობას და არც ადამიანს მიიჩნევს შექმნილად უფლის ხატად და მსგავსად?

ღმერთმა ხომ დედამინის მბრძანებლად


ადამი განამხნესა, სწორედ ის დასახლა სამოთხეში — „ღვთის ხელებით დანერგულ ედემში“, რომელიც აღმოსავლეთით მდებარეობდა, მთელ დედამინაზე უფრო მაღლა. მარადყვავილოვანი მცენარეებით გამშვენებული სამოთხის შუაგულში ღმერთმა ჩარგო ორი ხე — „ხე სიცოცხლისა და ხე ცოდნისა“.

დაიხ, სწორედ ადამი იყო ქვეყნიერების მბრძანებელი და არა მითური მანუე ან მისი ქვეშევრდომი ელფები. აი, რას ვკითხულობთ ბიბლიაში; „და თქუა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატად ჩუენდა და მსგავსად. და მთავრობდეს თევზთა ზღვისათა და მფრინველთა ცისათა და პირუტყვთა ყოველსა ქუეყანასა და ყოველთა ქუენარმავალთა, რომელნი ვლენან ქუეყანასა ზედა“. საგულისხმოა, რომ სწორედ ადამი არქმევს სახელებს ფრინველებს, ცხოველებსა და თევზებს და არა ანგელოზნი ან თავად უფალი. რას უნდა ნიშნავდეს ეს? იოანე ოქროპირის განმარტებით, ადამის მიერ სახელების დარქმევა მიგვანიშნებს მის აღმატებულობაზე ყოველ ცოცხალ არსებასთან შედარებით: „ადამიანებს ჩვევიათ, წარმოაჩინონ თავიანთი ძალაუფლების ნიშანი ამგვარადაც — მონების ყიდვისას ისინი ახალ სახელებს არქმევენ მათ; ზუსტად ასევე ღმერთმა აიძულა ადამი, როგორც მეუფე, სახელები დაერქმია ყველა პირუტყვისთვის...“

სამწუხაროდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველაფერს, რაც ადამიანს თავს გადახდენია, ტოლკინი ელფებს მიაწერს. ისინი არიან პირველშობილი, ადამიანები კი — მეორენი, ანუ შეგირდები, რომელთაც არც სამოთხეში ცხოვრების პატივი ჰქონიათ ოდესმე და არც ღმერთთან საუბრის. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ისინი, მწერლის აზრით, არა მხოლოდ მეორენი არიან, არამედ ნაბოლარებიც, ჯანსუხებიც, უზურპატორებიც, უცხოებიც, იდუმალებიც, თავდაწყველილებიცა და ღამის მოშიშრებიც. მათ თურმე მაშინ გაეღვიძათ, „როცა პირველი მზე დასავლეთიდან ამოვიდა“. ადამიანებს არც ილუვატარის (უზუნაესის) ესმოდათ რაიმე და არც ვალარების (ანგელოზების), ყოველ შემთხვევაში მანამდე, „სანამ ელფთა მოდგამს არ დაუმეგობრდებოდნენ“. თუმცა მერე ელფებმა კაცი დაიამხანაგეს, რის შემდეგაც ისინი თურმე „მათ თანამგზავრებად და შეგირდებად იქცნენ“ და ღვთაებრივ ძალეზე რაღაც ბუნდოვანი წარმოდგენაც შექმნათ.

გამომდინარე იქიდან, რომ ვალარები (ნივთიერი სხეულით შემოსილი უკვდავები) ქვეყნიერების დასავლეთით მდებარე ამანში ცხოვრობდნენ, ადამიანებსაც რაღაც ღვთაებრივისა და ამაღლებულის შესამეცნებლად (ტოლკინის აზრით) გული ვითომდაც ყოველთვის დასავლეთისკენ მიუწევდათ. ამრიგად, მწერალი თითქმის წინასწარ განზრახულად მოგვიწოდებს დასავლეთის თავყვანისცემისკენ, რაც ქრისტიანულ ტრადიციას ძირულად ეწინააღმდეგება, რადგანაც წმინდა მამები, მოციქულთა დაუნერულ გადმოცემაზე დაყრდნობით, ჩვენ აღმოსავლეთისკენ თავყვანისცემისაკენ მოგვიწოდებენ. აი, რას ვკითხულობთ წმინდა იოანე დამასკელის წიგნში „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმინვენიით გადმოცემა“: რადგანაც „ღმერთი არის გონიერული სინათლე... ქრისტე კი წერილში სახელდებულია „სიმართლის მზედ“ (მალაქ. 3. 20) და „აღმოსავლეთად“ (ზაქარ. 6. 12), აღმოსავლეთი უნდა განეკუთვნებოდეს მას თავყვანისცემისთვის, რამეთუ ღმერთს უნდა განეკუთვნებოდეს ყოველივე კარგი, ვისგანაც კეთილდება ყველა სიკეთე. საღვთო დავითსაც უთქვამს: „დედამინის სამეფოებმა აქეთ ღმერთი, უფსალმუნეთ უფალს, ზეამავალს ცათა ცაზე აღმოსავლეთით“ (ფს. 67. 33-34). კვლავაც ამბობს წერილი: „ღმერთმა დანერგა სამოთხე ედემში აღმოსავლეთით, სადაც დაამკვიდრა ადამიანი, რომელიც შექმნა“ (შესაქ. 2. 8) და რომელიც... შემდეგ სამოთხიდან გამოაქევა და დასახლა სამოთხის პირდაპირ — ცხადია დასავლეთით.

ამრიგად, ვეძიებთ რა დასაბამიერ სამშობლოს და მას მივპყრობთ რა მზერას, თავყვანს ვცემთ ღმერთს. ამასთან, მოსეულ კარავსაც აღმოსავლეთით ჰქონდა კრეტსაბმელი და სალხინებელი. იუდას ტომიც, როგორც უფრო ღირსეული, აღ-



მოსავლეთით იყო დაბანაკებული. სოლომონის სახელგანთქმულ ტაძარშიც უფლის კარიბჭე აღმოსავლეთით იყო მოთავსებული. თვით უფალიც ჯვარცმისას დასავლეთისკენ იყო მხედველი, ამიტომ ჩვენც ასე ვასრულებთ თავიანთსავე, მისდამი მზერამიპრობილი. ამასთან, იგი ზეამავალიც აღმოსავლეთით მალდებოდა. ასე სცეს მას თავიანი მოციქულებმა და ამგვარადვე მოვა, რაგვარადაც იხილეს ცისკენ მავალი, როგორც თქვა თვით უფალი: „რა სახითაც ელვა გამოდის აღმოსავლეთიდან და ჩანს დასავლეთამდე, იმ სახითვე იქნება ადამიანის ძის მოსვლა“ (მათ. 24. 27). ამიტომ, მოველით რა მას, აღმოსავლეთისკენ ვცემთ თავიანთს. ხოლო ესაა მოციქულთა დაუნერული გადმოცემა, რადგან ბევრი რამ დაუნერულად გამოგვცეს მათ.“

ასეთია ქრისტიანული ტრადიცია, ამის გამო ვდგებით აღმოსავლეთისკენ ლოცვისას, ხოლო როცა მღვდლის შეგონებით ნათლობისას დასავლეთისკენ ვტრიალდებით, რათა ვთქვათ „ფუი, ეშმაკ“, უთუოდ იმას ვგულისხმობთ, რომ უარყოფითი (ეშმაური) ენერგია დასავლეთიდან მოდის. სწორედ ტაძრების დასავლეთ კედელზე გამოსახულებები ხოლმე ჯოჯოხეთის სცენებსაც. მაშ, რა დამართნია ტოლკინს? რატომ მოგვიწოდებს ყველაფერი საპირისპიროდ გავაკეთოთ? ნუთუ მას მართლაც სჯერა, რომ პირველი მზე დასავლეთიდან ამოვიდა?!

IV

აპოკრიფული ლიტერატურის ხიბლი

აპოკრიფულ „ენოქის წიგნში“ უკვდავ სულებად შექმნილი არსებები — ანგელოზები — ფიზიკურ სხეულს იღებენ და დედამიწაზე ემგობიან. და, აი, მათ დაიწყეს ადამიანთა ასულებთან თანაცოფა, რის შედეგადაც იშვა ურჩ გოლიათთა მოდგმა. ეს ეპიზოდი აპოკრიფული „ენოქის წიგნიდან“ რალაციტ გვაგონებს დაბადების მეექვსე თავის მეორე ლექსს: „დაინახეს ღვთისშვილებმა, რომ მშვენიერნი იყვნენ ადამიანთა ასულები და მოჰყავდათ ცოლად ვისაც ვინ მოეწონებოდა“.

ეს ადგილი ოდითგანვე აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა ბიბლიის კომენტატორებში. მაინც როგორ უნდა გავგვაზრებინა „დაბადების“ მეექვსე თავი? ვინ იყვნენ ღვთის შვილები? რაბინები „ღვთის შვილებში“ თავადებს მოიაზრებდნენ, სხვა იუდეველი მოძღვრები კი — ანგელოზებს. ამ მოსაზრებას მხარს უჭერდა ზოგიერთი თანამედროვე ეგრეთ წოდებული „რაციონალისტი“ ქრისტიანი კომენტატორიც. მსგავსი აზრი იყო განვითარებული ფილოზოფის თხზულებებშიც. ადრექრისტიანულ ეპოქაში ეს თვალსაზრისი იმდენად გავრცელებული იყო, რომ მას ზოგიერთი წმინდა მამაც კი იზიარებდა, მაგალითად: წმინდა კლიმენტი ალექსანდრიელი, წმინდა ირინეოსი, ტერტულიანე და სხვები. თუმცა მართლმადიდებლური ეკლესია ამ მოსაზრებებს არ ეთანხმება. მისი აზრით, „ღვთის შვილები“ შეთის შთამომავლები იყვნენ. „მხოლოდ ეს მოსაზრება შეიძლება, ჩაითვალოს ტექსტუალურად, ფილოლოგიურად და ისტორიულ-დოგმატური თვალსაზრისით გამართლებულად“, ვკითხულობთ ლოპუხინის „განმარტებით ბიბლიაში“. რაც შეეხება კათოლიკურ ეკლესიას, წესითა და რიგით, ისიც ამ თვალსაზრისს უნდა იზიარებდეს, რადგან ნეტარი ავგუსტინე, რომელიც მართლმადიდებელთათვისაც და კათოლიკეებისათვისაც უდიდესი ავტორიტეტია, ღვთის შვილებში ცალსახად შეთის მოდგმას გულისხმობდა. ამ მოსაზრების ჭეშმარიტებაში ეჭვი ასევე არ ეპარებოდათ ისეთ დიდ წმინდა მამებს, როგორებიც იყვნენ: წმინდა იოანე ოქროპირი, წმინდა ეფრემ ასური, წმინდა კირილე იერუსალიმელი და სხვები. აი, რას წერს ამის შესახებ ნეტარი ავგუსტინე თავის ცნობილ წიგნში „უფლის ქალაქი“: „ის რაც ენოქის სახელით ვრცელდებოდა გოლიათთა შესახებ, თითქოს მათი მამები ადამიანები არ ყოფილან, გათავისუფლები და სამართლიანი აზრის გათავისუფლებით, არც უნდა მივანეროთ ენოქს. რადგან სწორედ ამგვარად, სხვა წინასწარმეტყველთა, ბოლოს კი უკვე მოციქულთა სახელითაც, ბევრი ისეთი რამ ვრცელდებოდა, რაც სათანადო კვლევის შემდეგ კანონიკურად აღარ მიიჩნის და აპოკრიფებად შერაცხეს“.

ამრიგად, ნეტარი ავგუსტინე აპოკრიფად მიიჩნევს „ენოქის წიგნს“, რომელშიც გოლიათების მამებად ანგელოზები მოიაზრება. საგულისხმოა, რომ წმინდა მამები არც უარყოფდნენ, ენოქის წიგნი ნამდვილად რომ არსებობდა, მათ უბრალოდ ჩვენამდე მოღწეული თხზულება მიაჩნდათ გადამწერთა მიერ დამახინჯებულად. წარღვრის დროს დაკარგული წიგნის აღდგენისას მისმა ხელახლა „შემქმნელებმა“, როგორც ჩანს, იმდენი რამ ჩაამატეს, რომ, უნებლიეთ, ენოქის თანაავტორებადაც კი იქცნენ. და მართლაც, განა პირდაპირი, ნატურალისტური მნიშვნელობით უნდა გავგვეტო ბიბლიური ტექსტები? მაგალითად, როგორ უნდა გავიაზროთ გამოხატულება: ნუ იმრუშებთ უცხო ღმერთებთან? ნუთუ ებრაელები ბაალსა და იშთარს თანაყოფოდნენ? არამც და არამც, სიტყვა მრუშობა ამ შემთხვევაში წარმართობის მიღებას ნიშნავდა, ხოლო კერძოთა თავიანთისცემა სულიერ გარყვნილებასთან იყო გაიგივებული. არც ეშმაკების (დაცემულ ანგელოზთა) შვილობა უნდა იქნას გაგებული პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან ამის შესახებ სახარებაში სრულიად გარკვევითაა ნათქვამი, რომ ეშმაკის შვილია ყველა, ვინც მის საქმეებს მისდევს, ხოლო უფლის ძეა ის, ვინც ქრისტეს აღიარებს და მის მოძღვრებას იცავს. მაცხოვარმა მშვენივრად უწყის, ებრაელები აბრაამის შთამომავლები რომ არიან, მაგრამ მაინც ეშმაკის შვილებს უწოდებს მათ: „თქვენ მამისა ეშმაკისაანი ხართ და გულისთქუმათა მამისა თქვენისათა გნებავს ყოფად“. როგორ უნდა გავიგოთ ეს ეპიზოდი იოანეს სახარებიდან? როგორც ცნობილია, ჩვენ ხილული (სხეულებრივი) და უხილავი (სულიერი) ბუნებისგან ვართ შედგენილი, ასე რომ „თავიანთისცემასაც ორმაგს შევწირავთ შემოქმედს — გონებითაც ვფსალმუნებთ და სხეულებრივი ბაგეებითაც“ (წმინდა იოანე დამასკელი), სულითაც და სხეულითაც, ჩვენი სული მეფეა, რომელიც მინით აშენებულ ტაძარში ცხვრობს. ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩვენს წარმომავლობას კი არ აქვს (ანუ იმას, თუ საიდანაა აღებული ის მინა, რომლისგანაც შეგვქმნეს), არამედ როგორ ვართ განწმენდილი ქრისტიანული საიდუმლოებებით (ნათლობით, ზიარებით, შვიდგზის ზეთისცხებით...), მთავარი ჩვენი საქმეებია და არა წარმომავლობა.

ამრიგად, ის, ვინც პირდაპირი ნატურალისტური მნიშვნელობით იღებს ბიბლიურ გამოხატულებებს ადამიანთა უცხო ღმერთებთან მრუშობის შესახებ, წარმართობისკენ არის გადახრილი, რადგან სწორედ კერძოთავიანთისცემები მიიჩნევენდნენ შეუვალ ჭეშმარიტებად მათ მიერ უკვდავ ღვთაებებად შერაცხილ (ზევისის, პოსეიდონის...) და მოკვდავთა ხორციელ თანაცოფას. მსგავსი პოზიცია აქვს ტოლკინსაც. „სილმარილიონში“ უკვდავ სულებად შექმნილი არსებები (ვალარები, ელფები...) არათუ თვითონაც მრავლდებიან, არამედ ადამიანებზეც ქორწინდებიან და დედამიწასაც ავსებენ თავიანთი ნაშეიერით. მწერალი თავის თხზულებებში, დიად ძალებზე, ანუ ვალარებზე მსჯელობისას, ძირითადად, სწორედ წარმართული რელიგიისა და აპოკრიფული ლიტერატურის ზღაპრული სიუჟეტებით საზრდოობს. ტოლკინმა თავის პერსონაჟებს უმრწყალოდ გააძარცვინა ბიბლიური პატრიარქები: ელფებმა ადამს სამოთხე წაართვეს, აბელს — სიკვდილში პირველობა, ენოქს დამწერლობისა და პირველი წიგნის შემქმნელის სახელი. ტოლკინს არც შეთის შთამომავლები დავიწყებია. მწერალმა მათ ნაცვლად ღვთისშვილებად ელფები აღიარა, რის შედეგადაც სწორედ ისინი აღმოჩნდნენ უფლის უსაყვარლესი ღვთაებრივი სინათლით გასხივოსნებული არსებები. ტოლკინის თხზულებები ელფთა ქებაა, რალაც წარმართული საგალობელია მათ სადიდებლად შექმნილი. მწერლის თხზულებების გაცნობისას ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ავტორს მათი შექმნისას წინ ბიბლია ედო და ცდილობდა, წმინდა წერილში გამოთქმული ყოველი უმნიშვნელოვანესი დეტალი შეგნებულად დაემახინჯებინა. ასე რომ, მსგავსი ლიტერატურის კითხვისას დიდი სიფრთხილე გვმართებს, რადგან ადრეულ ასაკშივე ბიბლიის არასწორი გააზრება, არა მხოლოდ გაორებით, წარმართობის წყვიდად შთანთქმითაც ემუქრება ადამიანს.

დასასრული

არა მისი მჭევრმეტყველების ნიმუშია, არამედ — ზნეობრივი პრინციპები და ცხოვრების წესი.

ამიტომაც განსაზღვრავს თავისი დისწულის ბედსაც იდუმალი ზეგავლენით, რაც მელისონმა რალაც უხილავი ბარიერი რომ უნდა ჩამოგადოს ერთ ღამეში და საკუთარი თავი იპოვნოს — სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი გვეინ სტივენსისა, გამოძიება ვინც უნდა წარმართოს და კიდევ გახსნას გონებამახვილური გზით.

არადა... „გვამის შემგინებლის“ თხრობა მაინც აცდებოდა დეტექტივს, აბა, რა მოხდებოდა ფოლკნერის ხელში!..

დაუნებოთ კი არა სწუნობდა ამ ჟანრს, მაგრამ... რაიმე ჩარჩო და ფოლკნერი?!

ასეთი ფილიგრანული ხელოვნებით წარმოსახული...

როსტომ ჩხეიძე

სასწაული ერთი ღამისა

უილიამ ფოლკნერი და მისი ქართველი მეგზური

ისეთივე ფსიქოლოგიური ჩაღრმავებით, მკითხველი ამ პროცესის შუაგულში რომ იგრძნობს თავსო...

ეს — ინგლისურენოვანი მკითხველი, ამ ენის ამერიკული განშტოების მდინარების შემგრძნობი, თორემ ხელიდან გაუსხლტება ფოლკნერის სტილისტიკის მთელი ექსპრესია და სილამაზე, მის ვრცელ პერიოდებში გაშლილი, ფრაზების „ტვერისა“ თუ „ლაბირინთის“ სიღრმეში ჩამალული, თხრობა მორევივით რომ ბორგავს, გითრევს და... კიდევ გაზიარებს იმ საიდუმლოებას, პერსონაჟთა გვერდით ცხოვრების განცდა რასაც ჰქვია, სულაც მისი გმირების ტყავში გამოხვევა, იმ გმირებისა, თვითონ მწერალსაც რომ აღარ ემორჩილებოდნენ, თავისუფლების სუნთქვას იგრძნობდნენ თუ არა... გარბოდნენ და მისდევდა ესეც გაფოთებული, გულამოვარდნილი და შეფიქრიანებული, ვაითუ ჩამოვრჩე და ვეღარ მოვასწრო ჩანერა, რას იტყვიან ან რას მოიმოქმედებენო...

ჩაგითრევს, აბა, რა იქნება, როდესაც თხრობა ასეთი დაგემოვნებულია ანუ მთხრობელი თვითონაც ტკებუა ენის შეგრძნებით და შენს დატკობასაც ღამობს, და ამ განზრახვას აღასრულებს იმ მხატვრული მანერით, რომ ენასაც პერსონაჟად აქცევს.

ძალზე ძნელი აღსასრულებელია ეს ჩანაფიქრი?

ენის სტიქია ადვილად ვერ ემწყვეტება ამ სტილურ მანერაში და მისგან თავდალწევას ღამობს?

სამაგიეროდ, ნაყოფია რალაც იშვიათი, ციხე-სიმაგრესავით რომ აღმართება ჭეშმარიტი პროზის გადასარჩენად.

კიდევ გაზიარებს იმ საიდუმლოებასო...

და რაოდენ უნდა გქონდეს გაშინაგანებული ეს უკიდევანო მხატვრული სამყარო, იოკაპატოფას ოლქის მცხოვრებთა ფსიქოლოგია და, ამასთან, შენი მშობლიური ენის სტიქია, რომ უილიამ ფოლკნერის ურთულეს და ულამაზეს მტყველებს შესაფერისი კამერტონიც მოუნახო და მთელი თავისი ნიუანსობრიობითა და შთაბეჭდილობითაც გადმოშალო.

ზაზა ჭილაძე რასაც აღწევს!..

ასე აქცია ქართული ლიტერატურის სრულფასოვან ნაწილად უილიამ ფოლკნერის „ავგისტოს ნათელი“ და „დროშები მტვერში“ (მოთხრობებზე რომ აღარაფერი ითქვას, თუმცა... ფოლკნერს აკი მოთხრობისა თუ ნოველის დანერა რომანზე უფრო ძნელ საქმედ მიაჩნდა!), და აგერ „გვამის შემგინებლის“ ქართული ვერსიაც იმ რანგის მოკვლევად წარმოგადგება, თითქოს ამერიკულ მწერალს... ქართულად დაეწეროს.

ეს კი გულისხმობს, რომ ქართულად ამეტყველებული ფოლკნერის ენა ინარჩუნებს პერსონაჟობას.

ზაზა ჭილაძეს არსად გამოუთქვამს თეორიული შეხვეობა თარგმანის ირგვლივ და არც საკუთარი მთარგმნელობითი მეთოდი გაუმჟღავნებია, თუმც

ფოლკნერის რომანთა ამ ვერსიების მიხედვით ადვილად შეიძლება ამოვიცნოთ, რომ იგი იმავე მხატვრული მრწამსის მიმდევარია, გერონტი ქიქოძე თუ ვახტანგ ჭელიძე ასე რომ აყალიბებდნენ და თავიანთი მთარგმნელობითი ღვაწლითაც დასტურებდნენ: თარგმანი ისეთი უნდა იყოს, შთაბეჭდილება გრჩებოდეს, უცხოელ მწერალს ქართულად დაუნერიაო.

\*\*\*

გაცდებოდა, აბა, რა იქნებოდა უილიამ ფოლკნერი დეტექტიური ჟანრის საზღვრებს, როდესაც მშობლიურ სტიქიაში იგრძნობდა თავს — ყმანვილკაცის სულიერი გარდატეხის შემსწრე შეიქნებოდა და ძალდაუტანებლად მოინდომებდა, მკითხველიც ამ ურთულესი ფსიქოლოგიური პროცესის, ერთი ღამის სასწაულის თანამონაწილედ ექცია.



ვერ ჩაითრევდა თხრობის მორევივით თუ რა — დაუსრულებელი წილსვლენითაც!..

მთარგმნელთა ჭაპანწყვეტა კი მას რატომ უნდა ენაღვლა, დაე თვითონ ეტეხათ თავი ამ სტილურ-ენობრივი შთაბეჭდილობის სრულფასოვან განმეორებაზე. კიდევ იტეხდნენ თავს, არც ჭაპანწყვეტას მოერიდებოდნენ. და ყველა თუ ვერა, ცალკეული მთარგმნელები ხომ მაინც გადალახავდნენ ყოველგვარ დაბრკოლებას და უილიამ ფოლკნერს ღირსეულად უმეგზურებდნენ თავთავიანთ ენობრივ სივრცეში.

და ემატება ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეშიც „ავგისტოს ნათელს“ „დროშები მტვერში“, და კიდევ „გვამის შემგინებელი“, და კიდევ...

\*\*\*

ზღვა დაძრულიყო დეტექტივებისა ამერიკულ რეალობაში.

ხორავდებოდა ამ ჟანრის ნიმუშები მის ოჯახშიც.

შვილები გატაცებულიყვნენ ჩახლართული, დაძაბული სიუჟეტებით.

ამათ მოსაწონს მაინც როგორ ვერ დავწერ, — ფიქრობს ფოლკნერი, გვეინ სტივენსის მოკავშირეობით დაიმედებული. რა დანაშაული უნდა მოხდეს იმისთანა, იმან ვერ მიავნოს, ვერ ამოიცნოს, ვერ გახსნას, ეს კი კვალდაკვალ გაჰყვება და მოასწრებს ჩაინეროს, რასაც დეტექტივად გარდასახული ადვოკატი იტყვის და მოიმოქმედებს.

მთავარია, თვალთავან არ დაეკარგოს. ამბავი კი... დაე განსხვავებულიც გამოვიდეს იმისაგან, რაც ჩაუფიქრებია, უილიამ ფოლკნერმა ეს არ ინაღვლოს!..

\*\*\*

ამ ორ პირობის წერილს, როგორც ორ ფურცელს ჩემი სოფლის — ძველი გავაზის ცხოვრებიდან ისე ვთავაზობ მკითხველს:

პირობის წერილი

ჩემი წელსა ოფდონობის ბ-ს დღეს ჩვენ ქვემოთ ამის ხელის მომწერელი სოფელს ძველ გავაზში მცხოვრებელ მღვდელმა აზარია მირონოვმა და ნიკოლოზ საგინაშვილმა დავწერეთ ესე პირობის წერილი და დავსდევით ჩვენ ორ შუა, მას ზედ რომელ ჩვენ გვექონდა ორთა დავა წისქვილის წყლის რუგზედ და მოვშველდით ჩვენს ჩვენის თანხმობით. ასე რომ მე ნიკოლოზ საგინაშვილმა ჩემს სამიჯნობლიდან წყალს დაუდევო მამუელი სადაცა გადმოდის იქ ორი არშინი და ორი ვერძოვი სიგანე, ოთხი ადლი სიგრძეზედ ჩემს მამულში მოგეცა წყლისთვის, ამასთანავე ამ პირობასაც ვადასმე ჩაყრა წყლის რუგში, რათა არ შეგუბდეს წყალი და არ მიეცეს ზიანი წისქვილსა. უკეთუ ჩემის მხრიდან წყალი შეგიგუბებ და წისქვილი ვაზარალე, შენ სასარგებლოდ სრულებით და ნაღდად გადმოგეცე თქვენი მღვდელი აზარია მირონოვს, ჩემი მამული, რაიცა აქ მოხსენებულია. აგრეთვე მე მღვდელი აზარია მირონოვი ვსდებ ამ პირობასა, რომ როგორათაც შენ საგინაშვილი შემოღობამ სამიჯნობელზედ ნახევარსა, მეც მოვალე ვარ იმ კვალად შემოვლობო ნახევარი. უკეთუ ჩემის ბარობიდან ზიანი მოგეცეს რამ შენ საგინაშვილს, მოვალე ვარ რაიცა ზიანი გექნება გადავიხადო შენს სასარგებლოდ, აგრეთვე მე მღვდელი აზარია მირონოვი მოვალე ვარ როდესაც ქვიშა მოზიდოს წყალმა რუგში, ანუ ქვა, ან ხე, უნდა შეგატყობინო და შენის თანხმობით ამოვწმინდო და გამოვიტანო შენის მამულიდან ჩემს ხსენებულს ოთხს ადლზედ. უკეთუ ჩვენგანა რომელიმე პირი გადავიდეს ამ პირობის წესსა, გადავიხადო მართლის სასარგებლოდ. ხელს ვანერთ ჩვენი ყაბუღით ერთმანეთთან.


ამან წერა არ იცოდა, ამის თხოვნით ხელს ვანერ და მოწმეცა ვარ მიხეილ საფაროვი.

პირობის წერილი

1919 წელსა ენკენისთვის 2 ბ-სა დღესა ჩვენ ქვემოთ ამის ხელის მომწერლებმა მცხოვრებლებმა სოფელ ძველ გავაზში თედო და იოსება ივანეს ძე ხუციშვილებმა ავიღეთ ვალი ჩვენი საჭიროების გამო შენ მცხოვრებელი ამავე სოფელ ძველ გავაზში გეურქა მარტიას ძე ოხანეზოვისაგან ოთხიათასორმეცდაათი თუმანი ნაღდი ფული ექვსის თვის ვადით და ამ ზემორე მოხსენებულის ფულის დაახათრიჯანებლად, ჩვენ ხუციშვილებმა დავაგირავეთ ჩვენი საკუთრება მდებარე სასახლე მამული, რომელიც მდებარეობს ჩვენს სოფელში ჩვენი სასახლისა და წისქვილის გვერდით. მოხსენებულ ზომებითა სასოფლო გზიდგან ზემოთ ჩრდილოეთისკენ სიგანე შვიდი საუენი სადაც მივა ზომა სიგრძისა სიმონა კიკნაძის მამულის სამიჯნობელზედ, რომელიც არის მიჯნება შუა: მზის ამოსვლის მხრიდან ჩვენივე მამულის მიჯნა დასავლეთის მხრიდან ვანო ხატიაშვილის მამულის მიჯნა, სამხრეთით სასოფლო გზა და ჩრდილოეთის მხრივ სიმონა კიკნაძის მამულის მიჯნა. რომელიც ამ ჩვენგან დაგირავებულ მამულის ფლობლობაში დღეისგანვე შეგიყვანეთ შენ ოხანეზოვი და გაძლევთ სრულს ნებას, რომა მასში შენ გააშენო შენობა გსურდეს ქვტკირისა ანუ ფიცრული და აგრეთვე ალაშენო ხეხილი. ჩვენ არ შეგვეძლება წინააღმდეგობა. ჩვენ ხუციშვილები მოვალენი ვართ რომ ზემორე მოხსენებულ ვადაზედ ჩვენგან აღებულ ოთხიათას ორმოცდაათი თუმანი ნაღდი ფული ჩაგაბაროთ და რაიცა იყოს შენგან ნაშრომი შენისა და ორის პატიოსანის კაცის შეფასებით ჩაგაბაროთ. შენ შენის მხრივ მამული გაგვითავისუფლო და უკეთუ აქ ხსენებულ ვადას ერთი დღეც გადავაცდინოთ, ჩვენ ხუციშვილებმა, მაშინ ჩვენგან დაგირავებული ზომის სასახლე მამული შენს ფულში და ნაშრომში შენ ოხანეზოვს დაგვრჩეს საუკუნოდ და სამიჯნობლივით, რომელი ჩვენ აქ ხსენებული ხუციშვილებს და ჩვენს სახლის მომავალთ ან გვარეულობას არ შეგვეძლოს შემდეგ ვადისა ფულის შემოძლევა და ჩვენგან დაგირავებული

ლეილა ბეროშვილი

გამოზამთრება



მამულის უკან გამოთხოვა. აგრეთვე არ შეგვეძლოს არა რომელიმე დღეს ჯეროვან სასამართლოში გასაჩივრება, სადაც ჩვენ ვიყოთ ყველგან გამტყუნებულნი და თუ რაიმე ხარჯი მოგგვაროთ ჩვენის წინააღმდეგ გასაჩივრებით მაშინ ჩვენ გარდავიხადოთ შენ ოხანეზოვის სასარგებლოდ და ესე ჩვენგან მონიჭებული პირობებით გირავნობის წერილი დარჩეს სრულს ხსენებულს ძალაში რაზეც ხელს ვანერთ ჩვენი სრული ყაბუღია.

თედო ივანეს ძე ხუციშვილი ამის უნიგნობის გამო, ამის თხოვნით ამის მაგიერ და ჩემს მაგიერ ჩემს საკუთარ ხელს ვანერ თედო ივანეს ძე ხუციშვილი ამ გირავნობის წერილს ვამოწმებ თედო და იოსება ხუციშვილების თხოვნით. ძველი გავაზის გამგებობის მწევრი ნიკო ბუთიაშვილი. ძველი გავაზის კომიტეტი, სტარი გოვოზკი კომისარ. ტელავსკი უზებ.

\*\*\*

ბებიჩემი: გიგო კოჭლამაზაშვილის ოჯახი ეხმარებოდა ჩვენს რეპრესირებულ ოჯახს. გიგო, ნელში მოხრილი, ფანჯრის ძირძირ გაირბენდა და ერთ ბუხანკა პურს გადმოგვიგდებდა...

ორი წერილი

\*\*\*

„სალამი ლეილას შენ ისე ნახვედი აქედან, არავითარი მიახლოებითი კოორდინატებიც კი არ დატოვე.“

ახლა ენდებუ გნერ — თუ შინა ხარ, ხომ კარგი, თუ არა და როგორმე მოგაწვდენენ ხმას.

ხმის მოწვევსა კი აუცილებელია. თუ მეხსიერება არ მალაატობს, ძალიან (შეიძლება, ვაჭარბებ) გინდა მოსკოვის ორწლიან კურსებზე მოხვედრა.

გაზაფხულზე ისე იყო გამოცხადებული, რომ წელს სასცენაროზე არ მიიღებდნენ, ახლა კი ოფიციალურად გამოაკრეს განცხადება, ქალიც ჩამოვიდა იქიდან და ირკვევა, რომ ხუთიდან რვა კაცამდეც კი შეუძლია, გაგზავნოს მარტო ჩვენმა რესპუბლიკამ.

მე უკვე მოველაპარაკე ელდარ შენგელაიას, „კინოშნიკების“ კავშირის მდივანს (ერთ-ერთს) და ძალიან კმაყოფილი დარჩა შენი კანდიდატურით.

ახლა შენ თუ არ გადაგიფიქრებია, ერთი კვირის შემდეგ ჩამოდი და შევუდგეთ საქმეს.

პირობები ასეთია: ბინა და ასი მანეთი სტიპენდია.

სხვა რა შეიძლება, მოითხოვო მეტი! მამაშენს უთხარი ჩემს მაგივრად — დროა, კახელებიც გავცდეთ ავჭალას და დირისსჭალას-თქო!

რატომ ერთი კვირის შემდეგ? ხვალ აქ ფესტივალზე მორჩენილი ფილმებისა და თეთრი მაიმუნების ჩვენება იწყება და ერთ კვირამდე ვერც ერთი კინოში ვერ მოიცილს სხვა რამისთვის.

ერთი კვირის შემდეგ კი ლომებივით შეუდგებიან საქმეს.

ჰო, სწავლა სექტემბრიდან იწყება. დღეს სამშაბათია. მეორე ორშაბათსამშაბათს რომ ჩამოხვიდე, კარგი იქნება.

მანამდე წერე და ჭამე ნამდვილი კახური კიტრი და პამიდორი, პური და ყველი, რომ მოლონიერებულ დახვედ ახალი გზის დასაწყისს...

წინასწარ გილოცავ ამ გზასაც.

მოკითხვა დიდი პატივისცემით და თავის დახრა ჩემს ძმა ილოს! იყავი კარგად და მაგრად.

რეზო ინანიშვილი დიდ, დიდ ბოდიშს ვიხდი ასეთი ნაუცბათევი წერილისთვის. თუ შენ ვერ გაარკვიო, ილო მოგეშველება. მაგასაც პროკლე კეკელიძისგან მოუსმენია ტექსტოლოგიის ლექციები და ახლა მინც გამოადგება მასწავლებლის შენაგონები. კიდევ კარგად და კარგად!“

ალექსანდრე (საშა) მახარაძის გახსენება

„ლეილა! იაშა ბობოხიძემ წამიყვანა ნახევარი საათით, ახლა 11 საათია, თორმეტის ნახევარზე დავბრუნდები, არ გამეცე. სალამით საშა.“

ნიგნში ჩარჩენილი ეს წერილები შემთხვევით ვიპოვე.

ბატონი საშა, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთავარი რედაქტორი — ვალში ვარ მასთან — ვერ გავაცოცხლე უკანასკნელ გზაზე.

მუდამ ქალაქებში ჩაფლული იჯდა თავის კაბინეტში, ქალაქებში ხელში მიხუსხუსებდა კორიდორშიც.

ჩემდამი რატომღაც განსაკუთრებულად კეთილგანწყობილი იყო. ერთხელ უცნაური რამ მითხრა: მოდი, ვიმეგობროთ — ხან შენ მოხვალ ჩვენთან, ხან მე და ხათუნა შენთან...

ეს რაღაც ძველი ყადის შემოთავაზება იყო — ძალიან კი ამაღელვება. თუ ხელში ჩამიგდებდა, საოცარ ამბებს მიყვებოდა.

პირველმა მსოფლიო ომმა მატარებელში მოუსწრო... ჩვიდმეტი წელი კალიმაზე იყო გადასახლებული მისი ოჯახის ეროვნულ დემოკრატებთან კავშირის გამო — გრიგოლ ვეშაპელის მუხლზე ვარ გაზრდილი, ამბობდა.

კამერაში პირველად რომ შეიყვანეს, სუფრა გაშალა და ყველა მიიპატიჟა. სუფრაზე წიხილი უკრეს და ფული მოსთხოვეს. არა მაქვსო, რომ უთხრა მაყურებელს, ჩხრეკა დაიწყეს, ვერაფერი უპოვეს...

ბოლოს ბატონმა საშამ მაყურებლის ლეიბი ასწია და... ფული იქ აღმოჩნდა. ძალიან დაუფასდა ეს ოინი, სადაც გადაწყვედათ, ამბავი ხედებოდა — ჩვენთან, და ყველგან პატივით იღებდნენ...

ბანაკიდან გათავისუფლებული სამი კვირა ცდილობდა ჩამომდგარ მატარებელში ასვლას...

კინოსტუდიის სასადილოში მხოლოდ არაფანს მიირთმევდა — მე ძალის ხორცს არ გეახლებითო... ეს იყო მისი პროტესტი რეჟიმის მიმართ... და ფრთხილი იყო, ფრთხილი, არასოდეს ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა...

თანაპოლკელი გერმანე ჭილიძე მირზა გელოვანს იგონებს

1938 წლიდან ქალაქ ხარკოვში ვცხოვრობდი. 1939 წლის დეკემბერში გამაგზავნეს თეთრფრინელების წინააღმდეგ საბრძოლველად. 1940 წლის აპრილში დავბრუნდი ისევ ხარკოვში და ვმუშაობდი ავტოსატრანსპორტო პოლკში — ამბულატორიას ვხელმძღვანელობდი.

იმ დღეს ავადმოყოფა ნიგნში მირზა გელოვანი აღმოვაჩინე. საექიმო დახმარება გავუწიე და გამოვიკითხე ვინაობა.

თავის თავზე ცოტა რამ მითხრა — მე მხოლოდ დამწყები მწერალი ვარ, ქართვ-

ელ მწერლებს კი კარგად ვიცნობო. ხარიტონ ვარდოშვილს თუ იცნობთქვა.

ვიცნობო და მიამბო: ერთხელ ხარიტონი ქართველ მწერლებს სარდაფში ხაშზე დაუპატიჟებიათ. ხაშთან ერთად პატარა ჭიქით არაყიც მიურთმევიათ. ხარიტონს არაყზე უარი უთქვამს — ვერ დაველოვო, მაგრამ მწერლების დაჟინებით, სამი-ოთხი მონრუვით ძლივს დაუღევია. უთქვამს — ძლივსლა შევსვი ეს არაყი.

მირზამ საოცარი სიზუსტით გასცინა ხარიტონს.

აქედან დაიწყო მირზასთან ჩემი მეგობრობა.

ერთხელ საუბარში ვუთხარი, რომ ესწავლობდი ბალადის დანყებით სასწავლებელში, მასწავლიდა მ. მაქსიმელიშვილი. აღმოჩნდა, რომ მირზას მაქსიმელიშვილის ექვსი ქალიშვილიდან ერთ-ერთი უყვარდა — სახელიც მითხრა, მაგრამ აღარ მახსოვს. მირზა ბევრს ფიქრობდა თავის სატროფზე, ნატრობდა მასთან ოჯახის შექმნაზე, მაგრამ ომმა მოგვისწრო და აღმოვჩნდით მოსკოვის მისადგომებთან — მოსკოვის დასაცავად ვიბრძოდით.

მირზა პოულობდა დროს მისი სატროფის დის სანახავად, რომელიც იმ დროს მოსკოვში ცხოვრობდა.

მირზას ნაწილიდან ხშირად აგზავნიდნენ სხვადასხვა დავალებით ავტოკოლონასთან ერთად. საქმეს ყოველთვის წარმატებით ართმევდა თავს.

მაღე დაანინაურეს — ოფიცერი გახდა 1942 წლის ნოემბრიდან, მეშვიდე ავტოსატრანსპორტო პოლკიდან.

სამწუხაროდ, მიწერ-მოწერა არ გვექონია.

1944 წლის 14 ივნისს გზად ვიტებსკის ოლქში ნავანყდი წარწერას: „ვ. ჩ მაიორი ლეპა“. შევჩერდი. ლეპა ჩემთან ერთად მსახურობდა სატრანსპორტო პოლკში. მოვინახულე მაიორი ლეპა და მირზა მოვიკითხე. მირზა აქ არის, დავალებაზეა ნასული და მალე მოვაო.

მიუხედავად იმისა, რომ ცოტა დრო მქონდა, დავუცადე.

შეხვედრა ორივეს სიხარულად გვექცა. მირზა მშვიდი იყო. ჩვენ უკვე ვისადღეეთ, ამიტომ მირზამ მარტომ ისაძლია და თავისი წილი არაყიც გადაჰკრა.

— ბატონო გერმან, ამაღამ არსად გაგიშვებთ, კარგი ფილმი გვაქვს მოტანილი და ერთად ვნახოთო — მეომრებმა მთხოვეს, ისეთი ფილმი გვაჩვენე, რომელშიც არ მომბენო.

იმ ღამეს მირზასთან დავრჩი. დილას გამოვეთხოვე. წამოსვლის წინ თავის პატარა სურათს ფანქრით სანარაფოდ წაანერა: პატ. გერმან!

როცა ეს მრისხანე ომი მინებდებო წარსულს,

როგორც მოგონება — დაე სურათი ჩემი გაგახსენებდეთ ამ უცნაურ დღეებს — მრისხანეთ

და ლამაზათ. მირზა გელოვანი

28.06.44 წ.

პირველი პრიბალტიის ფრონტი. ფოტოზე მირზა აგურით აშენებულ სახლთან დგას. გვერდზე გადავარცხნარი თმა და ვინრო წელზე ბრტყელი ქაშირი მკაფიოდ ჩანს უკვე გაცრეცილ ფოტოზე.

ეს იყო ჩვენი ბოლო შეხვედრა. ლეპას ნაწილი ბრძოლის ველიდან გერმანელების მიერ დატოვებულ იარაღს აგროვებდა.

1945 წელს, როცა ფრონტიდან ვბრუნდებოდი, შემთხვევით გავიგე, რომ ბეშენკუვიჩთან ახლოს (ბელორუსია) დაიღუპა — ნაღზე აფეთქდა.

\*\*\*

რუსთაველის საზოგადოების საგამოფენო დარბაზში თემო ჯაფარიძის ზამთრის პეიზაჟების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა.

ერთი პეიზაჟი განსაკუთრებით მომეწონა. მთელი დღე ამ ნახატს ვუტრიალებდი.

გაზეთ „მამულის“ რედაქციაში ხელფასი და ჰონორარი მოვიკითხე, მაგრამ არ იყო.

სახლში მიმავალს ჩემი სახელი მომესმა.



მივიხედვე და თემო ჯაფარიძე დავინახე. თოვამი იდგა კაშხივარდისფერად და ხელს მიქნევდა: ნაილეთ ნახატი, ნაილეთ! კარგი იქნებოდა, წამომელო, მაგრამ არანაკლებ კარგია, რომ არ წამოვიდე...

\*\*\*

„აბა, თუ ამდენ ქართველ პრეზიდენტებში, მინისტრებში, მინისტრის ამხანაგებებში, ელჩებში, მთავრობის ყურმობრილ გენერლებში, ბატონ დირექტორებში და ხელისუფლების სხვა მაღალ და დაბალ კოკროტინებში ერთ რომელიმეს წასცდა და ერთხელაც არი სინდისის ანგარიში წარუდგინა ქართველ ერს. პირიქით, ეს ხალხი შეტევაზედაც თვითონ გადმოდის. არიქა! არავინ დაგვასწროს, ბრალდება ჩვენ თვითონ წარუდგინოთო!.. მოკლედ რომ მოვსჭრათ, ჩვენი დამოუკიდებლობა ხომ შეიტყაპუნეს, ამ ხალხს ფიცი აქვს დადებული, რომ დანაშაულიც შეიტყაპუნოს და მასზედ არც სხვას ათქმევინოს რამე.“

შალვა ამირეჯიბი „მოგონებანი“

\*\*\*

კინოსტუდიაში სასცენარო განყოფილების ხელმძღვანელად გურამ დოჩანაშვილი დანიშნეს.

დაგვიძახა ირაკლი სამსონაძეს და მე, განცხადების დაწერა შემოგვთავაზა.

დავწერე ერთგვერდიანი განაცხადი ფილმისთვის „თბილისი ჩემი სახლია“. გადამიხადეს ავანსი და მომცეს დრო — ექვსი თვე.

ერთი ეგზემპლარი მწერალთა შემოქმედებით გაერთიანებაში მივიტანე და მეორე გურამ დოჩანაშვილის მდივანს — ჩემთვის ძალიან ძვირფას ადამიანს, ჟუჟუნა პეტრიაშვილს ჩავაბარე.

ზვიად გამსახურდიას მთავრობამ დაიწყო კინოსტუდიის შემოწმება (რაც, მიუხედავად ყველაფრისა, დიდი შეცდომა იყო). აღმოჩნდა, წლების განმავლობაში უამრავი განაცხადის საფუძველზე გაცემულია ავანსი — სცენარები კი არ ჩანს.

განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ავანსი ჰქონდა წაღებული ძალიან ცნობილ პოეტს.

ლამის ოთხ საათზე დამირეკა გურამ დოჩანაშვილმა და სცენარი იკითხა.

— სცენარი ქალბატონ ჟუჟუნას ჩავაბარე! — ვუპასუხე ბედნიერმა იმის გამო, რომ სცენარი უკვე წარდგენილი მქონდა ამ ცნობის გამო არანაკლებ გაბედნიერებულ გურამ დოჩანაშვილს.

\*\*\*

დღეს კინოსტუდიაში სამხატვრო საბჭო ნოდარ მანაგაძის ფილმს — „ამალე-ბა“ — განიხილავდა.

ფილმი ძალიან მომეწონა და როცა აზრი მკითხა ბატონმა რეზო ჩხეიძემ, ალტაცება არ დამიმალავს.

ბატონმა რეზომ მომიხსენია, თავი გვერდზე გადახარა, როგორც სწევოდა, და აღშფოთებულმა მითხრა — იცით, თქვენ ხვალ ისე მოხვალთ ან არ მოხვალთ სამსახურში, ისე გეყვარებათ ან არ გეყვარებათ ვინმე, მე კი ამ ფილმის გამო ცხრაპირ ტყავს გამაძრებენ!..

ნოდარ მანაგაძე კუთხეში იჯდა და ილიმებოდა.

კარგად იცოდა, გამოუსწორებელი დისიდენტი — რეზო ჩხეიძე — ყასიდად რომ ბრახობდა.

\*\*\*

თბილისში, ილია ჭავჭავაძის მუზეუმში, დარბაზის მეთვალყურედ ვმუშაობდი. ძალიან რთული საქმე აღმოჩნდა: მუზეუმში არავინ შემოდიოდა და ჩემი ფუნქცია სამსახურის შემდეგ დარბაზის დახურვა იყო.

ამ პროცესს თან ერთვოდა ერთი უცნაურობა — დავინყებდი თუ არა დარბაზის ჩარახვას, ზურგზე ხელბეჭდისფერი მუზეუმის დირექტორი, ცხონებული იროდიონი გამოჩნდებოდა ჩუმი ლილინით...

ერთადერთი, რაც მართობდა — მუზეუმის დამლაგებელი და ფაქტიური ბინადარი (მიშენებულ ფლიგელში პატარა ოთახი ეჭირა), ბავშვური აღნაგობის შუახნის ავი ქალი ქსენო, რომელიც ილიას სახლ-კარს, ავეჯს ისე განაგებდა, რო-

გორც საკუთარს. ილიას კაბინეტში, სანერი მაგიდის უჯრებში ქსენო უხმარ ჯამჭურჭელს, საახალწლოდ გადანახულ, თეთრ გახამებულ ტილოში გახვეულ ჩურჩხელებს, გოგრის თესლს და რას აღარ ინახავდა.

არც საგამოფენო დარბაზს აკლებდა ხელს — ილიას უზარმაზარი პორტრეტის უკან გამუდმებით რაღაც ფუთები ელაგა. ეს რომ იროდიონი გაეგო, ქსენო ქუჩაში აღმოჩნდებოდა.

მალე ქსენოს ოინებიც მომბეზრდა...

მამაჩემი მოუსვენრად იყო, ხშირად მირეკავდა — ინფარქტი არ დამართო იროდიონსო.

ბოლოს წერილი მომწერა — შენ დადიხარ იმ დარბაზებში, სადაც ერთ დროს საქართველოს ბედი წყდებოდა...

...მე დავდევარ იმ დარბაზებში, სადაც ქსენო დაფლატუნობს და მაგრძობინებს, რომ საქართველოს ბედი უკვე გადაწყვეტილია — მივწერე.

ხელი ჩაიქნია და დიდხანს აღარ მელაპარაკებოდა...



\*\*\*

მარტყოფის დედათა მონასტერი: დედა მელანია მომინანქრებული მწვანე ჯამში გამოიწინა და მთხოვა — ბოსტნიდან პომიდვრები მომიტანეო.

მოვიტანე პომიდვრები. ახლა პური დაეჭრათ და ორცხობილა გავაკეთოთო.

ახლა მამათა მონასტრიდან სოკო გამოვიგზავნეს და ის გარეცხეო.

ახლა სიმინდის ფქვილი გაცეროო...

ვიგრძენი, ის კი არა ვარ — უიღბლო და ტრაგიკულთა შორის უტრაგიკულესი, ეხ ვარ, საქმის კეთებით გატაცებული, კეთილი, უბრალო და ნუშო ბებოს ღირსეული შთამომავალი — ბავშვს რომ დაავალბდნენ რამეს, თვითონ წამოფრინდებოდა... დედა მელანიას სიყვარული ხომ გულში აღარ მეტევა.

\*\*\*

ჩემი დედაშვილი ლილი ზამთარ-ზაფხულ დიდ ოთახში შინდისფერ ხალიჩაგადაფარებულ ტახტზე იწვა კატა კუდასთან ერთად.

თავთან ხილით სავსე ხელუხლებელი სინი ედგა.

სულ რაღაც ანუხებდა, ისიც კი, ძალიან ლამაზი რომ იყო.

კვირაში ერთხელ გრძელი უსტარით აფთიაქში მაგზავნიდნენ.

მივდიოდი მარო ბახტაძის აფთიაქში და სიძულვილი მახრჩობდა: ვითომ რამე სტიკივია!

აფთიაქი შორს იყო, მეორე უბანში. წყლის ნისქილის წინ. დიდი სახლის მეორე სართულზე ახვიდოდი და ვალერიანკის სუნი გეცემოდა.

ახოვანი, შვევრემანი მარო ბახტაძე სასწაულმოქმედი მეგონა და აფთიაქის გარეთ ვერც წარმომედგინა. დიდხანს მიწვედა მოცდა — მარო ბახტაძე ციციქვა, შვევრემანიან სასწორზე მშვიდად წონიდა თეთრ ფხვნილს. რაღაცებს ურევდა — ზოგს ფხვნილის სახით მატანდა, ზოგს რეცეპტიკურული პატარა ბოთლით.

გამოვბრუნდებოდი, მომქონდა ნამლევი და დიდი მოკითხვა დეიდაჩემთან და მის მახლის ცოლთან, ელიკო დიმიტრიშვილთან.

გზად თუ ქალების ჩხუბს გადავეყრებოდი, სალამომდე ნუ დამელოდებოდნენ — ეს ის სპექტაკლი იყო, რომლის გამოტოვება არაფრით შეიძლებოდა.

ერთ-ერთი სახლის წინ სუნთქვაშეკრულს უნდა ჩამეველო, რომ ჭლექი არ გადამდებოდა.

იმ სახლში, ახალგაზრდა შეყვარებული ბიჭი ჭლექით იტანჯებოდა — მაშინ სიყვარულის ნამალი არ იცოდნენ...

იდგა დეიდაჩემი შუა გზაზე და ჩემს გამოჩენას ელოდა.

როდის-როდის გამოვჩნდებოდი...

— ო, რა თავისნათქვამა გაიზრდება, რა ეშველება დეიდაჩემს! — ლილი წამლებს სიის მიხედვით აწყობდა სკამზე.

— შენ კიდევ არაფერიც არა გტკივა! — ვეტყვოდი ყველაზე გულგასახებლად და მოვკურცხლავდი, რომ ისევე აფთიაქის გზას არ გავყვებინებ, როგორც არა ერთხელ მომხდარა...

აფრიალებულ პერანგს ვხედავდი...

უკვე კარში ვიდექი, ცარიელ სულს რა ვახშამი მინდოდა.

გამოვედი, გამიტაცა რაღაცამ გათიბულ ოქროსფერ ბალახზე.

თვალთ ვეძებდი ფანჯარას, საიდანაც დაუნდობელი კაცი ხელისქნევით დამემშვიდობებოდა.

ეს ხელის ქნევას კი არა, სანთლის პარპალს ჰგავდა, იქ რომ დავანთე.

სიბნელეში უნუგეშოდ მოპარპალე სანთლის წინ ფერადი მინდორი იწყებოდა.

\*\*\*

საშა მახარაძემ ჩემი სცენარი „თბილისი ჩემი სახლია“ წაიკითხა და ლილით მითხრა:

— ლილი დედაჩემს მაგონებს, ისიც მასავით მორიდებული იყო — სკამის კიდზე იცოდა ჩამოჯდომა. გაბედულად სკამზეც კი ვერ ჯდებოდა... შეხედავდი და ტირილი მოგინდებოდა... ძალიან გამიხარდა.

\*\*\*

მამაჩემი: ბელელთაგორაზე მგზავრები გამოჩნდნენ.

ჩრდილიანი ფერდა თოვლით იყო დაფარული. ძლივს მოარღვევდნენ გაუკვალავ ბილიკს.

მალე სოფელში შემოვიდნენ. წინ მაღალი, მხრებგანიერი, უღალი ახალგაზრდა მოუძლოდა — ფანცალა იმედაიძე გამეცნო.

უკან თავჩაქინდრული არჩილ კიტოშვილი მოდიოდა, რომელიც ადრეც მენახა.

მათ ნაკვალევს დაბალი კაცი მოჰყვებოდა — შავგვირიანი, საოცრად ფერმკრთალი — ასაკს ასე ადვილად ვერ გაარჩევდი — მივხვდი, ადამ ბობლიაშვილი იყო — ვისი ლექსებითაც ალტაცებული ვიყავი.

შინაობა ვთხოვე სტუმრებს, მაგრამ არ შემომყვნენ — როცა სოფელში ნათესავი გყავს, სხვის კარზე ცხენის დაბმა ნათესავის შეურაცხყოფად ითვლება...

\*\*\*

ტელევიზორში ლაშა ბულაძე თავდავინყებით ლაპარაკობს რომელიღაც წიგნზე — ავტორს ყური ვერ მოვკარი.

მე კი ოთახს ვალაგებ და გული უნუგეშოდ მტკივა — ყველაზე მნიშვნელოვანი და დაუნერული წიგნი.

\*\*\*

აფთიაქი ჩემი ქუჩის ბოლოს ისე შორია, რომ ვერ მივალწევ ვერც ფეხით, ვერც მანქანით, ვერც თვითმფრინავით...

\*\*\*

ზ. ა.: იცი, რა ძნელია მეხუთე მცნების შესრულებაა?!

\*\*\*

„ეგრეთ წოდებული „ბანაკის თემა“ ძალიან ვრცელია. მასში თავისუფლად მოთავსდება ასი ისეთი მწერალი, როგორც სოლჟენიცინი და ხუთი ისეთი, როგორც ლევ ტოლსტოია — ადგილიც დარჩება“ (ვარლამ შალამოვი).

ბანაკის თემა ძალადობის და სიძულვილის თემაა.

ნეტავ, სიყვარულის თემას რამდენი ლევ ტოლსტოია, რამდენი ბუნინი, რამდენი ჩეხოვი და... ფლობერი ეყოფა...

\*\*\*

როცა მხიარულ, ბედნიერ სახეებს ვხედავ, ვფიქრობ, დადგება დრო და მეც ასე გამეღიმება და მოთმინებით ვივსებით მეც და ჩემი ოთახის კედლებიც.

\*\*\*

ტყის ბილიკზე გაივლის ფიჩხაკიდეული კარგი ქალი და არ ეცოდინება, რომ თვალი შეასწრეს...

\*\*\*

შორს ფერადსარტყელიანი ლეკის ქალები მოჩანან, კალთაწველები შორხში გადიან...

\*\*\*

თვითმკვლევობა მარტო იმიტომაა გულსაკლავი საქმე, რომ სწორედ იმას უსწორდები, რაც ყველაზე ძვირფასია შენში...

— ნახსი, ლერი-ჯან, რა მაკადრა მაგ ბეიმურაზმა?! იმ დეპუტატმა, მეიდანში ნარდი რომ მოვუგე!.. ნაძლევი დავუდე, ხომ გახსოვს — თუ მოგიგე, ჩემთვის სამ-უშაო შენზეა-მეთქი, თუ ნავაგე — ერთი კილო ფაიზახი ხიზილალა ჩემზეა-მეთქი? მოვუგე, მთელმა მეიდანმა იცის, ტელევიზორშიც იყო, მაააჰ!.. სამი თვეა უფე დავდივარ, ზედაც არ მიყურებენ, დაცვას ვებნები — სიტყვა სიტყვაა-მეთქი!.. ვინ გისმენს!.. გუშინლა ვნახე, რალა, პარლამენტის წინ, კანეშა... სიტყვა სიტყვაა, ვებნები, პირი პირია, ერთი კაცის სამუშაო, რალა არი-მეთქი?! გავგიჟდი, ლერი-ჯან, იცი, რას მეგნება — შენ აქ შეითან-ბაზარი ხომ არ გგონია, რა სიტყვაა, რის სიტყვაა, მე არაფერიც არ ნამიგია, ვაბზე არ გიცნობ, ვინა ხარო!.. ეგრე მითხრა, ლერი-ჯან, ფაიზახი გებნები!.. რომ ნამეგო, ვებნები, ხიზილა-ლას ხომ კარგად აიღებდი-მეთქი!.. ვის უნდა შენი ნავთიანი ხიზილალო!.. ეხლა, კანეშა, აღარ გინდა, კანეშა-მეთქი!.. მეთქი!.. — ეხლა აქედან წადი, მინამ ლამაზი ხარო!.. ვაა, რა მაკადრა, კაცო, მამისტო-ლა კაცს!.. და დაცვას დაუძახა, მობილნით, მააჰ!.. ნახე, რა მაკადრა მაგ ყომარბაზმა — შეითან-ბაზარი ხომ არ გგონიაო!.. ეგრე მითხრა, ლერი-ჯან, ჩემმა მზემ!.. იცი, რას გეტყვი, ძმაო, სუ შევარდნაძეა დამნაშავე!.. აქ რას მორბოდა, სუ არია ყველაფერი... მოსკოვში, რა, ფინთად იყო?.. მითომ სამ-შობლო... მითომ დემოკრატია... მითომ თავისუფლობა... აფერისტია, ვსემირნი აფერისტია... მაგან მოატყუა ყველა, მაგან დაანგრია საიუზი!.. გორბაჩოვი?!.. გორბა-ჩოვი პიანიცაა, მაგას რისი ტრაკი აქს... ეგენი სუ პიანიცები არიან... შევარდნაძე და რეიგანი შეკრულები იყვნენ, მააჰ!.. დაან-გრეს!.. ფინთი იყო?!.. სამუშაო იყო, პენ-სია იყო, პურის ფული იყო, რალა!.. თავისუ-ფლობა!.. ეგ არი თავისუფლობა?!.. პირი პირი არ არი, სიტყვა სიტყვა არ არი!.. თავისუფლობა!.. ეხლა რუსეთშიც დიდი ბარდაგია... ხომ იცი, ლერი-ჯან, რუსებს ჩვენი ზუბი აქთ, ჩვენი ნეფტი უნდათ... მუ-ქთად, მააჰ!.. ეხლა ადგებიან, ვინმე ბრა-დაიგა რუსს მოსძებნიან... ვერ მოსძებნიან, თუ რა... მორფს გაუკეთებენ, იტყვის — ეს რა ცხოვრებააო!.. დააჭერს კნოპკას თითს და მორჩაა!.. ისე, ეგრე არა სჯობიან, ლერი-ჯან, მა ეს ცხოვრებაა, სწორე არა ვარ?! ერთი იადერნი — კამფეტით იქნება!..

— რასიმ, ყოველდღე მეჩეთისკენ ლოც-ულობ... თქვენს წიგნებში ეგრე სწერია?!..

— არა, ლერი-ჯან, არა... რა ვიცი!.. ამ ზალღებმა ხომ ვაბზე გამიტრაკეს ცხოვრე-ბა, ჯიბრზე სუ ჩემ ჭიშკართან წვანან, გავყრი, მოდიან, გავყრი, მოდიან!.. მულან-ლოში ბიძა მყავს, ჩობანი, ზალღი ყავს, აი, ზალღი, ლერი-ჯან, ღრენასაც იცის, ყე-ფასაც იცის, კბენასაც იცის... მა ეს არი, მამაძალი, ჰაი, ზარალი!.. — და წიხლი დაკრა ჭიშკარში ჩანაოლი ძალღს.

ერთხანობა მეჩეთში უმსახურნია რასიმას. დილაუთენია კარშია, ჩიხის ბო-ლოს, ბოტანიკურის ალაყაფთან, ბებერი ნიგვზის ძირში.

— მიდი, ლერი-ჯან, მიდი, ყლაპე ჰაერი, მინამ მუქთია, — მომძახის ბაღში გასულს, — რა იცი, იქნებ სვალ პირზე სოჩიკი და-გაღონ.

დაზაფრულია ხალხი. დუხჭირი დრო დგას, აღარც პურია, აღარც სული. ხახვის ნაფცქვენს დაამგე-ანეს ქვეყანა. ერთ ლომობიერ სიტყვას ვერ გაკრუნებ, გული რომ დაგიღებეს, ფშუტეს — მჭვარტლივით აყრიან ერთიმეორეს თვალ-სახეში. იმაზე გამაძინებულან, ვის რა ნაძიძგონ, ქუჩაშივე იღმურძლები-ან, თუ რამე მოიგდეს ხელში.

ნითელი მზე გადაჰფენია ნარიყალაზე წმინდა ნიკოლოზის ტაძარს, თაბორზე — მშენებარე ეკლესია-მონასტერს.

მეიდანში ზარები რეკენ. მინარეთზე მოლა ყივის.

წუხელიც ვტყებ ღამე. ელიაზარზე ვფიქრობ... შუალამე რომ გადავა და მთ-ვარე ოთახში შემოანათებს, ამოვა კედელზე, ბურანიდან გამოიმხმობს, რალა-ცას მეჩურჩულება...

ნელა მივიწვე მალა, მთისძირისკენ, ზიგზაგი გზით. სიჩუმეა, სიჩუმე, ყვე-ლაფერი დუმს. გორხანასთან ნუშის, ტყემ-ლის, ჭერმის ხეებს ჯერ კვირტიც არ გამოუღიათ, მალე ამოფეთქდებიან, თეთ-

რად, ღიავარდისფრად დედოფლებივით მოირთვებიან. ნუშის პანია შტოზე გულყ-ვითელა ჩიტი იძახის.

გაზაფხულის სურნელი მცემს. აქ, ამ გორხანაზე განისვენებს მირზა ფათალი ახუნდოვი... შეღმართს რომ შევეყვი, ფერდზე, ძაღლების ხროვას გა-დავანყდი.

დავიზაფრე. საშიში დროა. დღეს ყველას შია — კაც-საც, ძაღლსაც. დღეს კაცის ხვედრი არც განირჩევა ძაღლის ხვედრისგან... ადამი-ანის ჭაჭანება არ არი. რომც იყოს, რამერე, რას გიშველის, თვალის დახამხამებში ისე დაგფლეთენ — ვაი, დედას დაძახებასაც ვერ მოასწრებ. დიდი, ნითელბაღნიანი ძაღლი, ქეჩოძაგრული, ძუნძულით ჩემკენ დაიძრა, სხეებიც გამოენთენ. მორჩა, ვფიქრობ, ველარაფერი მიშველის, იყვირე რამდენიც გინდა.

შიშმა დამიპყრო. ერთნაშში ყველაფერი მავინყდება. ქარი რომ ღრუბლებს მოიტაცებს, ისე მტა-ცებს შიში ფიქრს, მახსოვრობას, ყველა

### ლერი აღიმონაკი



# მურა

ვუძღვნი ქეთი რატინს

სასიცოცხლო ძალას, სხვა განზომილება-ში გადავყავარ, ისე მიმწყვედვს თავის ბადეში, როგორც ობობა — მსხვერვლს. ფშინვაც რა, ფშინვაც ჩემს ხელთ არ არი, ნამინამ ბუნზე ჰკიდა... მშვიდად, ძალიან მშვიდად დაღმართისკენ შემოვტრიალდი. ნითელბაღნიანი შედგა, სხეებიც, მდუ-მარედ, მდუმარედ მომჩერებია. ნელი ნაბიჯით დაღმართში დავეშვი. ერთხანს მიყურეს, მიყურეს, მზვერეს, მერე დაღუ-რეთეს თავი, მთისძირისკენ ნაძუნძულდენ.

თაბორის მთაზე ძაღლების ხროვა ღავლავებდა...

ნითელი მზე აღმოხდა ცას, რალაც უცხოფერად ანათებს აქეთ ნარიყალას, იქით — მეტებს, ქვევით, მეიდანში — ძველ აივნიან სახლებს. მზის სხივები ეფინება ჰვალაბარს, ჩულურეთს, მახათას. სიზმარს ჰვავს ყველაფერი. ზარები რეკენ. წუხან-დელი სიზმრები გულს მიფორიაქებს. ელიაზარზე ვფიქრობ... თათარი რასიმა ნიგვზის ძირში თავისას არახუნებს.

— ერთი იადერნი ბომბა, ლერი-ჯან, მილიარდი ღირს (საჩვენებელ თითს ზეით ათამაშებს)... ერთი მილიარდი, მეტი რა... მილიარდი რა არი, არაფერიც არ არი... იყიდიან და ჩამაგდებენ, ყველაფერიც მორჩება... მა რა, სწორე არა ვარ... ავლანე-თი დაანგრეს, ეხლა ოთხი მილიარდი მისცეს, რომ ააშენონ... ეფინათ და იმიტ-ომ!..

ალაყაფთან ძაღლები ბურხალობენ. ბომბორა ნითელბაღნიანმა თავი ასწია. ერთხანს მიყურა, მიყურა, მათვალერა, ნამოდგა, ჩემკენ ნამოდუნძულდა. შევცბი. მინაზე ხობავს, ზურგზე ტრიალებს, ფეხ-ებშუა მეზურჯალებს, მკერდზე მეტოტე-ბა, მეხვევა, მაჯისთავებს, სახეს მიკოცნის. უფრო მეტად ვცბები — ამას არ მოველო-დი. ეს ის ძაღლია, გორხანასთან რომ გა-დავანყდი, მეგონა საკუნად ეღირებოდა, თურმე მოსაფერებლად გამოიბოდა. ამ სასტიკი დროით დამფრთხალს, რალა არ

მოგეჩვენება. დღეს ყველას იჭვი, უნდობ-ლობა გვღრღნის. გულში სიამეს ვგრძნობ, რალაც ბუნდოვან, მანამდე უცნობ შევებას. მურა-თქვა, სტიქიურად ვნათლავ, ვეფერ-ები, უამური დაბრკოლებებისგან ვთავისუ-ფლდები.

დავამხანაგდით. ყოველ დილას ჩიხში მხედება. კოჭისთ-ავებს, მაჯებს მილოკავს, სახეს მიკოცნის, ბაღში დამყვება, ბინის კარამდე მაცილებს. გადავუგდებ პურის ნატეხს, პირს არ აკარებს. არა, მურას პური არ უნდა. ღმ-ერთი, რჯული, მე არ ვყოფილვარ ამ დამე-გობრების მოთავე, არც შემომჩნევია, თა-ვადვე გამომიცხადა თავი. ბაღის ჭიშკარ-ში სხვაც ბევრი გადის-გამოდის, რატომ მე?!. მე რატომ ამომირჩია?!.

ბომბორაა მურა, მონითალო, ალაც მოჩალისფრო ბაღნით, შავცხვირა, შავნარბა, თაფლისფერთვალეა. სადღა არ გადავყვრები — მირზა-შაფის ჩიხში, ხარფუხში — გრიშაშვილზე, ნიკალას სკვერში — პურის სახლთან, მეიდანში — აბანოებთან. დღეც, ღამეც. გამოიმეღან-

ანაჯაგრულები, იქიდან-აქედან მისევიან მანქანას, არ ეპუებიათ, თავგანწირვით უტყვენ მარწუხებიან კაცებს, თანამომე-თა ტყვეობიდან დახსნას ლამობენ.

ღმერთო, რა სოლიდარობაა! მურა შარვლის ტოტზე ჩაფრენია რომე-ლილაც მარწუხებიანს, განზე ექაჩება, საძრაობას არ აძლევს. მურა-თქვა, რომ შევძახე, მოეშვა, აფთაფათებული ჩემკენ გამოქანდა. ნამშივე დამისხლტა, ისევე შარვლის ტოტისკენ გაქანდა. ის იყო წვერ-აჯაგრულს მარწუხში უნდა მოექცია, მურა-თქვა, მალალი ხმით რომ შევეყვირე, ისევე ჩემკენ გამოქანდა, მკერდზე ამეტო-ტა.

თვალეში რომ შევჩაჩერდი, ტიროდა მურა.

რალაც სნეულება შემეყარა, დამაგდო, დამალბათა, ქუჩაში ვერ გავდივარ. მაინც ვმუშაობ. ვფიქრობ. დღეობით შუქი არ არი, ხან სანთლის, ხან ღამის შუქზე ვწერ. ღამაძაც, სანთელიც ბავშვობას მახ-სენებს, იქა ვარ... აქ რა მინდა, აქ რამ შე-მომახეტა?! სად ვარ, არ ვიცი. აქაურობა უცხოა ჩემთვის, მეც უცხო ვარ აქაურო-ბისთვის. აქაც ვარ, არც ვარ აქ. მინდა ავდგე, ნავიდე... კარზე ფხაჭუნის ხმა მა-ფხიზლებს. ვიხედები ფანჯარაში — კიბზე მურა ჩამომჯდარა. ღამის მბუჭტავ შუქზე ფოსფორივით უელავს სველი თვალეები. ოთახში ვეპატიჟები, პურს ვთავაზობ, პირს არ აკარებს. სავარძლის გვერდით ჩაყუნც-და, მონყლიანებული თვალეებით მომჩერე-ბია, წარბებს კაცვივით ჭმუხნის. მგონი გრძნობს, ავად რომ ვარ. ნაღვლიანია მურა, მარტოსულია, კაემანი ჩასახლება თვალეში. დღე არ ჩაუგდია, არ ვენახე. მომიფხაჭუნებს კარზე, დამიკოცნის მა-ჯისთავებს, სახეს, ჩამოყუნცდება სავარძ-ლის გვერდით, თვალეში მომჩერებია. ვსაუბრობთ. მოეჩინება, გავუღებ კარს, ნავა, ქუჩაში ჩამავალ ქვის კიბეს ტაატით ჩაუყვება.

ერთ დღესაც არ გამომჩნდა მურა. არც მეორე დღეს გამომჩნია, არც მესამე დღეს. გადის დღეები, მურა არ ჩანს. შევწუხდი. ნეტა?!. რას აღარ ვფიქრობ. რომ მოვიკეთე, აქეთ მოვიხედე, იქით მოვიხედე, თვალი ვერსად დავკარი.

იმედი გადამეწურა. კახიანი იქნებოდა გასული, დილაუთე-ნია კარზე ფხაჭუნმა რომ გამომალვიდა. მურა, მურა დაბრუნდა!

ფეხებს, ხელებს მიკოცნის, თუმცა ჩაცვივულ თვალეში ძველ სიხარულს ველარ ვამჩნევ. გამხდარა, ფერდები შეფენთხია, ბაღანი გაცვენია, წინა ფეხით დაკოჭლებულა, თვალის უბენი დაშაშვრია. მურა, ჩემი მურა, რა დღეში ჩავარდნილა, რას დამეგანებია, როგორ ჩამოძენილა.

ნეტა, რა შეემთხვა?! ვუხმობ მინ, არ შემოდის. მიტრიალდე-ბა, კიბის თავთან დადგება, ცრემლიანი თვალეებით მომჩერებია. კიდეც მიტრი-ალდება, კიბის თავთან დადგება, რალაცას მეშუადარება.

გაყოლას მთხოვდა. წინ მიმიძლოდა თავჩახრილი, ტაატით, დაღალბათებული. ზოგჯერ თავს უკან მოაბრუნებდა, მტირალი თვალეებით ამო-მაჩერებოდა. მიდიოდა, მიმრწეოდა, მძ-იმედ სუნთქავდა, თათიდან სისხლი წოთ-ლავდა.

მორჩილად მივდევდი. ჩიხის ბოლოს მარცხნივ აუხვია, ძველ სახლებს შუა, თაბორისკენ ამაველ ბილიკს დაადგა.

უმატა თოვამ. ბარდნიდა. მზიან ამინდში ხელისგულივით მოჩანს აქედან ქალაქი. ახლა, თოვასა და ნისლში, მხოლოდ ნარიყალას, მეტეხის ტაძარს ვარჩევდი, ბუნდოვნად — მტკვარს... სახ-ლებს რომ ავმორდით, მცირე მოვაკებულ-თან, ნამოსახლარს რომ ჩამოგავიდა, მურამ თავი ააღირა, არემიდამო მიყნოს-მოყნოსა. იარა, იარა, სივრცეს ყნოსავდა, აქა-იქ მი-მოფანტულ რიყის ქვებს, ჯამ-ჩაფეულის ნატეხებს, ტარმოვარდნილ ჟანგიან დანებს, ძროგავარდნილ ქვაბებს, ძონძმანებს. ბევრი იარა. მერე აღმა დაღუ-რთა თავი, ხევს შეუყვია. ნაავადმოყვარს, დაოსებულს, ცივი ოფლი მასხამდა, მუხ-ლებში ძაბუნი ჩამდგომოდა, ნაბიჯის გადა-დგმა აღარ შემეძლო.

აქ დავემყოფილეთ ერთმანეთს.

უკან აღარ მოუხედავს. მიდიოდა მთისკენ, მილასლასებდა, თოვლზე სისხ-ლის კვალს ტოვებდა...

არ შიშობია

არა, არ მინდა ვინმეს წყალობა,  
ჩემი მერანი ნისლის ფერია.  
მე ვნახე მტერი როგორ ხარობდა,  
მტრის დახმარებით რომ მომერია.

მე ვნახე, რაც რომ უნდა მენახა,  
მზე გვირილების, მთები ყინულის.  
ქაცვი ვიყავი, ვიქვეც ვენახად  
და მაინც, მაინც, ვარ განწირული.

ნისლმა დაფარა შიშველი გზები,  
ლამის ქარებმა სიმშვიდე ჰპოვეს.  
ამაოდ ვზიდე დაღლილი მხრებით  
ტკივილი, სევდა და სიმარტოვე.

ყველაფერს სადღაც უნდა მიგნება,  
ჯერ მძლავრად ფეთქავს გული მკვნესარი.  
მე იგი მტკივა, რაც ხვალ იქნება,  
ან გუშინ იყო, ან რაც დღეს არის.

ოდესმე გრძნობაც ხავსად იქცევა,  
გარეთ ზაფხულის წვიმა დავტოვე.  
რალაც რომ ხდება, არის მიღწევა,  
სულთა ერთობა და სიმარტოვე.

ფიქრსაც ხანგრძლივი ფიქრი სჩვევია,  
ჩამოუშლია ღამეს ფარდაგი.  
გულში კლდე არის, სულში ხეცია,  
ხან მდიდარი ვარ, ხან ვარ ღატაკი.

ჯერ არ ნაშლილა, სივრცეს ატყვია,  
ღრმა ნაკვალევი ძველი მთების.  
დაჩოქილი ვარ, ვზომავ ნატყვიარს,  
ვერაფერს ვამბობ დაბეჯითებით.

ბრწყინავს ღიმილი როგორც აბზინდა,  
არეულია ისევ ბუნება.  
ისევ ბუზღუნებს, ჯერ ვერ დაღვინდა,  
ისევ შლეგია, არ იკურნება.

ეხლა რალაცა მინდა ისეთი,  
რისი ნახვაც ღირს და რაც ძვირია.  
დღეს ჭიუხებში ქარებს მივდევი,  
ვტიროდი, როგორც არ მიტირია.

იქ ყველგან თითქოს იყო ხაფანგი,  
ყველგან ისმოდა ჩუმი ჩურჩული.  
სადაც კი მტკიცედ ფეხი დავადგი,  
მოკეთის ნაცვლად დამხვდა ურჩხული.

შევებრძოლე და ცეცხლის ალები  
ისევ იფრქვევა მისი ხახიდან.  
თითქოს დაეტყო კლდეებს ხალები,  
ვიღაც მოფრინდა, ვიღაც გაფრინდა.

მერე ჩავყევი ტყეთა ბილიკებს,  
მივყევე მხვიარებს, ველზე გავედი.  
ვინც მემდუროდა, შემოვირიგე,  
სანოლად მეგო მინდვრის ხავერდი.

იქ დაიბადა აზრიდან აზრი,  
ჯერ ისევ ვარნევ, აკვანში მინევს.  
ორლესულ ხმალზე მჭრელი და ბასრი,  
კინის ჯავშანზე გამძლე და მტკიცე.

აქ დაიბადა ვარდები სულთა,  
ან აერია ვნებებს ძაფები.  
თითქოს მიყვარდა და თითქოს მძულდა,  
იყო საგმობი, იყო საქები.

მერე ხელახლა მოვიდა ღამე,  
სიზმრის მომტანი, სიზმრის წამლები.  
ეხლა იისფერ ოცნებებს სვამენ  
ცისფრად გაშლილი სივრცის ძარღვები.

დროის ჭაობში ეხლა ნისლია,  
კვენესი, ტკივილი ტკივილს მიება.  
მწყურია, მაგრამ არ შემეძლია  
არც შურისგება, არც პატიება.

ჩამეძინა – გამაღვიძეს

სხვანაირი ვიყავ წინათ,  
მთებს ვუმღერდი, ვჩხრეკდი მიწებს.  
ახალგაზრდას ჩამეძინა,  
მოვხუცდი და გამაღვიძეს.

ვეძებე და ვერც რა ვნახე,  
სხვა ნაკვთები, თავი, ტანი.  
ნაცნობს ჰგავდა ყველა სახე,  
თუმც ვერავინ ვერ ვიცანი.

ტყეთა ნაცვლად ეკალ-ბარდი,  
გახუნებული ფერები.  
მიღიმოდა ყველგან ლანდი,  
ჩამქრალი მშვენიერების.

არჩილ ბიჭაშვილი

მოუპარავთ, თუ რამ მქონდა,  
ნაულიათ, რაც მებადა.  
ერთიანად ბევრი, ცოტა,  
დაუცხრიათ ვნება, მადა.

დარჩენილა დარდი დარდად,  
გვირილები, მაგნოლია.  
ის გოგონა, ვინც მიყვარდა,  
ცოლად სხვა კაცს გაჰყოლია.

ყველგან ყულფი, ყველგან მახე,  
ველარაფერს ველარ ვშველი.  
სულში რაც კი შევიჩნახე,  
დამხვდა კვლავ ხელუხლებელი.

ვეშვიდები

ტკივილს შევეჩვიე, აღარ ვთვრები,  
ვნებებს დავუბრუნე ნაძარცვი.  
გრძნობათა ციხე ქალაქები  
ახლად ავიღე და გადავწვი.

ვბოცე, უთვალავი დავატყვევე,  
ფიქრებს შევუჩინე მენწყერი.  
სისხლი დავადინე მთებს და ხევებს,  
საკუთარ ნაჭუჭში შევძვერი.

მერე სინანულით დავიღალე,  
ჩუმად ოცნებებში აღვზევი.  
მხიბლავს ღამეების სიფერმკრთალე,  
სიზმრის თეძოები და მკერდი.

გზაში უეცრად დავიჭერი,  
ძილში არავინ მყავს დამრწვევი.  
მივლის, თავს მეველება ისევ მტერი,  
მადევეს საღბუნ და სახვევი.

წინ ჯერ ბევრი მელის საომარი,  
ჩემი კაპარჭა და მშვილდები.  
მტერი მყავს, არ მყავს მეგობარი,  
რაც ხნე მემატება, ვმშვიდდები.

დასაბამიდან

გზები თეთრია, სითეთრე  
თითქოს უხდება სერებს.  
ღუმლის ზღვა ავიმხედრე,  
რაც მსურდა, ვერ ვიმღერე.

მთვარე უზანგზე შემდგარი  
მიაფრენს ღამის ქურანს.  
ღრუბლებს ჩაუცვამთ ბექთარი,  
თავზეც ჩაჩქანი ხურავთ.

ისევ ქარებთან იბრძვიან,  
არის გრგვინვა და ბათქი.  
წინ უსასრულო სივრცეა,  
მზე ფოტონებით ბარდნის.

დამარცხდებიან ღრუბლები,  
ქარი ცის თალზე მეფობს.  
სივრცეებს ვესაუბრები,  
სიზმრებში ისმის ექო.

მთებს დატყობია კუნთები,  
ოცნებას ყველა მოწონს.  
დასაბამიდან ვბრუნდები  
და ვეფიცები კოცონს.

ვისაც მე ვეძებ

შენშია იქნებ, რასაც მე ვეძებ,  
შენ ხარ ის ალბათ, ვინც მე მჭირდება.  
კვლავ გამოვიღებ ტანზე ნორჩ ლერწებს  
და დაგასახლებ ურიცხვ კვირტებად.

შენ ის ხარ, ალბათ, ვისაც მე ვუხმობ,  
ყრუ ღამეებში ვისაც მე ველი.  
როცა სინათლე შრიალებს უხმოდ,  
როცა დუმული არის მეტყველი.

როცა ეტყობა სივრცეს ნიშნები,  
ნელა ვუსწორებ ფიქრებს წახნაგებს.  
შენ კვირტები და ჩემთვის იშლები,  
ჩემთვის ფეთქავ და ჩემთვის ცახცახებ.

შენ ის ხარ, ვინც მე მავსებს და მათბობს,  
ვისაც ვენდობი და ვისიც მჯერა.  
ხარ მშვენიერი, ნაზი და სათნო,  
ვის არ წვავს შენი მცხუნვარე მზერა.

შენ ხარ ის, ვინაც ჩემს ხმაში დანდა,  
ვინც აამღვრია სულში ნისლები.  
შენ გრძნობა მიგაქვს, თუმც რჩება განცდა,  
ხან ჩრდილებს აფენ, ხან გაიშლები.

მეზობარს

ოქტომბერია, აცივდა,  
ხეებს ცვივიან ფოთლები.  
შუქი კრთის სიზმრის ნაპირთან,  
წინ მოჩანს სევდის სოფლები.

უხმოდ შევცქერი ცის კიდეს,  
ხან ფიქრებს ვებაასები.  
ამაოდ ვეძებ სიმშვიდეს,  
ბინდის ჰყვავიან ვაზები.

ბედმა სურვილებს მომკვეთა,  
სულში თრთის დარდის ღრუბელი.  
ხან მიწა მინდა, ხან ზეცა,  
დროის იავნანას ვუმღერი.

ჩემს სახლში ვინმე მიმიღებს,  
იქნებ ამაოდ ვირჯები.  
გვერდს ვუვლი უცნობ ბილიკებს,  
გრძნობებს ცვივიან გირჩები.

ნელა გავივლი მინდვრებს, ხევს,  
იმედს რად უნდა ნაკვთები.  
ბოლოს მანდ მოსვლა მომიწევს,  
მოვალ და შენც მანდ დამხვდები.



სახელმწიფო თუ კანონი?

ხომ მსახურული, თანაც დიდებული, ნაწარმოებია სარტრის „ანტიგონე“, მაგრამ სახელმწიფოს რაობით დაინტერესებული ადამიანისათვის სახელმძღვანელოდ გამოდგება. სარტრის ეს ნაწარმოები კიდევ ერთხელ შეგვახსენებს: სახელმწიფო შედგება იქ, სადაც ყველაფერზე მაღლა კანონი დგას. კანონის მიხედვით ცხოვრება ის გზაა, რომელსაც ადამიანურ ვნებათა დათრგუნვასა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ჰარმონიულობასთან მივყავართ. აქვს თუ არა მას რაიმე კავშირი პიროვნების ღირსებასთან? შესაძლოა, კი, რადგან ის, ვინც კანონის უზენაესობით ცხოვრობს, არ ზღუდავს, უფროსიღდება კიდევ, სხვათა ღირსებას. ეს სხვები კი ვართ ჩვენ — შენ, მე, ყველანი. მაგრამ თუ კანონმდებელი, აღმსრულებელი ქედს უხრის წარჩინებულთ, დალხენილთ ამა სოფლისა, ქვეყანა იმ დიდ არენად გადაიქცევა, რომელშიც ყველაფერი შეიძლება, მოხდეს.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ დღემდე როგორ მოვიდოდა, როგორი იქნებოდა კაცობრიობა, მოსეს მიერ სინაის მთიდან ჩამოტანილ რწმენის დაფებზე ამოტვიფრული რომ არ ყოფილიყო:

- არა კაც ჰქვია!
- არა იქურდი!
- არა იმრუშო!

ეს გახლავთ კაცთა მოდგმის ზნეობრიობის კოდექსი, რომელსაც მოგვიანებით იურიდიული კანონები დაეყრდნო. ათადან და ბაბადან ამ გზით მოდის კაცობრიობა. ზოგისთვის ეს მტკივნეული გზაა, უმრავლესობისათვის კი თავისუფლების ნაცსა-აყუდელი. მაგრამ ამის გარეშე კაცთა მოდგმის ყოფა დაუსრულებელი ბნელი ღამე იქნებოდა.

მინდა, კანონის უზენაესობის რამდენიმე მაგალითი მოვიყვანო ჩვენი მეგობრული სახელმწიფოს — ისრაელის ცხოვრებიდან:

ჩინებული პოლიტიკური მოღვაწე, ნობელინტი იცხაკ რაბინი გასული საუკუნის 70-იან წლებში ისრაელის სახელმწიფოს წარმომადგენელი გახლდათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ნიუ-იორკში რამდენიმე წელიწადი იმუშავა და როცა დიპლომატის კადენცია ამოეწერა, სამშობლოში დაბრუნდა, ლეიბორისტული პარტია „ავოდა“-ს ლიდერი გახდა, არჩევნებში გაიმარჯვა და პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა. როგორც წერენ, ამბობენ, ქვეყანას კარგად უძღვებოდა. მაგრამ არც ოპოზიცია იყო გულხელდაკრეული. ოპოზიცია რისი მაქნისია, თუ თავი ბალიშზე მისდის, ან იაფფასიანი კრიტიკანობით ებრძვის ხელისუფლებას — ამით იგი აძლიერებს მას, ვისაც ებრძვის. და აი, 70-იანი წლების ისრაელის ოპოზიციურმა პრესამ აღმოაჩინა რომ პრემიერ-მინისტრის მეუღლეს — ლეა რაბინი — ნიუ-იორკის ბანკში 2000 დოლარი ჰქონდა შენახული. ვიდრე ცოლ-ქმარი ნიუ-იორკში მუშაობდა და ცხოვრობდა, ამაში არაფერი უცნაური არ იყო, მაგრამ როცა სამშობლოში დაბრუნდნენ... ამ დროს, --1977 წელი იდგა, ისრაელში მოქმედებდა კანონი, რომლის მიხედვითაც ისრაელის მოქალაქეს აკრძალული ჰქონდა უცხოეთის ბანკში ანაბრის გახსნა — ფულის შენახვა.

ლეა რაბინი ისრაელის კანონის დარღვევისათვის, სამართალში მისცეს. არადა, დარწმუნებული ვარ, ქალბატონს გამოგზავნაერების ფულფულში მიავიწყდა ამ 2000 დოლარის არსებობა. ატყდა ერთი ალიაქოთი: აი, პრემიერ-მინისტრის მეუღლე სახელმწიფოს კანონს არღვევს, როგორ შეიძლება, ქვეყანას მეთაურობდეს ადამიანი, რომლის მეუღლე სახელმწიფოს კანონს არაფრად ავადებსო.

პრემიერ-მინისტრი იცხაკ რაბინს კანონის პატივისცემა არ ეხსნა და სარტრის კრეონის გადასადგმელი ნაბიჯი გადადგა — ქვეყანას ბოლოში მოუხადა და პრემიერ-მინისტრის პოსტი დატოვა.

...როცა შვილი დაუპატიმრეს, ლეგენდარული გენერალი არიელ შარონი პრემიერ-მინისტრი გახლდათ. მამის მდგომარეობას იყენებო და... პრემიერ-მინისტრს ხმაც არ ამოუღია. მისმა შვილმა ხუთი თუ ექვსი წელი გაატარა ციხეში. და ისევ სარტრის კრეონის თეზა. დღეს პატიმარია ისრაელის ყოფილი

გურამ ბათიაშვილი

სახეები და სიტუაციები



პრეზიდენტი მოშე კაცავი. თურმე ათი წლის წინათ, როცა კაცავი ტრანსპორტის მინისტრი იყო, ერთი თავისი თანამშრომელი ქალი... სამუშაო ოთახში მაგიდაზე გადააკოტრიალაო. როგორც ჩანს, იმ ქალს იმ დღის სიამოვნება დიდხანს გაჰყვა. პოლიციაში ათი წლის მერე იჩივლა და ახლა ქვეყნის გუბინდელი პრეზიდენტი შეიძენიან სასჯელს იხდის.

ექვსწლიან სასჯელს იხდის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ეჭუდ ოლმერტი, მშენებლობის ტენდერებს მისთვის დიდი ხეირი მოჰქონდაო.

მომწონს თუ არა ის, რომ ყოფილი სიუზერენები ციხეებში აგრძელებენ ცხოვრებას? გულახდილად ვიტყვი: არა, არ მომწონს. აუკრძალე პოლიტიკური მოღვაწეობა, აუკრძალე მნიშვნელოვანი პოსტის დაკავება. ნუთუ, ამ ადამიანმა თავისი პრეზიდენტობის ჟამს მხოლოდ ეს ერთი საქმე ქმნა: ატრუებული დედაკაცი, რომელმაც საამისო საბაბი მისცა, მაგიადაზე გადააკოტრიალა, მეტი არაფერი? მაგრამ ჩემი დამოკიდებულება ემოციურია, ემოციას კი სამართალში დიდი დაფასება არა აქვს. ემოციასა და სამართალს „შუა უზის დიდი მზღვარი“.

მაინც სახელმწიფოებრიობა მთავარი. ამიტომ ვისურვებდი: კაცი რომ პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტი, მინისტრი თუ ერთი რაიონის გამგებელი გახდებოდა, სარტრის „ანტიგონე“ აიღოს ხელთ და ორ თვეში ერთხელ მაინც იკითხოს. გულუბრყვილობაა? შესაძლოა, „ვიცი, ეგ ყველაფერი კარგად ვიცი“ შემძახებდი. მაინც აიღეთ და იკითხეთ, ბატონებო, და თუ ამას იზამთ, ჩემი, ჩვენი, ქვეყნის ბედის გამგებლად კი არ მიიჩნევთ თავს, არამედ — ჩვენს ბედზე მზრუნველად. თქვენს შვილებს, შვილიშვილებს ეს უფრო დიდს სამსახურს გაუნევეს, ვიდრე ის ვილები, მათთვის რომ აშენებთ.

სინთლქორაული მილიარდარი ქალი

მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქალბატონი ერთობ განიერ ფანჯარასთან დგას და ბერლინის ამ პატარა ქუჩას გადასცქერის. ქუჩა უხმაუროა და იმდენად პატარაა, ქუჩას ვერც ეტყვი, ერთი პანია ჩიხია. საფუნთუშეს ამ მხრიდანაც აქვს შესასვლელი, მაგრამ აქედან იშვიათად შედიან. დაინტერესდი, მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქალბატონი ასე რას მისჩერებია-მეთქი: საფუნთუშეს ეზოსთან, სადაც სატვირთო მანქანები შედიან და გამოდიან, თინეიჯერი ქალ-ვაჟი დგას. ისე მონატრებულად, გულითადად კოცნიან ერთმანეთს, კოცნა ისე უხანგრძლივებით, შესაძლოა, გულიანად გაგვიცინოს კიდევ, რადგან გრძნობ, ეს მათი პირველი კოცნაობაა. მსოფლიოში ყველა ქალზე მდიდარი ქალბატონი (დავუშვათ, ჰქვია მარგარიტა) ფანჯარას გაეცლება და აუჩქარებლად მიემართება ოვალური მაგიდისაკენ, აქ თავის ადგილს დაიძებს. აი, თვალის კვიდა მოზრდილი, შორიდანაც იოლად

ნასაკითხი შრიფტით დაბეჭდილ თავის სახელსა და გვარს. სქელი ქალაღი პირამიდის ფორმით მოუკეცავთ და დაუდევთ იქ, სადაც მარგარიტა უნდა დაბრძანდეს. მაგიდას მიუახლოვდა, სკამი გამოსწია, მეზობლებს თბილი ღიმილით მოგვესალმა და დაჯდა. დღის წესრიგს კითხულობს.

ერთობ სასურველი ქალია: სხეულის გამოკვეთილი ფორმები, პირის თხელი, ლამის სიფრიფანა კანი, ტუჩები ახლადაყვავებული გარგარის ყვავილის მგვანი, სათნო ღიმილი სულ პირზე დასათამაშებს და, რაც მთავარია, არისტოკრატი ქალის მზერაში დაფარული ვნება. ეს ვნება მისი ქალური რაობის გამომხატველი მაშინ გახდება, როცა იგი თავს ამის ნებას მისცემს.

მის გამოხედვაში, მოძრაობაში იგრძნობა, ძალაუფლების მოყვარული არ უნდა იყოს. ან რატომ უნდა ახდენდეს ძალაუფლების დემონსტრირებას: ძალაუფლება ის არის, რისი მფლობელიც გახლავთ. ძალაუფლება ის ინფორმაციაა, რომელიც მის სახელს უძღვის წინ: რამდენიმე ათეული მილიარდი დოლარის პატრონიაო.

მაგრამ... არა ვკონცე, მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქალბატონის სახელს ძლიერ ჩაებლავს — ერთი ჩვეულებრივი მილიარდერი იქნებოდა, ოღონდაც თვალის ჭრილთან ამდენი ნაოჭი არ იყრიდეს თავს და ამ სიფრიფანა თხელი ტუჩების ხაზები ასე ჯიუტად არ მიიწვედნენ ქვეყნი. ლაიცი ცხოვრებისათვის ერთი მილიარდიც თავზე საყრელია, თუმცა ოთხ ათეულ მილიარდს ფლობს. ეს ათეულობით მილიარდები რას უკეთებს? რაც ბერლინში ჩამოვედით (უკვე სამი დღეა, აქა ვართ), რა მიიღო, რა იამა ისეთი, რასაც ერთი მილიარდის პატრონი ვერ იამებდა?

და კიდევ ერთხელ, იქნებ ზედმეტადაც რწმუნდები: ფული, მილიარდებიც კი, ყოველისშემძლე ვერ არის. თორემ მარგარიტა ერთ მილიარდსაც იკმარებს, ოღონდ დროის სრბოლა პირ-სახეზე, სხეულზე არ დაეტყოს.

დრო გაურბის, არ ემორჩილება ეს შეუყოვნებელი, სულმოუთქმელი, მოუსყიდველი დრო. ორიოდ წლის წინათ, პირველად რომ ვნახე, უფრო მომხიბლავი იყო — მსუბუქი, ჰაეროვანი. ჩამიარა, მომესალმა, გამიღიმა და საჩუქრად ქალის მიმზიდველობის შეგრძნება დამიტოვა. ახლაც ჩინებულია, მაგრამ იმ ორ წელიწადს მაინც თავისი კვალი დაუტყვია. ცოტათი, სულ ცოტათი, მაგრამ მაინც სხვაა.

ქალთა შორის შურს, წინააღმდეგობის გრძნობას არ აღძრავს... ამის მიზეზად მისი უზრალოება მიმაჩნია — საუბრის ტონით, გამოხედვით, მოძრაობით არავის ეუბნება, თქვენზე მდიდარი და სასურველი ვარო. აი, კაცები კი... კაცები მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, ბიზნესის საკითხებზე ვითომ შემთხვევით გამოელაპარაკებიან, სწადიათ, საუბარში შეიყოლიონ. არა, ამათ ფლირტის გამართვა აზროდაც არ მოსვლიათ, ეს არც აინტერესებთ — უნდათ თავი

დაამახსოვრონ, მარგარიტას კეთილ ნაცნობთა — გონიერთა, მიხვედრილთა გალერეაში ადგილი დამიკვიდრონ.

მჯერა, მარგარიტა თინეიჯერობისას არა მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქალის, პიანისტის, ან არქიტექტორის სახელზე ოცნებობდა, ან იქნებ, ფსიქოლოგისა? წინაპრებმა კი სასჯელად დარაჯობა დააკისრეს — მილიარდების პატრონობა არგუნეს ბედად და ყოველი ადამიანისათვის ესოდენ საოცნებო, სანეტარო მძიმე უღელი დაადგეს. მას უნდა მოუაროს, რაღაც შემატოს. არადა, რა სჯობია როიალთან ჯდომას — უკრავ მოპენს, ჩაიკოვსკის და ამოდენა დარბაზი სუნთქვას შენი თითების მოძრაობას აყოლებს. ამ წუთებში ნამდვილი მეუფე ხარ, მათი სულების მბრძანებელი.

თუმცა, ეს ოცნებაა, წარმოსახვა. რეალობა კი ის არის, რომ წინაპრებმა მილიარდების დარაჯობა, გაზრდა-გამრავლება არგუნეს ბედად. თავის შვილსაც ეს მძიმე უღელი უნდა დაადგას. იმანაც მილიარდების გაზრდა-გამრავლებაზე უნდა იზრუნოს. ფულს მეტი ნიჭი აქვს გამრავლებისა, ვიდრე ადამიანს. მხოლოდ ეგ არის ამ გაზრდა-გამრავლებას დიდი ჯაფა სჭირდება.

...ლანჩის დაწყებისას მარგარიტა დარბაზში შემოვიდა, ხალხს მშვიდად მოავლო თვალი. რა დაინახა, ყოველი წვერი თავად ზრუნავს თავის თავზე, რეგში ჩადაგ. მის წინ 10-12 კაცი მაინც დგას. არავინ შერხეულა, არავის უთქვამს, მანდ დგომა როგორ გეკადრებათ, წინ მობრძანდით, სადილი ურიგოდ მიირთვითო. ორმოცდაათიოდე წლის ედგარის უკან დგას. ედგარი სულ რაღაც ოთხი მილიარდის პატრონია. მარგარიტას კი მასზე 10-ჯერ მეტი აქვს. ედგარი მასთან შედარებით ერთი საშუალო შეძლების კაცია. მარგარიტა ღიმილით ებაახება ედგარს. ედგარიც ღიმილით პასუხობს და დარბაზში შემოსულ ელზას ხელს უქნევს, ანიშნებს, აქა ვდგავარო. ელზა ედგარის მეორე ცოლია. ახალგაზრდა, მშვენიერი ოქროსფერი კულულებიანი ქალი. ოცდაათისაც არ იქნება. ამბობენ, ჩოგბურთს კარგად თამაშობსო. წარმომიდგენია, როგორ გამოენთება ბურთს, როგორ დაარტყამს. იმასაც ამბობენ, ევროპის სახელგანთქმულ სპორტელთა ოჯახიდან არისო. ოჯახის სიმდიდრეზე არაფერი უთქვამთ. ელზასაც ძალიან უზრალოდ უჭირავს თავი. ძლიერ თავაზიანია. პირზე სულ ღიმილი დასათამაშებს: გუშინ საღამოს დარბაზში რომ შემოვიდა, მივხვდი, მეუღლეს დაეძებდა. ვანიშნე, თქვენი მეუღლე, აი, იქა ზის-მეთქი. მის მზერაში ისეთი მაღლიერება ამოვიკითხე, თითქოს ამოხოქრებული ზღვის ტალღებისთვის გამოემეტაცნოს.

ათობით მილიარდის პატრონ მარგარიტას რომ ქალთა შურით სავსე მზერა არ მოსდევს, უკვე აითხარით — გულწრფელად უღიმიან. აი, სულ რაღაც ოთხი მილიარდი დოლარის მფლობელი ედგარის მეუღლეს — ელზას — კი ლამის უბღვერენ. მისი თაობის ახალგაზრდა ქალები მის დანახვაზე ტუჩებს პრუნავენ. რა დააშავა ელზამ? ის, რომ ძლიერ ლამაზია და ახალგაზრდა? ედგარს მისმა სილამაზემ, მომხიბველულობამ მეუღლედ და ორი შვილი დაატოვებინა. თქვენც ლამაზები ხართ, მიმზიდველნიც, მაგრამ ბედმა ელზას გაუღიმა. მილიარდერი განა ბევრია — თითებზე ჩამოსათვლეღია, ლამაზი ქალი კი... ამდენ ლამაზ ქალს მილიარდერები ვერ გასწვდებიან.

...მომდევნო დღეს ბერლინის ყოფილი რკინიგზის სადგურის — გრიუნვალდის — ბაქანზე, საიდანაც ფაშისტებს ბერლინელი ებრაელები საკონცენტრაციო ბანაკში გადაჰყავდათ (ბაქანზე ფილებია დაკრული, რომლებზეც აღნიშნულია, ფაშისტებმა რომელ თვეში რამდენი ებრაელი გადაიყვანეს სიკვდილის საამქროებში), მარგარიტა ნალვლიანად დააბიჯებდა. მერე იმ დაღუპულ ებრაელთა სულის მოსახსენიებლად დიდი სანთლის ანთების პატივი მიაგეს. ხელი უკანკალენდა. რამდენჯერმე სცადა მღელვარების დაოკება, გაუჭირდა. ნერვიულობის გამო ქვედა ტუჩი კბილებში მოიქცია, სინთლე მოერია და მე სიხარული დამეუფლა: მილიარდებს, მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქალბატონის სახელს, მის სულში თანაგრძნობის ნიჭი არ ჩაუკლავს. განცდადაკარგული მილიარდერი კი არა, ქალია, ადამიანი, რომელ-

საც აქვს ყველაზე დიდი სიმდიდრე — ადამიანის თანაგრძობის ნიჭი.

ზემოთაც ვთქვი და მიხდა, გავიმეორე: ათეულობით მილიარდის გარეშეც ჩინებულა და მომხიბლავი.

**სიუჟეტები მოთხრობისათვის სული განაწყენდა თუ დაკმაყოფილდა?**

ზურა წარმოსადგევი, სახიერი კაცია. ნელგამართული, მხრებგაშლილი დადის. ეს არა იმდენად თავისი ძაღვებით და თავმონებით, უფრო მეტად იმით აიხსნება, რომ ერთობ ნესიერი კაცია: მართალი, ზოგჯერ ბავშვებით გულუბრყვილო, სუფთა გულის, აუგი არავიზე არასოდეს უთქვამს და რატომ არ უნდა დადიოდეს მხრებგაშლილი?

ამ 20-25 წლის წინათ დიდი უბედურება დაატყდა თავს — მეუღლე დაეღუპა. ახლადდაქორწინებულნი იყვნენ, ცხოვრებას იწყებდნენ, ოცნებაში უკვე ბევრი რამ დააღაგეს და მოულოდნელად...

ზურას ისე ძლიერ უყვარდა მეუღლე, გარდაცვლილს დიდხანს გლოვობდა. წლების შემდეგ ოჯახის შექმნაზე რომ ჩამოვუგდებოდა სიტყვას, აიღებოდა, მზერაში ბრაზი ჩაუდგებოდა და შესძახებდა: — რას ამბობთ, აბა, კარგად დაფიქრდით, რას ამბობთ... ლილის მერე... გავიდა ხუთი... ათი წელი. მეტიც. და კვლავ:

— რას ამბობთ, აბა, რას ამბობთ! იმის მერე მე ცოლს შევირთავ?! ყველანი დავრწმუნდით, რომ ზურას აზრს ვერ შევუცვლიდით. მას ისე ძლიერ უყვარდა ლილი, ამ ძვირფას ადამიანს — განსვენებულს — იმდენად დიდი კვალი გაეგო მის სულში, რომ სხვა ქალს, როგორც მეუღლეს, ვეღარ აღიქვამდა და მასთან ურთიერთობას ვეღარ შესძლებდა.

და აი, ერთ უმზეო, მოქუფრულ დღეს... ზურა ასე იხსენებს იმ დღეს: — სამზარეულოში ერბო-კვერცხს ვიმზადებდი. მოულოდნელად ჩემი მეუღლის — ლილის — ხმა შემომესმა. დაბეჯითებით, გატაცებით მელაპარაკებოდა, მივაყურადე. კი, ჩემი მეუღლე იყო. ოთახში გავედი. თურმე ტელევიზორში ვილაც საუბრობდა. მივაცქერდი, უცნაური გრძნობა დამეფლავა. ვიგრძენი, რომ ჩემი რაღაც ხდებოდა. რაღაც ახალი იწყებოდა — მოუსხული შევცქეროდი იმ ქალის საუბარს. კარგა ხანს ლაპარაკობდა — გონივრულად, ხატოვანად. გადაცემა დამთავრდა და ჩემი ნამებაც დაიწყო.

გაგიკვირდება, არ დამიჯერებ, მაგრამ ასე იყო: უკვე მიყვარდა, მაგრამ არ ვიცოდი, ვინ იყო, საიდან მოვიდა, სად გაქრა. სად შექმნა? დავდიოდი და ვკითხულობდი, თვეობით დავეძებდი. მჯეროდა, თუ ვერ მოენახავდი, სულს დავლევდი. და ბოლოს... მივაგენი, ვიპოვე!

ზურა მონოლოგს განაგრძობს. თუ აქამდე მზერა უბრუნებინავდა, ახლა თვალებში ნალღველი ჩაუდგა. თურმე ის ქალი სიყმაწვილის ასაკს გადაცილებული გახლდათ, არც გათხოვილი ყოფილა. თუ ზურას ის ქალი (მოდი, დავარქვავთ ცისია) დანახვისთანავე შეუყვარდა. ზურამ ცისიას გული ვერაფრით მოინადირა. ვერც თეატრში მიპატიჟებით, ვერც ყვავილების გაგზავნით, ვერც სატელეფონო მოკითხვებით. ვერც ზურას მზერაში ჩამდგარმა აღერსმა გაათბო ცისიას გული. არა, არა არა! — ცისიასგან მეტი არაფერი ისმოდა. ქალმა ტელეფონის ნომერიც კი შეიცვალა — ზურას ხმა აღარ მომწვედვოდა. ლამის ათი წელი სრულდებოდა ზურა ამ დღეშია. უკვე ხანი დაეტყო, ცისია ისედაც არ იყო გაფურჩქვნის ასაკში — კვლავაც გაუთხოვარია.

და დადის ეს ორი მარტოსული ეულად. მთავარი სიხარული სამსახურებრივი საქმიანობაა. დრო კი გარბის. დრო არც ცისიას დაგიდევს, არც ზურას. ახლა კი მიხდა, მკითხველს მივუბრუნდე: ალბათ, გაოცებული ხარ, ფიქრობ, რა დასაწერი ეს იყო, რა არის აქ საინტერესო, ამ სამყაროში მილიონობით უარყოფილი შეყვარებულა, ამდენი გაუზიარებელი ტრფობა...

მართალი ხარ, ძვირფასო მკითხველო. აბა, შეხედე, რა ხდება ქვეყნად: ქალების მეოთხედი გულჩამკვდარი დადის დედამიწაზე იმის გამო, რომ ის, ვინც უყვარს, ზედაც არ უყურებს, ვერც ამჩნევს, ან სულაც ერთი-ორჯერ გაეკარება, მიუალერსებს, ლოგინშიც სულს დაიამებს, ამასაც აამებს

და... მერე ან მდინარეში ხტებიან, ან... დღეს სხვა რამეს უფრო ეძაღვებიან...

კაცები? ზოგი კაცი ცდილობს, ღვიწროში ჩაიკლას უარყოფილი კაცის ბოლმა, ან იქნებ, უარეს ღონეს მიმართოს...

ზურას ამბავი არც სხვაზე უარესია და არც სხვაზე უკეთესი. ამ რიგშია.

მაგრამ მე მაინც ვერ მასზე ვნერ ერთი გარემოების გამო — ზურას, ახლა უკვე სამოც წელს გადაცილებული კაცის — ნათქვამი სამუდამოდ დამამახსოვრდა: — ხომ იცი, როგორ მიყვარდა ლილი.

დღევ ჩემთან იყო და ღამეც, სახლში თუ სამსხვერპლში, ქუჩაში თუ კრებაზე, ლოგინში თუ ხინოში — გარდაცვალებიდან მეთექვსმეტი წლის განმავლობაში არ მომიცილებია. აი, იმ დღეს კი, სამზარეულოდან რომ გამოვედი და ტელევიზორს მივაჩერდი, ხომ გითხარი, ჩემში რაღაც შეიცვალა-მეთქი — ცისია შემიყვარდა. იმ წამსვე ვიგრძენი, რომ შემიყვარდა. ორი კვირის მერე კი აღმოვაჩინე, რომ იმ დღის მერე ლილი აღარ გამეკარებია. მიმატოვა.

რა მოხდა? გარდაცვლილი მეუღლის სული გაბრაზდა? ქმარს გაუნაწყენდა, სხვა რატომ შეიყვარეო? ან იქნებ პირიქით მოხდა — დაინახა რა, მისმა საყვარელმა კაცმა ვილაც შეიყვარა, დამშვიდა, დღეიდან მარტო აღარ იქნებოდა და შვება იგრძნო?

**კიევილი მიზა ფრიდანი და მოსოველი მიზა ფრიდანი**

საერთაშორისო ებრაულ თავყრილობებზე ზოგჯერ კონფლიქტური სიტუაციაც კი იქმნება, თუმცაღა, ვიდრე დამაპირისპირებელი საკითხის განხილვა დაიწყებოდა, ამა თუ იმ ქვეყნიდან ჩამოსული ებრაელები ცქერა, იქნებ, საამოც იყოს — ერთმანეთს მეგობრული შედახილებით, ხვევნა-აღერებით ხვდებიან სამხრეთ ამერიკიდან თუ კავკასიის ქვეყნიდან, რუსეთიდან თუ გერმანიიდან ჩამოსული ებრაელები. ასე რომ, ვიდრე ამა თუ იმ საკითხის განხილვა დაიწყება, ჩვეულებრივ, მართლაც ერთი ერის შვილები არიან და დასტურებენ გავრცელებულ აზრს იმის თაობაზე, თითქოს ებრაელობა ერთობ შეკრული კონსოლიდირებული ერია. მაგრამ...

მერე ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეებად იქცევიან. და მე ლილი მერევა, ვხედავ: უფრო განსხვავებული, იქნებ, დამაპირისპირებელი იდეების მატარებელი ერი, ვიდრე ებრაელობაა, მეორე არ მეგონებოდა. ამის სათავე ამ ერის პლურალიზმში იღებს სათავეს. იქნებ, ეს პლურალიზმიც იყოს მიზეზი იმისა, რომ მის წიაღში ამდენი ახალი რამ იბადება. ტყუილად არ არის ნათქვამი: იქ, სადაც სამი ებრაელია, ოთხი მოხაზრება არისო, მაგრამ არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც სწორედ ამ საერთაშორისო ებრაულ თავყრილობებზე იჩენს თავს: აი, განხილვა ანტისემიტისმის საკითხი ყოფილ საბჭოთა კავშირში და ორი ებრაელი ერთი საათის წინ ერთმანეთს რომ ეხვეოდნენ, ახლა ორ დაპირისპირებულ ძალად ქცეულა. მოსკოველი მიზა ფრიდანი მიიჩნევს, რომ კიეველი მიზა ფრიდანი იტყუება, როცა ამბობს, რუსეთში ანტისემიტისმი არისო; აი, კიეველი მიზა ფრიდანი კი სიცილით კვდება მოსკოველი მიზა ფრიდანის განცხადებაზე, რუსეთში ანტისემიტისმი არ არისო, მერე წამოდგება და ისე გაკიცხავს მოსკოველი მიზა ფრიდანი კიეველ მიზა ფრიდანს, აქ რომ პუტინი იჯდეს, ისიც კი ეტყვის, ცოტა დაინდე, ასე ნუ შეუტევო.

რამდენი წელიწადია, შევცქერი აზერბაიჯანისა და სომხეთის ებრაელთა წარმომადგენლების შეხვედრებს საერთაშორისო ებრაულ თავყრილობებზე; არ მახსოვს შემთხვევა, ბაქოელ ფრიდანს გულგრილად მოესმინოს ერევნელი შიშმანის განცხადება, ან ხმადაღლა შესძახებს რაიმეს, ან ვინრო წრეში გააქილიკებს, გამოთქვამს საწინააღმდეგო აზრს.

ამ ათიოდე წლის წინათ ვაშინგტონში მეც ამ დღეში ჩავვარდი: აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნიდან ჩასული ებრაელებს გვხვდებოდნენ. რუსეთის წარმომადგენელმა ერთმა მეცნიერმა ქალბატონმა ნეგატიურად ილაპარაკა საქართველოზე (მერე შევიტყვე, რომ პარტია „ედინაია როსსიას“ წევრი ყოფილა). ცხადია, შევეკამათე. კამათი ისე გამწვავდა, რომ სახდების წარმომადგენელი — ერთი ძვალმსხვილი კაცი — შეეცადა ჩვენს

შორის კონსენსუსის მიღწევას, მაგრამ ფრიდა აბრამოვნა არ ცხრებოდა, არც გურამ აბრამოვიჩი აპირებდა „ედინაია როსსიას“ პროექტის მიღებას — არ ეუბნებოდა და იმ სახდების წარმომადგენელს დიდი გარჯა მოუწია.

ორიოდ თვეში ის კაცი საქართველოში ჩამოვიდა, როგორც აშშ-ს ელჩი და იმ დაპირისპირებას ლილით ვიგონებდით.

ამას წინათაც ასე იყო იერუსალიმში, როცა რუსეთის ებრაელობის წარმომადგენელს ენადა, აფხაზეთის ებრაელობა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის წევრი გაეხადა. არ შევეპუეთ, არ დავეუთმეთ, ვერაფერს გახდა და ვაითუ, ჩვენს ლამის ოცდაათწლიან მეგობრულ ურთიერთობას ბზარი გაუჩნდა?

ასეა, კიეველი მიზა ფრიდანი უპირისპირდება მოსკოველ მიზა ფრიდანს. რუსეთელი ფრიდა აბრამოვნა „ამ ქართველ“ გურამ აბრამოვიჩს. ამ დროს კი კიევისა თუ მოსკოვის რომელიღაც პეტია, ან ვასია ფიქრობს: „რა უნდათ ამ ჟიდებს!“ და იმასაც კი შესძახებს: „ბეი ჟიდოვ!“ ჩვენთანაც არიან ასეთი პეტეები და ვასიები: რუსეთ-საქართველოს საომარი მოქმედების წინა დღეებში ერთ-ერთ ტელეეთერში ჩინებულ ინტელექტუალსა და პიროვნებაზე, თემურ იაკობაშვილზე მოვისმინე ირონიით ნათქვამი: „აი, იაკობა წყვეტს ჩვენს ბედს!“ ეს თემა განსაკუთრებით ახლობელი საბავშვო პოეტის გურამ პეტრიაშვილისათვის. არადა, ეს „იაკობა“, მისი წინაპრები საქართველოს ისე ემსახურებოდნენ, იმ ბედოვლათ პეტეებსა თუ ვასიებს არც მოელანდებათ.

ეს ჩვენი ბედია და უნდა შეეურიგდეთ? რატომ?

**დრამატურგის ალიზი**

მიხეილ შატროვს — ელიტარულ საბჭოთა დრამატურგს, რომელსაც დრამატურგიაში „გამოჩენილ ლენინოლოგს“ ეძახდნენ, მანამ ვიცნობდი, სანამ თბილისში ჩამოვივინდი. 70-იან წლებში ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის დაკვეთით მისი ორი პიესა ვთარგმნე — „ბოლშევიკები“ და „ექვსი ივლისი“. მართალია, თეატრის სურვილითა და საჭიროებისათვის ვთარგმნიდი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ გულგრილი ვიყავი შატროვის დოკუმენტური დრამატურგის მიმართ. ამ პროცესს ჩემი გულისყურიც ახლდა თან. შატროვის დოკუმენტურ პიესებში ჩემთვის ბევრი რამ იყო საყურადღებო იმის გამო, რომ დოკუმენტური დრამატურგია ძლიერ მიზიდავდა და მიზიდავს. მაინტერესებდა ეს ჟანრი და თუ სადმე წავაწყდებოდი, ყურადღებით ვეცნობოდი, ვსწავლობდი.

მიხეილ შატროვი ვლადიმირ ლენინის ირგვლივ მიმდინარე ამბებს — სხვათა და სხვათა მოგონებებში მოქცეულ რეალურ სიტუაციებს, საგაზეთო ქრონიკას, არქივებში მოვლემარე დოკუმენტებს ძალიან გონიერულად, შემოძლია, ვთქვა, ერთობ ოსტატურად სვამდა დრამის ქსოვილში. მართალია, დრამატურგი ამ ხერხს უმეტესწილად იმისთვის მიმართავდა, რომ ჩვენ — მკითხველი, მაყურებელი — დავერწმუნებინათ, თუ რაოდენ „ფრთაშესხმული ანგელოსი“ გახლდათ ოქტომბრის რევოლუციის ბელადი, მაგრამ მე ლენინის სახის შატროვისეული გააზრება კი არ მაინტერესებდა — წინასწარ ვიცოდი, როგორი იქნებოდა იგი. ვცდილობდი, ჩავწვდომოდი დოკუმენტის დრამაში ჩართვის, გამოყენების ტექნიკოგაიას. იმას, თუ როგორ, რა გზებით, საშუალებებით აღწევდა დრამატურგი მიზანს. დოკუმენტური დრამის ჟანრში ვმუშაობდი და ვესწრაფოდი პიესაში დოკუმენტი ისე გამოყენებინა, მკითხველს „ნაკერი“ არსად შეემჩნია. შატროვი ამას ჩინებულად აკეთებდა — დოკუმენტი პიესის ორგანული ნაწილი გახლდათ, ნაწარმოების დინამიკაში დოკუმენტალისტიკა ისე ერთვებოდა, კითხვისას უკან ვბრუნდებოდი, ნაკითხულს ხელახლა ვუბრუნდებოდი, რომ „გადაკერებული“ აღმომიჩინა — გამერკვია, სად, როგორ შემოვიდა დოკუმენტალისტიკა. შატროვის დრამატურგიის ზემოქანა საყოველთაოდ გახლდათ ცნობილი — ლენინის პიროვნების იდეალიზაცია, მაგრამ ზოგჯერ საპირისპირო აზრით ჩნდებოდა, ან ჩვენ გვეჩვენებოდა, ამა თუ იმ ფაქტის წარმომართ ავტორი ლენინის ჭეშმარიტი სახის წარმოჩენას ხომ

არ ცდილობდა. ამის დასტურად „ექვსი ივლისის“ ერთი ეპიზოდიც გამოდგება (ლენინი ესერების აჯანყების დაწყებას რომ შეიტყობს, უჯრიდან რევოლვერს ამოიღებს. ეს მოულოდნელი იყო „ფრთიანი ანგელოსის“ ხატისათვის — ფრთიანი ანგელოსი და რევოლვერი?!). მეგონა, თუ მეც ჩემი წარმოსახვით წავეშველდოდი, ავტორი და მე ამ პატარა დეტალით ისტორიულ რეალობას აღვადგენდი. კიდევ იყო ერთი გზა ისტორიული რეალობის რესტავრაციისა: თეზისა და ანტითეზის დაპირისპირებისას ანტითეზის კარგად გააზრება.

ამბობდნენ, შატროვი კრემლის რომელიღაც ფუნქციონერის, ლენინის თანამებრძოლის შვილიშვილია და დოკუმენტებზე ხელი მიუწვდებაო, მაგრამ ერთია ფაქტების, დოკუმენტების ცოდნა და სულ სხვაა, ამათი დრამატურგიაში კარგად გამოყენების ცოდნა. მე ერთიც მაინტერესებდა და მეორეც.

1986 თუ 1987 წელს მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის თეატრის მოღვაწეთა კავშირების პირველი დამფუძნებელი ყრილობა. ერთ-ერთი სხდომის დამთავრების შემდეგ შატროვმა მითხრა: ერთსაათიანი შესვენებაა, ჩემს სახლში გადავირბინოთ (ყრილობა კრემლის ყრილობათა სასახლეში ტარდებოდა), იქ კიდევ შევჭამოთ და ჩემი პიესების ახალ კრებულსაც გაჩუქებო. წავედი. იქვე ახლოს ცხოვრობდა — კრემლის შემოგარენში. მისი აპარტამენტების გრანდიოზულობით გაოცებული დავრჩი. მივხვდი, რომ ვცდებოდი: კრემლის შემოგარენში ამგვარ აპარტამენტებში მცხოვრები ადამიანი ბელადის პირისსხლიანობაზე არაფერს ბღენდა. ეს ჩემი წარმოსახვა იყო და სხვა არაფერი.

რობერტ სტურუამ რომ რუსთაველის თეატრში მიხეილ შატროვის პიესა — „ლურჯი ცხენები ნითელ ბალახზე“ დადგა, ავტორი პიესის „ჩაბარებაზე“ ჩამოფრინდა. „ჩაბარებაში“ ჩინებულად ჩაიარა — არაფერი უჩვეულო, მოულოდნელი არ მომხდარა — ხელისუფლების წარმომადგენლებმა, თეატრალურმა სამყარომ სპექტაკლი კარგად მიიღო. უცნაური კი ის იყო, შატროვმა რომ განაცხადა, ხვალ შუადღისას მოსკოვში უნდა ვიყო და დილაადრიან უნდა გაფრინდეთ. პრემიერას როგორ არ დაესწრებით-მეთქი, გამიკვირდა. არ დაიშალა. გაფრინდა. ორი თუ სამი დღის მერე პრემიერაც გაიმართა. მომდევნო საღამოს დამირეკა, პრემიერამ როგორ ჩაიარაო. ვუამბე, როგორც ჩაიარა, მშვენიერი სპექტაკლია, მაყურებელმა ჩინებულად მიიღო-მეთქი. მთავრობას რა რეაქცია ჰქონდა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, მდივნები თუ იყვნენო. მაშინ ამ შეკითხვებისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. რამდენიმე ხნის შემდეგ შოთა რუსთაველის თეატრი საგასტროლოდ მოსკოვს გაემგზავრა. ვგონებ, მცირე თეატრის სცენაზე თამაშობდნენ სპექტაკლებს.

ერთ დღეს მოსკოვიდან არცთუ მოულოდნელი ხმა დაირხა: „ლურჯი ცხენების“ წარმოდგენაზე მივიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე შაურო და ქართულ თეატრში დიდი ბელადის სახის დამახინჯებულად წარმოდგენის გამო აღმოფთება ვერ დამალაო. მეორე დღეს კი გამოაგნებელი ინფორმაცია მოდის: მიხეილ შატროვმა განცხადება დაწერა, რუსთაველის თეატრში ჩემი პიესა არასწორად არის გაგებული და დადგმული, გასტროლებზე ამ სპექტაკლის მეტად ნახვა აღარ მინდაო.

ამ ამბების მერე მივხვდი, თუ რატომ არ დარჩა დრამატურგი პრემიერაზე. მერეღა გავამახვილე ყურადღება პრემიერის მომდევნო ღამეს მის მიერ დასმულ შეკითხვებზე — მთავრობის, ცეკას წევრების აზრი რომ აინტერესებდა.

სპექტაკლი მოეწონა, არც დაუფარავს, მაგრამ იცოდა, თუ რა სულისკვეთება ტრიალებდა კრემლში. იცნობდა რა კრემლის კულტურულ ცხოვრებას, გამოიცნო, თუ როგორი რეაქცია შეიძლებოდა, ჰქონოდათ ამ სპექტაკლის მიმართ და ალიზი შეიქმნა: თბილისში პრემიერისათვის ჩავედი, მაგრამ პრემიერაზე არ დავრჩი, ალბათ მიხვდებოდა, რატომაცო.

მთარგმნელი

ლანა კალანდია

ლანა კალანდია ესპანურენოვანი ლიტერატურის შედარებით ახალი მთარგმნელია, თუმცა უკვე შეძლო, დიდი მწერლობის საუკეთესო ნიმუშები შეეთავაზებინა მკითხველისთვის — გაბრიელ გარსია მარკესის „იცხოვრო, რომ მოჰყვე“, მარიო ვარგას ლიოსას „ცუდი გოგოს ოინები“ და ხორხე ლუის ბორხესის „ბროდის ანგარიში“.

ამ უკანასკნელის პრეზენტაცია თბილისის საპარლამენტო ბიბლიოთეკაში ზაფხულში გაიმართა და საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. მარკესის რომანმა კი ლიტერატურულ პრემია „საბა 2015“-ის ფინალისტობამდე გაუკვალა გზა.

დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი, იყო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრის პროფესორი, უფრო ადრე გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტ „ალმა მატერში“ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა, სამეცნიერო ხარისხი თანამედროვე ქართულ ვერლიბრზე დაიცვა. არაერთი სამეცნიერო კვლევისა და სტატიის ავტორია, თუმცა ამჯერად მისი ბიოგრაფიის „ესპანურენოვან“ ნაწილზე ვისაუბრებთ.

ვაზეთის ამ ნომრის გამოშვებისთვის ის ბარსელონაში იქნება, ქალაქში, სადაც თხუთმეტი წელია, ცხოვრობს. ერთმანეთს ივლისში თბილისში შევხვდით, ახალი დაბრუნებული იყო სამეგრელოდან, სადაც გამომცემლობა „ინტელექტთან“ ერთად იმოგზაურა.

— ზაფხულში, მით უფრო, ასეთ ცხელ დღეებში, გამომცემლობები, ჩვეულებრივ, აქტიურ საქმიანობას წყვეტენ, ვფიქრობ, „ინტელექტი“ გამონაკლისია ამ მხრივ, ივლისის ცხელ დღეებშიც აგრძელებს თბილისურ პრეზენტაციებს, მოგზაურობს რეგიონებში და მკითხველს ახალ წიგნებს აცნობს. მათთან ერთად ზუგდიდში იყავით, რა წარადგინეთ?

— მოგეხსენებათ, გრძელდება გამომცემლობის წარმატებული პროექტი „ნობელიანტები“. ზუგდიდელ მკითხველს წარვუდგინეთ სერიის რამდენიმე ახალი გამოცემა — ჩემ მიერ თარგმნილი გაბრიელ გარსია მარკესის რომანი „იცხოვრო, რომ მოჰყვე“ და მარიო ვარგას ლიოსას „ცუდი გოგოს ოინები“, ასევე, ჯონ სტეინბეკის „თავგებულა და ადამიანებზე“, რომელიც გვანცა ჯობაძემ თარგმნა. შეხვედრა გაიმართა ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, სადაც მომზადებული მკითხველი გველოდა, უმეტესობა კარგად იცნობდა ახალ წიგნებს და საინტერესო შეკითხვები ჰქონდათ მომზადებულნი. „ინტელექტს“ ძალიან კარგი პოლიტიკა აქვს — ცდილობს, ყველა წიგნს, რომელსაც გამოსცემს, მკითხველამდე გაუძღვეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, წიგნის დაბეჭდვა და მალაზიის თაროზე დადება არ კმარა, აუცილებელია, ადამიანებს აპოვინოთ კიდევ ის, ინტერესი გაუღვივოთ საკითხავის მიმართ. დღეს, როცა ამდენი ახალი გამოცემაა, ასეთი დიდი არჩევანია, მკითხველს კარგი გზამკვლევი სჭირდება.

— ესპანური ენა როდის გაჩნდა თქვენს ცხოვრებაში, მისი შესწავლა როდის დაიწყო?

— 2000 წლიდან ბარსელონაში ოჯახთან ერთად ვცხოვრობ. თავიდან ესპანური არ ვიცოდი, ელემენტარულიც კი, მაშინ ვერ წარმომედგინა, რომ როდესმე ისე ვისწავლიდი ენას, შევძლებდი, მეთარგმნა და თანაც — ყველაზე ელიტარული მწერლები. მოკლედ, დავიწყე სწავლა, ოღონდ — წმინდა პრაქტიკული მოსაზრებით, საჭიროების გამო. წლების შემდეგ, როცა მივხვდი, რომ შემოქმედებულ მთარგმნას, ვცადე დაკავშირება გამომცემლობებთან. არჩევანი შევანერე მარკესზე. ვინაიდან, ამ მწერლის შემოქმედებას ძალიან კარგად იცნობენ საქართველოში, ვიფიქრე, რომ მისი ავტობიოგრაფიული რომანი დაეხმარებოდა მკითხველს მარკესის შემოქმედების გააზრებაში, ერთგვარი გზამკვლევი იქნებოდა მისთვის, დაახლოებდა, საიდან მოდის ავტორის შემოქმედებითი ფანტაზია, რა არის მისი შთაგონების წყარო — „იცხოვრო, რომ მოჰყვე“ მაგიური რეალიზმის, ამ კონტრავერსული ტერმინის ერთგვარი გასაღებიცაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბუმბერაზი მწერლის ავტობიოგრაფიული ნაწარმოები, ასეთი გულწრფელობით დაწერილი, დიდი საჩუქარი იქნებოდა მკითხველისთვის.

წიგნის პირველი ათი გვერდი ვთარგმნე და გამომცემლობებს გავუგზავნე. თუკი დაინტერესდებოდნენ, მზად ვიყავი, მეშუაშავა. მაღლობა მინდა, ვუთხრა „ინტელექტს“, რომელიც, შეიძლება ითქვას, ბრმად მენდო და ჩემთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. როგორც კი გამომცემლობამ საავტორო უფლება მოიპოვა, თარგმანზე მუშაობა დავიწყე. მოგეხსენებათ, სქელტანიანი რომანია, 600-გვერდიანი.

— დიდხანს თარგმნიდით? — არა, დაახლოებით 5-6 თვეში დავასრულე. დიდი მოცულობის სამუშაო იყო და ისე ვთარგმნიდი, არ ვიცოდი, მივიდოდი თუ არა ბოლო წერტილამდე, დავძლევი

თუ არა. ამიტომ დღემდე მიჭირს დაჯერება, რომ წიგნი თარგმნა, გამოიცა ქართულად და მკითხველმა მოიწონა კიდევ. „საბას“ ფინალისტებში მოხვედრა კი დიდი მოულოდნელობა იყო ჩემთვის. ძალიან გახარებული ვარ, ასეთი ღირსეული მთარგმნელების გვერდით რომ აღმოვჩნდი. არ ვიცი, ალბათ, ერთადერთი მიზეზი, რითიც შემიძლია, ეს ყველაფერი ავხსნა, არის ის, რომ საკუთარი თავი არ დავინდე



მუშაობისას. თუმცა, როცა ასეთ ლიტერატურას ეხები, სხვაგვარად არც შეიძლება.

— ალბათ, დიდი სითამამეა ახალბედა მთარგმნელისგან ასეთი არჩევანი. მხოლოდ იმას არ ვგულისხმობ, მარკესი რომ აირჩიეთ, იმასაც, რომ ქართულად მას საუკეთესოები თარგმნიდნენ. თქვენი მხრიდან, შეიძლება ითქვას, ეს ერთგვარი რისკიც იყო.

— ნამდვილად ასეა. მარკესს ძალიან კარგი მთარგმნელები ჰყავს. უპირველეს ყოვლისა, ეს ელზა ახვლედიანია. მარკესის ასი წელი“ თაობებმა სწორედ მისი ბრწყინვალე ნამუშევრით გაიცნეს. შესანიშნავად მუშაობს, ასევე, თეა გვასალია. ბუნებრივია, როცა საქართველოში მარკესის თარგმნის ასეთი ტრადიციაა, მეც დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი. თუ როგორ გავართვი თავი სამუშაოს, ალბათ, მკითხველი განსჯის.

— თუმცა „იცხოვრო, რომ მოჰყვე“ თქვენი პირველი თარგმანი არ ყოფილა, მანამდე, გამომცემლობა „არტანუჯთან“ ერთად საინტერესო პროექტი განახორციელეთ.


— მარკესამდე იყო ერთი პატარა წიგნი, სახელწოდებით „98-იანელები“. მასში პირველად მოუყარეთ თავი XIX საუკუნის ესპანელ მწერალთა იმ თაობას, რომელთაც ცხოვრება და შემოქმედება ესპანეთის იმპერიის დაცემასთან არის გადაჯაჭვული. ესენი არიან პიო ბაროხა, ანტონიო მანადო, მანუელ მანადო, ვალიე-ინკლანი, მიგელ დე უნამუხო და სხვები — მწერლები, რომელნიც დაიბადნენ ეპოქაში, როცა ესპანეთი კარგავდა უკანასკნელ კოლონიებს, განიცდიდა მძიმე სოციალურ, მორალურ, პოლიტიკურ კრიზისს, იდგა ძველი დიდების ნანგრევების წინაშე. იმ კატასტროფის ფონზე იფეთქა ინტელექტუალურმა აზრმა, გაჩნდა თაობა, რომელმაც შემოქმედებითად გაიაზრა მომხდარი და უდიდესი გავლენა იქონია ესპანურ აზროვნებაზე. მოვიძიე ძველ პრესაში გაბნეული მათი ინტერვიუები, რალაცნაირად თავი მოვყარე მასალას და ერთ პატარა წიგნად ავეკინძე. თავისთავად, შეიძლება, ეს მათი ყველაზე მნიშვნელოვანი და ცნობილი ინტერვიუები არც არის და მხოლოდ

წმინდა ლიტერატურულ მსჯელობებსაც არ შეიცავს, სამაგიეროდ, მათში წარმოდგენილი და განხილულია ნაციონალური, პოლიტიკური საკითხები, რაც საუკეთესოდ გადმოსცემს ეპოქის სულს. ამასთან, ინტერვიუებს ერთვის მწერალთა ბიოგრაფიები, ასე რომ გადაჯაჭვულა ესპანეთის ისტორიასთან. ამ მხრივ, „98-იანელები“ ჩვენს „სამოციანელებს“, ილია ჭავჭავაძის თაობას, ალბათ, ყველაზე მეტად ჰგვანან.

ძველი ესპანური პრესის გაცნობა, მასალის მოძიება ძალიან საინტერესო იყო, ოღონდ ეს უფრო ტექნიკური სამუშაო გახლდათ, ვიდრე შემოქმედებითი.

— თქვენი, როგორც მთარგმნელის ბიოგრაფიას, შეიძლება ითქვას, სამი დიდი ავტორის შემოქმედება განსაზღვრავს. გაბრიელ გარსია მარკესის შემდეგ მარიო ვარგას ლიოსა გადმოაქართულეთ.

— „ცუდი გოგოს ოინების“ თარგმნა გამომცემლობა „ინტელექტმა“ შემომთავაზა. მოგეხსენებათ, ამ წიგნს ლიოსას ეგრეთ წოდებულ საპროგრამო ნაწარმოებებს შორის არ ასახელებენ. მე კი მგონია, რომ გამორჩეული რომანია, რომელიც ქალისა და მამაკაცის წინააღმდეგობრივი ურთიერთობის შესახებ მოგვითხრობს. მართალია, მანამდე დან-



ერა „დეიდა ხულია და სცენარისტი“, მაგრამ ის მელოდრამა უფროა, ეს კი გახლავთ დრამა სიყვარულზე. „ცუდი გოგოს ოინები“ 2010 წელს გამოიცა. წიგნის წაკითხვის შემდეგ, პირველი რაც ვიფიქრე, როგორ შევძლებ-მეთქი ამ ტიპის რომანის თარგმნას. ლიოსა უკიდურესად შიშვლად აღწერილ სასიყვარულო ურთიერთობებს, ძალიან რადიკალურია, ცდილობს, ზღვრამდე მივიდეს, მოსინჯოს, სადამდე შეიძლება, დაეცეს ადამიანი, რამდენად მართავს მას ვნება. ქართველ კლასიკოსებს ეროტიკული სცენები არ აღუწერიათ, არ არსებობს მზა ფორმულები, ლიტერატურაში დამკვიდრებული ლექსიკა, რომელსაც მთარგმნელი თამამად ამოეფარება, რომლითაც ისარგებლებს. შესაბამისად, ეჭვები მქონდა, არ ვიცოდი, შევძლებდი თუ არა ლიოსასეული სცენების ისევე ბუნებრივად გადმოცემას, როგორც ეს ორიგინალშია. არ ვიცი, რამდენად გამომივიდა. როგორც ლიოსა ამბობს, ბოლო სიტყვას არასოდეს ამბობს მწერალი, ბოლო სიტყვა მკითხველზეა.

— „ცუდი გოგოს ოინებს“ სულ სხვა მასშტაბს სძენს კულტურული კონტე-


ქსტი. — დიას, რომანს უდიდესი კულტურული ფონდი აქვს. XX საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიო თავისი ინტელექტუალური მოძრაობებით, სახელოვნებო მიმდინარეობებით, მწერლობით, მხატვრობით, აზროვნებით — აი, ის, რაზეც ლიოსა ორი გმირის ურთიერთობას აშენებს. ამასთან ის გენიალური ესეისტი, ლიტერატურის უზადო მკვლევარია. „ცუდი გოგოს ოინებში“ ერთმანეთს ერწყმის მარიო ვარგას ლიოსა, როგორც რომანისტი და როგორც ესეისტი. ლიოსას მონათხრობი ევროპის დიდ ქალაქებსა თუ იაპონიაზე, რეალურად ბრწყინვალე ესეებია. ის ამბობს, ბედისწერამ იწება, მეცხოვრა იმ ქალაქებში, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა, მინდოდა, ის ყველაფერი ამ რომანში გადმომეცა და გადმომეცა სწორედ ქალი პერსონაჟის დახმარებით. მთავარი კი მაინც ლიოსას ენაა — ენა, რომელიც თარგმნისას არანაირ სირთულეს გიქმნის.

ერთსავე გეტყვით ამ რომანთან დაკავშირებით — ბარსელონას ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში ფსიქოლოგებმა ჩაატარეს კონფერენცია, რომელიც „ცუდი გოგოს ოინებს“ მიეძღვნა. მასში მეც ვმონაწილეობდი. ძალიან საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს ლიოსას პერსონაჟების ფსიქოლოგიურ პორტრეტებზე. დამეთანხმებით, ეს ფაქტი ბევრ რამეზე მეტყველებს — ლიოსასახეების ოსტატია, ამიტომაც მისი პერსონაჟები არა მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეების, არამედ ფსიქოლოგთა ინტერესის საგანიც არის. ეს კი მისი გმირების მხატვრული დამაჯერებლობის კიდევ ერთი დასტურია.

— წარმოდგენილი მაქვს, რა შთაბეჭდილებაა ამ ავტორების ორიგინალში კითხვა. დროა, გადავიდეთ ბორხესზე, რომლის კრებულის — „ბროდის ანგარიში“ — პრეზენტაცია ზაფხულში გქონდათ.

— ბორხესი ორიგინალში — გამაოგნებელი შთაბეჭდილებაა. ხანდახან ვფიქრობ, როგორ შეიძლება, ასე წერდეს, ასე ზუსტად, ასე მჭიდროდ „ქსოვდეს“, ასეთ ეფექტს მიაღწიო. თუ რამეზე შეიძლება, ითქვას „მაგიური“, ეს ბორხესის შემოქმედებაა.

მის ერთ-ერთ მოთხრობაზე მოგიყვებით, უფრო ცხადი რომ იყოს, რამდენს ფიქრობდა თითო ფრაზაზე. მოთხრობას ჰქვია „შემოჭრილი“ და ორ ძმასეა, რომელთაც ერთი და იგივე ქალი უყვარდა. შემდეგ იმ ქალს იზიარებენ. ცხადია, ასე ვერ გაგრძელდებოდა და ერთ-ერთი მათგანი ქალს კლავს. თხზულების ბოლოს ის ამ მკვლელობის შესახებ ძმას ეუბნება. ბორხესი დიდხანს ფიქრობდა, როგორი უნდა ყოფილიყო დასასრული, იცოდა, რომ ზუსტად უნდა შეერჩია სიტყვები, რომელსაც ერთი ძმა, მკვლელი, მეორეს ეტყობა. დედას გაუზიარა ფიქრები. ის კი ცოტა ხანს ჩუმად მჯდარა, შემდეგ უთქვამს: „ვიცი, როგორ უთხრა ძმამ ძმას, რომ მისი საყვარელი მოკლა“. ბორხესმა სთხოვა, დაენერა და წაეკითხა მისთვის. ფრაზა, რომელიც მწერალმა ორიგინალ ტექსტში დატოვა, სწორედ იმ დიალოგის დროს დაბადებული ფრაზაა: „იმუშავე, ძმაო, შემდეგ სვავები წამოგვეშველებიან. დღეს მოვკალი, აქ დარჩეს თავის ტინჯებით, აწი ველარ გვავნებს“. უყვითეს ვერ მოვიფიქრებდიო — ამბობს ბორხესი. იქვე ხსენის, რატომაც, და იმ შემთხვევა ცხოვრების ყველაზე თბილ მოგონებას უწოდებს



— თითქოს თვალწინ მიდგას, როგორ ზის ფანჯარასთან, საწერ მაგიდაზე თავდახრილი დედა, კალმით ხელში და როგორ ფიქრობსო.

— **ბორხესის დამოკიდებულება დედასთან, ლეონორ ასევედო სუარესთან, და იმ ქალბატონის როლი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, ალბათ, ცალკე საუბრის თემაა.**

— საოცარი ურთიერთობა ჰქონდათ. ღრმად მოხუცებული ბორხესი იხსენებს, სინანულის განცდა მტანჯავდა, უფრო ბედნიერი რომ არ ვიყავი, ჩემ გამო კი არ განვიცდიდი, არამედ სწორედ მის გამო, უფრო ბედნიერი რომ ვერ მნახავო. დაწერა კიდევ ამ თემაზე სულსშემძვრელი ლექსი „სინანული“.

მინდა გითხრა, მარკესთანაც დედა ძალიან საინტერესო ფენომენია, ყველაზე ძლიერი ფიგურაა. მწერალი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს კიდევ, რომ ურსულას — ქალს, რომელზეც დგას, ფაქტობრივად, „მარტოობის ასი წელი“ — დედაჩემის ნაკვთები აქვსო.

— **„ბროდის ანგარიში“ ბორხესის სიბერეში დაიწერა და 1970-ში გამოქვეყნდა. კრებული ასე შეაფასეს: „ბორხესი მასებისთვის“. რატომ?**

— ეს ის კრებულია, ის მოთხრობებია, რომლებზეც მწერალი ირონიით ამბობს, შევეცადე, სათქმელი პირდაპირ გადმომეცათო. კრებულში შესული მოთხრობები, კრიტიკოსების თქმით, შედარებით იოლად იკითხება.

— **საოცარია, 70 წელს მიღწეულ მწერალს შემოქმედებითი გზის დასასრულს რომ შეეძლო კიდევ ეთქვა: „ადრე ლიტერატურა დახვეწილ ვარიანტითაა მონაცვლეობად მიმაჩნდა მხოლოდ, ახლა კი, როცა საკუთარ „ხმას“ მივაგვნი...“ „ბროდის ანგარიში“ სწორედ ის „ხმა“ ისმის.**

— დიახ, ეს მოთხრობები მეტისმეტად გამჭვირვალეა, დანმენდილი, მკაფიო, მათემატიკური სიზუსტით დაწერილი.

ძალიან მომწონს მოთხრობა „გუაიაკილი“, რომელშიც დოქტორ ედუარდ ციმერმანსა და ბორხესს შორის ძალიან საინტერესო, ინტელექტუალური დუელის მოწმენი ვხვდებით. იქაც სულ სხვა ენაა. ერთ წიგნში ამგვარი განსხვავებულობა კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა თარგმნის პროცესს.

— **მალე ესპანეთში ბრუნდებით, რა გეგმები გაქვთ?**

— სექტემბრიდან შევუდგები ლიოსას საუკეთესო და ყველაზე მნიშვნელოვანი რომანის თარგმნას. „ავაცის ნადიმი“ — სავარაუდოდ, ასე ერქმევა წიგნს. მასზე ძალიან ბევრი შეიძლება, ვილაპარაკოთ, მაგრამ ორი სიტყვით რომ გითხრა, ეს არის რომანი დიქტატურაზე და იმ შემზარავ შიშზე, რაზეც დგას ტოტალიტარული სისტემები. დომინიკელთა რესპუბლიკის დიქტატორ რაფაელ ტრუხილის მმართველობის მაგალითზე ლიოსა იდეალურად გვიჩვენებს, რამდენი სახე, რამდენი მანტია, ნიღბი აქვს და რა ძალა — პოზიციის, საზოგადოებრივი მდგომარეობის, აღიარების დაკარგვის შიშს. ლიოსა ისე აღწერს უკიდურეს ძალადობას, რომ ხშირად გადამიდია წიგნი, მიგრძენია, რომ კითხვა აღარ შემეძლო.

ძალიან შთაბეჭდავად იწყება — 30 წლის შემდეგ რომანის მთავარი პერსონაჟი ქალი, ურანია, სამშობლოში ბრუნდება. წასვლამდე მან პირობა დადო, რომ სამუდამოდ ტოვებდა იქაურობას — მაგრამ ბრუნდება. დიქტატორი მკვდარია, თუმცა ცოცხალია ურანიას მამა, დიქტატორის ყოფილი მინისტრი, ძღვევამოსილი კაბრალი, რომელიც შვილს 30 წელია, არ უნახავს. ურანია მიდის მშობლიურ სახლში, ხვდება ლოგინად ჩავარდნილ მამას და იწყებს თავისი ამბის გახსენებას. დიდი ოსტატობით არის აგებული რომანი. ცნობილია, რომ წიგნზე მუშაობისას, ლიოსა ჩავიდა დომინიკელთა რესპუბლიკაში, გარკვეულ ხანს იცხოვრა იქ, დიქტატორის თანამედროვეებისგან ისმენდა შემზარავ ამბებს, არკვევდა, სიმართლე იყო თუ არა, რაც ტრუხილითზე მანამდე მოესმინა. სიუჟეტის ძირითადი ხაზი ურანიასა და მამამისის ტრაგიკული ამბავზე გადის. მარო ვარგას ლიოსა ამ რომანში მკაფიოდ გვიხსნის დიქტატურის არსს და მის უმძიმეს შედეგებს. ვფიქრობ, ძალიან საჭირო წიგნია.

ესაუბრა თამარ ჟურული



## ხელახლა წასაკითხი „ჭიკია“

მას შემდეგ, რაც მკითხველი გავხდოდა, და ეს ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა, ამ მწერლის სახელი პირზე მაკერია. სანამ გავიცნობდი, ეკრანზე მყავდა ნანახი, ოთარ ოსელიანის ფილმში — „იყო შაშვი მგალობელი“. ერთ ეპიზოდში ორი მაგარი მწერ-

ლია, ორი რეზო — ინანიშვილი და ჭიკიშვილი. პირველი ოცდახუთი წლის წინ გარდაიცვალა, მეორე — ახლა, ერთი კვირაც არ არის გასული...

„ჭიკიას“ — ასეთი გახლდათ მისი მეტსახელი „გაბო“-სავით ვინაობიდან ნანარ-

ზაალ სამადაშვილი

# მწერლის უკვდავება

დასრულდა რეზო ჭიკიშვილის ეპოქა. ძნელია, მძიმეა, შეუძლებელია ამ აზრთან შეგუება, მაგრამ რამდენადაც ძნელია, იმდენად შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ რეზო ჭიკიშვილმა, როგორც განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონე შემოქმედმა, თანამედროვე ქართულ ლიტერატურის ისტორიაში შექმნა თავისი დრო და სივრცე, რომელიც, რაც დრო გავა, მით უფრო შთაბეჭდავი და მნიშვნელოვანი გახდება.

რეზო ჭიკიშვილი იყო მწერალი, რომელმაც ჩვენი წინააღმდეგობრივი და გამრუდებული ცხოვრება სწორად წაიკითხა, დაამსხვრია ყალბი წარმოდგენები, გამოააშკარავა იდეოლოგიური მითებისა და ზღაპრების სიღატაკე, ადამიანებს ასწავლა მოვლენებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, აამაღლა სამოქალაქო შეგნება, გაათავისუფლა მხატვრული ენა ლიტერატურის მიხედვით, სოციალურ მოვლენად აქცია იუმორი, დაახლოვა ერთმანეთთან მწერლობა და კინოხელოვნება, დაგვანახა, რას ნიშნავს ჭიკიშვილის მემკვიდრეობის სიხარული.

რეზო ჭიკიშვილის მწერლობის ბუნების, მისი პროზის სტილისა და წერის მანერის, მისი თვითმყოფადი და აშკარად ორიგინალური შემოქმედების ხასიათის ერთი სიტყვით გამოხატვა რომ მოვიწადინოთ, ალბათ, არ დავფიქრებთ, ისე ვიტყვი: „თავისუფლება“, ან — „გაქცევა“, ან — „თავისნებობა“. მართლაც, რეზო ჭიკიშვილის პროზის სპეციფიკური ნიშანი, ერთგვარი სტილისტური ტვიფარი იყო ტრაფარეტებისა და განმეორებებისგან თავის დაღწევის, ნანარმოების წინასწარი რეცეპტების გარეშე, „თავის ნებაზე“ აგების დაუოკებელი სურვილი, რომელიც არასოდეს ტოვებდა მას, არც შემოქმედების ადრეულ ეტაპზე და არც შემდგომში, როდესაც ფაქტობრივად ვითარებამ და გამოცდილებამ უკარნახა, ხელი მოეკიდა ახალ-ახალი თემებისა და მოტივების დამუშავებისათვის.

სულ მივიკვირდა, რატომ არის მისი შემოქმედება ასეთი უბრალო, მინიერი, მყარი, ღონიერი, დამაჯერებელი. ალბათ, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ენა იცოდა. რეზო ჭიკიშვილი ენის სტიქიაში იყო. ენას კი არ ფლობდა, ეს შეუძლებელია, თავის თავს ფლობდა ენის სტრუქტურაში. თავისუფალი იყო გამოხატვაში. ის არ ეძებდა, პოულობდა.

გასაოცარია, ხასიათითა და აზროვნებით ტრადიციონალისტი როგორ ახერხებდა ყოფილიყო ესოდენ არაორდინარული, უჩვეულო, არასტანდარტული.

შორს რომ არ წავიდეთ, ამის მიზეზი და საიდუმლო ისევ იმ შინაგან თავისუფლებაში იყო, რომელიც „თავისნებობის“ სულისკვეთებით ავსებდა.

თავისუფლების სული შთამომავლობით მოსდგამდა. ეტყობოდა, ამით ამაყოფა, მაგრამ ხმამაღლა არ გამოთქვამდა. უყვარდა წარსული დროების, წინაპრების, მშობლების მოგონება. ოღონდ ფრაგმენტებად, ეფემერულ დეტალებად ჰყვებოდა, ამბობდა, იხსენებდა, ხატავდა გენეალოგიურ კონტურებს: დედა — ვერა (ვერ-იჩკა) დიდბარძი, ოკრიბელი ქალი სოფელ ჯვარისიდან; მამა — ბენედიქტე, რაჭიდან ქვიტირში ჩამოსახლებული ჭიკიშვილების შთამომავალი. დედას წიგნის კითხვა უყვარდა. შვილს იგი მუდამ ახსოვდა წიგნით, სათვალთა და საკერავი მანქანა „ზინგერით“. ის დედას გამოემსგავსა წიგნიერებითა და მტკიცე ხასიათით, მამას — ლმობიერებით, ბაბუებს — მიხილ დიდბარძიქსა და ვლადიმერ ჭიკიშვილს — იუმორით.

რეზო ჭიკიშვილის პიროვნული ნატურა, ცხოვრება, შემოქმედება გაჯერებული იყო იუმორით. იუმორის ფლუიდებს ასხივებდა ის, როგორც ადამიანი და როგორც შემოქმედი. ვერ დავასახელებთ მის ვერცერთ ნანარმოებს, იუმორის გრძნობით რომ არ იყო სახე.

მიუხედავად ამისა, იუმორი მაინც არ იყო მისი თვითმზანი. ეს იყო უფრო თვითგამოხატვის საშუალება, სტილი, მსოფლხედვა, მზერის კუთხე, საიდანაც ჩვენთვის ნაცნობ საგნებსა და მოვლენებს ცოტა სხვანაირად, სხვა რაკურსით დაგვანახებდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეზო ჭიკიშვილი იუმორს სერიოზული სათქმელის გადმოსაცემად იყენებდა.

იუმორი რაციონალიზმის სამსახურში! რატომაც არა. კაცმა რომ თქვას, ამაში, აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით, ახალი არაფერია. ოდითგან ასე იყო, ჭეშმარიტი ლიტერატურის ნორმების მიხედვით, ჰუმორული აზროვნება მაღალი გონის კატეგორიის განუყოფელი ნაწილია.

რეზო ჭიკიშვილის პროზის მთავარი თავისებურებაც სწორედ ამ საკატეგორიო, მაღალინტელექტუალური ნიშნით არის გაპირობებული.

მოები — ორი წიგნი, ორი სიმფონია აქვს მიძღვნილი ქუთაისისთვის. ჯერ „ჩემი მეგობარი ნოდარი“ იყო — გადამუშავებულ ვარიანტს „ქალაქში დინოზავრები დადინან“ ერქვა — ამბავი გასული საუკუნის ორმოცდაათიან-სამოციან წლებზე, ქარიან ქალაქზე, მის ბინადრებზე — ცხოვრების რაობაზე ჩაფიქრებულებსა და დინებას მიყოლილებზე, დარდიანებსა და მხიარულებზე, დარბაისლებსა და ქარაფშუტებზე. მეხსიერებას თუ დავძაბავ — ძალიან არა, მსუბუქად — ახლაც შემიძლია, ნარმოვთქვა დილოგები ამ წიგნიდან, რაც იშვიათად ხდება პროზაული ტექსტების გახსენებისას...

მერე „მუსიკა ქარში“ დაიწერა, მარგალიტების მძივივით მოთხრობებისგან ასხმული რომანი, ისიც ქალაქის ბიოგრაფიაა, ძალიან განსხვავებული აკროიდის ლონდონის და ფამუქის სტამბოლის ბიოგრაფიებისგან, თუმცა ისეთივე ზუსტი და შთაბეჭდავი უძველესი ქალაქის აღწერისა და მის სულში ნვდომის თვალსაზრისით...

რეზო ჭიკიშვილმა ცხოვრების დიდი ნაწილი საბჭოთა სახელმწიფოში გაატარა და თითქმის ჩამოსათვლელ მწერლებთან ერთად ნონკონფორმისტული ლიტერატურა შექმნა; ლიტერატურა, რომელიც მაშინ, აკრძალვების ეპოქაში, გულს გვაოხებინებდა, ხლო შემდეგ, ანმყოს ჩათვლით, ხელახლა წაკითხვის, ხელახლა აღფრთოვანების და ხელახლა დაფიქრების სურვილს ალგვიძრავს...

ზაალ სამადაშვილი

ჰუმორული რაციონალიზმი რეზო ჭიკიშვილის ხელში იყო იარაღი ყალბი პოეტურობისა და საერთოდ სიყალბის წინააღმდეგ. ცხადია, ამაში არ იდო პოზიორობის არანაირი მარცვალა. ეს მისი ხასიათი გახლდათ, მისი ბუნება, შემოქმედებითი პრინციპი, პოზიცია, მრწამსი, და თუ სადმე ებრძოდა უსაგნო პოეტურობას ან ზოგადად სიყალბეს, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ თავში ებრძოდა, თავისი შემოქმედებიდან აღმოფხვრიდა ყოველგვარ ილუზიას და ამაო ოცნებას და ამკვიდრებდა მინიერებით განონასწორებულ სინამდვილეს, რომლის გარეშე ნამდვილი პროზა არ არსებულა და არც იარსებებს.

ამავე დროს, ისიც უნდა ითქვას, რომ მისი ნანარმოები ჭეშმარიტი პოეტურობით სუნთქავს. პოეტურობაში გვულისხმობს ქმნადობის ძირეულ პრინციპს, მხატვრული შემოქმედების ბუნებრივ საფაენელს, სინამდვილის მხატვრულ ტექსტად გარდასახვის ნიჭს, რომელიც დაბადებით თუ არ დაგვყავა, ვერასოდეს გამოიმუშავებ, ვერ შეიძენ, ვერ მოინაგრებ.

ერთ-ერთი ასეთი წიგნია „მუსიკა ქარში“, ღვთაებრივი შთაგონებით დაწერილი წიგნი. არათუ ქართულ მწერლობაში, მსოფლიო ლიტერატურაშიც ცოტა მეგულეა ასეთი ნათელი, დახვეწილი, უმაღლესი ოსტატობით დაწერილი ყოფითი ნოველები.

ამას გარდა, არ შეიძლება არ გავახსენდეს „მეთხე სიმფონია“, „ვამე ჩემო ვენახო“, „ჩემი მეგობარი ნოდარი“, „კუდიანი ვარსკვლავი“, „ქარების დაბრუნება“ — სხვადასხვა სტილის, მოცულობისა და მიზანდასახულობის ნანარმოები.

თუ შევთანხმდებით, რომ კლასიკა ნიშნავს სანიმუშოს, სახასიათოს, ტიპიურს, მდგრადბარისხოვანს, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეზო ჭიკიშვილის ნანარმოები ავტორის სიცოცხლეშივე იქცა კლასიკად. ამიტომაც არის, რომ მისი წასვლის შემდეგ გაგვიჩნდა ისეთი განცდა, თითქოს შეჩერდა ცხოვრების ძალზე მნიშვნელოვანი, ძვირფასი მონაკვეთი, მაგრამ, ამავე დროს, იმასაც გვრძნობთ, რომ გაჩნდა რალაც უფრო მაღალი, დრო-ჟამისაგან განყენებული, დამამიედელებელი, სანდო განზომილება — მწერლის უკვდავება.

ივანე ამირხანაშვილი

ლეილა ბეროშვილი

გამოზამთრება

\*\*\*

ჩამოვა, ჩამომიტანს უკანასკნელ ვარდებს, უფრო ვარდის კოკრებს (მეწამულ, წვიმით გაჟღერებულ ღეროებს მსხვილი ეკლები ასხედან) — ეგ კი არა, გადააწყობს უკეთესებს და მთხოვს, მეზობლებს და ვურთგო...

ძალიან უხდება, როცა ჩვენს დანგრეულ სადგურში დგას და მელოდება. ჩემს დანახვაზე სათვალეს ჩამოინევს და მიყურებს დაბლიდან მაღლა...

\*\*\*

პირველ კლასში ლადოს სკოლაში ვსწავლობდი.

ლადოს სკოლას ლადოს სკოლა იმიტომ ერქვა, რომ ლადო ოქროპირიძის ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე კომუნისტებმა ორი პირველი კლასი გახსნეს.

ერთ პირველ კლასს დეიდაჩემი კატო დიმიტრიშვილი ასწავლიდა, მეორეს — ანეტა ჯაშიაშვილი.

იმ დროს მასწავლებელს ყველასგან გამოარჩევდა — სიცილით, სიარულით, ჩაცმით.

მასწავლებელი რომ გამოჩნდებოდა, დიდი და პატარა, ყველა ჩერდებოდა, კრძალვით ესაღმებოდა.

სკოლას ყორე ჰქონდა შემოვლებული, იმ ყორეში ვინრო კარი იყო გაჭრილი.

ჩვენ მასწავლებლებზე ადრე უნდა მოესულიყავით, კარის ორივე მხარეს ჩავმწკრივებულყავით და მასწავლებლებს დავლოდებოდით.

შემოვიდოდნენ თუ არა, ჩვენ ერთხმად ვესალმებოდით — საალაში!

— საალაში! — გვპასუხობდნენ ისინი და მე არ მეგონა, ამქვეყნად სხვა ბედნიერებაც თუ არსებობდა...

\*\*\*

ჩვენი ბავშვობის უკანასკნელი ზაფხული ჩემმა თანაკლასელებმა ლოლოიანში გადატარეთ.

ერთ დიდ კარავში გვეძინა. ლამ-ლამობით სპილენძის სინივით კამკამებდა მთვარე.

ერთ დღეს დაღესტნიდან მომავალი ლეკი ჟურნალისტები მოადგნენ ჩვენს კარავს.

გოგონები კარვის წინ ისხდნენ, მე იქვე ფერდაზე ჩემს საყვარელ მწარე სოკოს ვარჩევდი.

ლექებმა, ფოტოებს გადაგიღებთო. მეც დამიძახეს. თავი არ ამიწვია — ვერ წარმომედგინა, რომ ფოტოებს გამოავაზავნიდნენ.

ერთ-ერთი ლეკი გამომშვიდობების წინ მოვიდა და მკითხა: — ა გდე ვაშა საბაჩკა?

გაოცებულმა შევხედე. — ვი ნავერნოე ზნაეტი, ჩტო ოჩენ პახოჟი, ნა დამე ს საბაჩკოი?

ლექმა აღმოაჩინა, რომ ნაკითხული არ მქონდა „დამა ს საბაჩკოი“, ყოველგვარი ინტერესი დაკარგა ჩემს მიმართ და მეგობრებს წამოეწია.

ფოტოები გამოავაზვენს, იმ ფოტოზე მარტო მე არ ვიყავი — ძალიან დამწყდა გული...

მოგვიანებით, როცა წავიკითხე „დამა ს საბაჩკოი“, გამაგიჟა გუროვის ნათქვამმა:

ვ ნეი ვსიოტაკი ესტ ჩტოტო ჟალკოე. უყურე იმ მამაძალ ლექს!

ამის მიუხედავად, მზად ვიყავი, ვმგვანებოდი ანა სერგეენას, გულით მეტარებინა ტანჯული სიყვარული... ოღონდ გამომშვიდობებისას, როცა გემი ნაპირს მოსცილდებოდა, უჩემობით გამოუთქმელი სიცარიელე ეგრძნო ასევე მამაძალ გუროვს...

დიდი ხნის წინათ

წინო ახალი ფეხსაცმლით გავიდა სახლიდან და ფეხშიშველი დაბრუნდა. ფეხი მატკინა და დაემარხეო.

მთელი უბნის ბავშვები ვეძებდით დამარხულ ფეხსაცმელს. ხან სად გვათხრევინებდა მინას, ხან — სად.

„ბოლოშიც“ ჩაგვიყვანა, დიდი ხეებით დაბურულ მინდორზე. უსიამოვნოდ მწვანე ბალახში დაიკარგა ბილიცია და მინაც.

უკან თავქუდმოგლეჯილები გამოვბრუნდით. ფეხსაცმელი საქათმეში ვიპოვეთ.

\*\*\*

დამპატიჟე მწვანე ლობიოზე, შენ რომ აკეთებდი ჩვენს ბავშვობაში ერთ შუა ზაფხულს, ისე მონდომებით, ცხვირიც კი გიბზინავდა.

ოღონდ ახლა უფრო გულითადად უნდა გამიმასპინძლდე, უნდა მითხრა, ისევე ისა ხარ...

\*\*\*

რალაც უჩინრად არხევს ღიჭის დახუნძლულ ტოტს. მიმავალმა ზედიზედ შეხედე, ერთხელ უკანაც მოიხედე — ისევ ირხეოდა და თავვეკეაჩქარებულ რუს კენწეროთი ოდნავ ეხებოდა.

\*\*\*

დედის თბილი ხელივით ეფერება შემოდგომის მზე, გრძნობს, რალაცნაირად, ლაზათიანად მიაბიჯებს და ინატრა, მიყურებდესო...

არხოტს ხევსურთა კოშკები ღრუბელს მატყლივით სჩეჩენო... თუ არ წავასხი ცხენები, ჩემს მთებს როგორღა ვეჩვენო.

\*\*\*

1985 წელი იდგა. გამომცემლობა „მერანში“ ვმუშაობდი. რედაქტორების ოთახში თაროზე დიდხანს დებდნენ დამტკვერილი საქალაქე ლექსებს.

საქალაქეში შაბურა არაბულის ლექსები აღმოჩნდა.

წავიკითხე და იმდენად მომეწონა, გურამ გვერდნიტელთან შევიტანე და რამდენიმე ლექსი წავუკითხე.

მოუთმენლად ველოდი შაბურას გამოჩენას, რომ სასიამოვნო ამბავი მეუწყებინა — გამომცემლობამ თქვენი ლექსების გამოცემა გადაწყვიტა...

ლოდინმა დიდხანს მომიწია. ერთ მშვენიერ დღეს გამოჩნდა. შემოვიდა თითქოს დარდისგან გამოქუებული, ბოძივით დადგა შუა ოთახში და ჩემს ნათქვამზე — ძალიან მომეწონა თქვენი ლექსები — უცებ მსუბუქად შებრუნდა და გაუჩინარდა.

ასე გამოხატა მისთვის უჩვეულო გრძნობა — სიხარული.

\*\*\*

საკვირაო ბაზრობაზე ჩემმა თანაკლასელმა ვ.ო.-მ მანქანის ფანჯარაზე მომიკაკუნა:

— თვალები რათა გაქვს შემუშებული? — რა ვიცი, წლებია, ექიმთან არ ვყოფილვარ...

— ველური ხაარ, ქალო?! — თან გარბის და თან მომძახის, — მიდი ექიმთან, იცოდე!

\*\*\*

კიბეზე ეშვები და გზადაგზა ჩვენს საერთო ჯემპრეს იცვამ...

ჩემს ძახილზე კი უკან აღარ იხედები, აღარ და აღარ...

\*\*\*

დამინახა. ძალღს ჩაუცუცქდა, ძალღს ეფერება...

პრემია



„საბა“-ს ლიტერატურული გალერეა

7 სექტემბერს ივანე მუხრანბატონის სასახლეში ლიტერატურული პრემია „საბა“-ს დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა. ლიტერატურულმა საზოგადოებამ — უპირველესად, ფინალისტებმა და მათმა გულშემბატკივარმა, გამომცემლებმა, მწერლებმა, ლიტერატორებმა, მთარგმნელებმა და, უბრალოდ, მკითხველებმა სასახლის დიდ ეზოში მოიყარეს თავი

სალამო თბილისის სიმფონიურმა ორკესტრმა (ვახტანგ კახიძის დირიჟორობით) და ვოკალისტა ჯგუფმა გახსნეს, დაჯილდოების ცერემონიას კირატი ამალლობელი და ნინო კასრაძე უძღვებოდნენ. ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „საბა“ 2003 წელს თბილისი ბანკმა და პენ-ცენტრმა დააფუძნეს იმ მიზნით, რომ წლის საუკეთესო ნიგები გამოეყვინათ, შეექმნათ კონიუნქტურისგან თავისუფალი, ლიტერატურული პროცესების მაიმ-პულსირებელი სივრცე. ათეულ წელზე მეტია, „საბა“ უმთავრეს ლიტერატურულ მოვლენად რჩება საქართველოში. ყოველწლიურად დაჯილდოების ცერემონია აღამდე გასაიდუმლოებული ჟიური განიხილავს და აფასებს გასული წლის გამოცემებს, ყველა ჟანრში ნათქვამ ქართულ სიტყვას და ასობით ნიგებიდან რამდენიმე საუკეთესოს ასახელებს.

წელს „საბა“ მეცამეტედ გაიმართა. ფინალისტების სია ივლისის დასაწყისში გამოქვეყნდა. მათ შორის იყო ბევრი ღირსეული ავტორი, ლიტერატორი თუ მთარგმნელი, იყვნენ დებიუტანტებიც. წლებანდეღმა ჟიურმა — ზურაბ კიკნაძე, ზვიად რატიანი, ქეთი ქანთარია, ლევან ბერძენიშვილი, დათო ტურაშვილი — რვა თვის განმავლობაში იმუშავა, საკონკურსო სა-მასხუთმეტი ნიგებიდან ფინალისტად ორმოცდაექვსი დაასახელა და 7 სექტემბერს საუკეთესოები გამოავლინა.

და აი, პრემია „საბა“-ს ლაურეატები: ჟიურმა „საბა“-ს ისტორიაში უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო: ერთ ნომინაციაში ორი დამოუკიდებელი პრემია გასცა, საუკეთესო მთარგმანებისთვის და დაჯილდოვდნენ ხათუნა ცხადაძე (უმბერტო ეკოს „პრადის სასაფლაო“) და ლელა დუმბაძე (ვირჯინია ვულფის „გზა შუაქუროსკენ“).

უპრემიოდ დარჩნენ დრამატურგები. დებიუტანტებს შორის ჟიურის არჩევანი შეჩერდა ახალგაზრდა მთარგმნელ გიორგი ნიკლაურზე (პიტერ აკროიდის „ლონდონი“). ესეისტიკისა და დოკუმენტური პროზის ნომინაციაში კი პრემია ირაკლი მახარაძესა და მის „დიად მუნჯს“ ერგო.

„საბა“-ს ლაურეატ კრიტიკოსთა სიას წელს მალხაზ ხარბეია შეემატა ნიგნისთვის „ტექსტი და სიმართლე“.

ქართული ნაწარმოების საუკეთესო მთარგმანისთვის „საბა“ ერგო ქრისტინე ლიხტენბერგს, რომელმაც ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ გააცნო გერმანულენოვან მკითხველს.

საუკეთესო პოეტური კრებულის ნომინაციაში ჟიურის არჩევანი პაატა შამუგიას „შიზოგადობაზე“ შეჩერდა.

მართალია, ახალგაზრდა ავტორ აბო იაშალაშვილს საუკეთესო დებიუტის ნომინაციაში პრემია არ ერგო, სამაგიეროდ, მისი „როიალ-მერი“ — წლის საუკეთესო რომანად დასახელდა. წლის საუკეთესო პროზაული კრებულის ავტორად კი მხატვარი გოგი ჩაგელიშვილი მოგვევლინა.

ყოველწლიურად „საბა“-ს დაჯილდოების ცერემონიალი სრულდება ჯილდოთი, რომელსაც თბილისი ბანკის დამფუძნებელი მამუკა ხაზარაძე ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გადაცემს ჟიურის მიერ არჩეულ ერთ პიროვნებას. შესაძლოა, „საბა“-ს გამ-არჯვებულებს საზოგადოება არ იწონებდეს, იყოს აზრთა სხვადასხვაობა, კამათი, ჟიურის მიმართ გამოთქმული პრეტენზიები, სიმპათია-ანტიპათია, მაგრამ აქამდე არ ყოფილა შემთხვევა, პრემია „საბა“ ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მიეღოს მწერალს, ვის მიმართაც საზოგადოება კრიტიკული იქნებოდა. ალბათ, ამიტომაც წლიდან წლამდე „საბა“-ს გალერეაც მდიდრდება სახელოვანი ქართველი მოღვაწეების სახელ-გვარებით.

2015 წელს კი ამ გალერეას „ამბა ბესარიონი“ შეემატა.

ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის პრემია „საბა“ ბესიკ ხარანაულს გადაეცა.

7 სექტემბერს ლამაზ ამ ნომინაციასთან დაკავშირებით კვლავ არ არსებობდა კითხვები. ბესიკ ხარანაულს ერთნაირი სითბოთი ულოცავდნენ ლიტერატურის მოყვარულები, კრიტიკოსები, მთარგმნელები, პოეტები და პროზაიკოსები, მკითხველები...

სხვა კითხვები კი... კითხვები ბევრი აღმოჩნდა, რომელიც ივანე მუხრანბატონის სასახლეს გასცდა და დღემდე არსებობს...

მომზადა თამარ ჟურულმა



ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004